# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 2006 წელი.

№ 180 (5521)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## კაზაკებიც გვემუქრებიან!



5

## თვითნებური და უსამართლო სასამართლო

2



## მაყურებლის ნერვების მოშლა ჟურნალისტური მეთოდი არ არის



5



## რატომ „სძინავს“ ახალგაზრდობას?

3

## ფიცხელ ბრძოლაში ვიწვევთ ლუციუსს

## „Бежали робкие Грузины...“

4

## სასკოლო სახელმძღვანელოებს ცეცხლი უკიდია, გაუძლებს ამას მშობლის ჯიბე?

16



## გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი, რომელსაც შენი სამშობლოს სახელი ჰქვია!

ინფორმაცია

## პრეზიდენტი ამერიკაში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 19 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება.

პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის მუშაობაში, რომელიც ნიუ-იორკში გუშინ გაიხსნა.

სესიის დელეგატებმა გაეროს ახალი გენერალური მდივანი უნდა აირჩიონ, რადგან კოფი ანანის მანდატი მიმდინარე წლის ბოლოს იწურება. რუსეთი გამოდის ინიციატივით, რომ გეოგრაფიული როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, ახალი მდივანი აზიის წარმომადგენელი გახდეს.

ერთ-ერთ მთავარ საკითხად სესიაზე განიხილება გლობალური ანტიტერორისტული სტრატეგიის ასპექტების ცხოვრებაში რეალიზების პრინციპები და რეგიონული კონფლიქტების დარეგულირების საკითხები. ასევე, იგეგმება უშიშროების საბჭოს შემადგენლობის შესაძლო გაფართოებაზე მსჯელობა.

პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში მონაწილეობას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილიც მიიღებს.

## ევროკავშირი გვეხმარება მაგრამ... მკაცრად გვაკრიტიკებს

ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამოქმედო თანამშრომლობის გეგმას ხელი მიმდინარე წლის ოქტომბერში მოეწერება.

როგორც ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა გუშინ, თბილისში განაცხადეს, საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ვალდებულებები აიღო. კერძოდ, მთავრობა პირობას დებს, რომ დაიცავს კანონის უზენაესობას, გააუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, შეამცირებს სიღარიბეს, ითანამშრომლებს ევროპასთან უსაფრთხოების სფეროში, მშვიდობიანად მოაგვარებს „გაყინულ კონფლიქტებს".

ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაცია დადებითად აფასებს საქართველოში მაკროეკონომიკურ განვითარებას და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდას, ინვესტიციების ზრდას, ეროვნული ვალუტის მყარ კურსს, საბაჟო და საგადასახადო რეფორმებს, პენსიების დროულ გადახდას.

დელეგაცია უარყოფით შეფასებას აძლევს იმ ფაქტს, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს მოსახლეობის 50%-ზე მეტი, დაუცველია კანონის უზენაესობა, არასასურველია მედიის თავისუფლების ხარისხი.

ინტერპრესნიუსი

SOS!

# თვითნებური და უსამართლო სასამართლო

## ამერიკის სავაჭრო პალატა ქართულ-ამერიკული სოფლის ნგრევას დაუშვებლად მიიჩნევს!

**აშშ-ის სავაჭრო პალატა მიმართავს სასამართლოს სააღსრულებო სამსახურს და მოუწოდებს, არ დაუშვას „ჰორიზონტის" მიწაზე არსებული სახლებისა და სხვა საკუთრების დანგრევა.**

როგორც ინტერპრესნიუსს სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან აცნობეს, ორგანიზაცია შეშფოთებულია მის წევრ შპს „ჰორიზონტთან" დაკავშირებით განვითარებული მოვლენების გამო და ამ საქმეზე სასამართლოს მხრიდან დაშვებულ დარღვევებზე რეაგირებას მოითხოვს.

ასევე პალატა „ჰორიზონტს" მხარდაჭერას აღუთქვამს, რადგან სჯერა, რომ მის მიმართ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოკიდებულება იყო თვითნებური და უსამართლო.

საქმე ქართულ-ამერიკული სოფლის მფლობელს, შპს „ჰორიზონტის" ხელმძღვანელს ვასილ ცოტაძესა და „ინტერსერვისის" მფლობელ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს შორის არსებულ დავას ეხება. ცოტაძის მტკიცებით, მან კოჯრის გზატკეცილზე მდებარე ტერიტორია, პირველი ქართულ-ამერიკული სოფლის მშენებლობის მიზნით, 1998 წელს შეიძინა და მშენებლობა ყველა საჭირო ინსტანციის გავლის შემდეგ, 2002 წელს კანონიერად დაიწყო.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილის მფლობელობაში არსებულმა კომპანია „ინტერსერვისმა" ქართულ-ამერიკული სოფლის გარშემო მდებარე გამწვანების ზოლი სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 28 დღის შემდეგ შეიძინა და დავა მხოლოდ 2 წლის შემდეგ, 2004 წელს დაიწყო. ახლა კი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამავე ტერიტორიაზე ბიზნეს-ცენტრის მშენებლობას აწარმოებს, ცოტაძეს 5-მეტრიან ზოლს ედავება. ამ ზოლში ქართულ-ამერიკული სოფლის 11 სახლიდან 5 სახლი ნაწილობრივ მოჰყვა. სადავო ტერიტორიის საერთო ფართი 492 კვადრატული მეტრია. მოსალოდნელია, რომ სადავო ტერიტორიაზე განლაგებული სახლების ნგრევას აღმასრულებელი, სავარაუდოდ, 13 სექტემბერს დაიწყებს.

**ამერიკის სავაჭრო პალატა უკმაყოფილოა საქართველოს სასამართლოების მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებებით. პალატა აკვირდებოდა თბილისის ადმინისტრაციულ სასამართლოში „ჰორიზონტის" საქმის განხილვას და დარწმუნდა, რომ „ჰორიზონტს" არ მიეცა სასამართლოში დაცვის წარმოდგენის საშუალება. „სასამართლომ დაუშვა არაერთი ფაქტობრივი, იურიდიული და პროცედურული შეცდომა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ იგნორირება გაუკეთა ამ შეცდომებს, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვაზე უარი განაცხადა. ჩვენ იმით უფრო ვართ შეშფოთებულნი, რომ საქართველოს მაღალი ინსტანციის სასამართლოებმა სათანადოდ ვერ განიხილეს ეს საქმე და არ გამოასწორეს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები, ვიდრე იმით, რომ დაბალი ინსტანციის სასამართლოებმა შეცდომები დაუშვეს", –** აცხადებენ აშშ-ს სავაჭრო პალატაში.

პალატის შეფასებით, ხუთივე სახლის მთლიანად დანგრევას არანაირი იურიდიული გამართლება არ აქვს. „თუ „ინტერსერვისი" „ჰორიზონტის" განაზღვრული საკუთრების მიღმა სახლებს რაიმე ზიანს მიაყენებს, უნდა დადგეს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლოს შესაბამისი ბრძანებების დარღვევის გამო და „ინტერსერვისმა" „ჰორიზონტს" სათანადოდ უნდა აუნაზღაუროს ნებისმიერი ასეთი ზარალი თუ დანაკარგი", – მიიჩნევენ ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პალატაში.

ინტერპრესნიუსი

გუშინ

# რეფორმა... მაინც გრძელდება



საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა გუშინ 18 ახალი მოსამართლე წარადგინა.

როგორც ლონისძიებაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, მოსამართლეები ერთი კვირის წინ დაინიშნენ და ისინი უახლოეს ხანში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინაშე სამოსამართლო ფიცს დადებენ.

ახლადდანიშნულ მოსამართლეთა შორის არიან ის კადრებიც, რომლებიც ახალქალაქის სასამართლოში გადანაწილდებიან. აღნიშნული მოსამართლეები კარგად ფლობენ ქართულ, რუსულ და სომხურ ენებს.

კოტე კუბლაშვილის თქმით, უზენაესმა სასამართლომ, მოსამართლეების რიცხვის გაზრდის დროს გაითვალისწინა იმ საქმეების დიდი რაოდენობა, რაც დღესდღეობით მართლმსაჯულების სისტემაში არსებობს.

თითოეული მოსამართლის დანიშვნამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო და უზენაესი სასამართლო დაწვრილებით სწავლობს კანდიდატის პიროვნებას და ბიოგრაფიას. კუბლაშვილის თქმით, სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი მოსამართლეების დანიშვნას. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სასამართლო სისტემაში 117 ახალი მოსამართლე დაინიშნა.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

## საპარლამენტო თანამშრომლობა

საქართველოს პარლამენტში ევროკავშირის და საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის რიგით მე-8 სხდომა გაიმართა.

სხდომას სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი, ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელი კრისტიან პერნჰორსეტი და საქართველოში ევროკომისიის ხელმძღვანელი ტორბენ ჰოლცე ესწრებოდნენ.

როგორც ინტერპრესნიუსს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა, ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციას განსაკუთრებით აინტერესებს საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების კონკრეტული გზები და საქართველო-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობის გეგმა.



## ქალები პოლიტიკაში მოვლენ...

საქართველოს ქალთა ორგანიზაციების კოალიცია წინასაარჩევნოდ ქვეყნის ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერს მიმართავს და ქალებისათვის ლიდერობის მეტი შესაძლებლობის მიცემას სთხოვს.

კოალიციის ინფორმაციით, სახელისუფლებო დონეზე ქალები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი. კერძოდ, პარლამენტში ქალი მხოლოდ 9 პროცენტია, ადგილობრივ ხელისუფლებაში კი 11 პროცენტი.

„მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებს, რომ რეფორმატორული ნაბიჯები გადადგან და ქალებს მეტი შანსი მისცენ თავიანთი პოტენციალის სრულად წარმოსაჩენად და ხელმძღვანელი ადგილების დასაკავებლად. საქართველო ძალიან ბევრს დაკარგავს თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ნიჭიერი, მცოდნე და გამოცდილი ქალების რესურსს არ გამოიყენებს", – აღნიშნულია კოალიციის მიმართვაში.

კოალიციის ინფორმაციით, საქართველოს პოლიტიკური პარტიების გენდერულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ პარტიის ზედა იერარქიულ საფეხურზე ქალები თითქმის არ არიან წარმოდგენილი.

## „ალდაგმა" 6 თვეში თითქმის 10 მილიონი ლარი მოიზიდა

კომპანია „ალდაგმა" 6 თვის მონაცემებით, სადაზღვევო ბაზარზე პირველი ადგილი დაიკავა.

როგორც ინტერპრესნიუსს „ალდაგის" მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან აცნობეს, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით, სადაზღვეო ბაზარზე მოქმედ სადაზღვეო კომპანიებს შორის „ალდაგი" ლიდერის პოზიციებს იკავებს.

„ალდაგის" წილი სადაზღვევო ბაზარზე 26,9 პროცენტს უტოლდება. 6 თვის განმავლობაში, მის მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 9 815 166 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ზარალების ანაზღაურებისათვის კომპანიამ 2 339 862 ლარი გაიღო, საიდანაც, ავტომობილების დაზღვევის ზარალის ასანაზღაურებლად 983 214 ლარი გადაიხადა, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის ზარალის ასანაზღაურებლად – 720 625 ლარი.

ინტერპრესნიუსი

სახელმწიფო მინისტრი

# საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა

**2005 წლის იანვრიდან 2006 წლის აპრილამდე ჩატარებული კვლევების შედეგად, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში №1 რეფორმატორ ქვეყნად დასახელდა. განხორციელებულ გარდაქმნათა შორის ყველაზე მნიშვნელოვან და მკვეთრ რეფორმად საქართველოს შრომის კოდექსი დასახელდა.**

საქართველოს შრომის კოდექსი მსოფლიო სპმეულში შევიდა მექსიკის ინვესტორთა დაცვისა და სერბეთის საბაჟო კოდექსის გვერდით.

ამიტომ გასაკვირი არ არის საქართველოში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლის ჩამოსვლა.

ბიზნესის წარმოების ანგარიშის სერიების თანაავტორმა, პროექტის „ბიზნესის წარმოების" მენეჯერმა სიმეონ დიანკოვმა „ქორთიარდ-მარიოტში" მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და საქართველოს მთავრობის წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. „ბიზნესის წარმოება 2007 წელს – როგორ გავატაროთ რეფორმები," – ასეთი იყო ანგარიშის თემა. პრეზენტაციას სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძე დაესწრო.

სიმეონ დიანკოვის შეფასებით, ასეთი საფუძვლიანი რეფორმა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა. მან 80-იან წლებში ახალ ზელანდიაში გატარებული შრომის რეფორმა გაიხსენა.

სიმეონ დიანკოვი კახა ბენდუქიძეს სახელმწიფო კანცელარიაშიც შეხვდა და საქართველოში სამომავლო რეფორმებზე ესაუბრა. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის მიღება დასახელდა.

კახა ბენდუქიძემ სტუმარს გააცნო გაკოტრების შესახებ კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და ამჟამად ემზადებიან მეორე



მოსმენისათვის. ეს კანონი პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით შევიდა.

შეხვედრის ბოლოს, სიმეონ დიანკოვმა იმედით დასძინა, რომ საქართველოს მთავრობა მომავალშიც ყველაფერს იღონებს ბიზნეს – კლიმატის გასაუმჯობესებლად.

თამარ შაიშმელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ⊙ პოლიტიკური პორტრეტი

მართალს ვიტყვი და ვისაც ეწყინება, ცივი წყალი დალიოს, – საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები, რომ იტყვიან, კონა შაურად ყრია. უსახურ ენჯეოთა შორის ოდენ თითზე ჩამოსათვლელი ორგანიზაციები გამოირჩევიან აქტიურობითა და ბრძოლის უნარით.

„თანასწორობის ინსტიტუტი" ის არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მესამე სექტორელთა გრძელ ამქარში თეთრი ყვავივით გაერია და აქტიურ ასპარეზზე გამოსვლისთანავე საზოგადოების სიმპათია, ნდობა და მხარდაჭერა ირგუნა.

ეს ორგანიზაცია ირაკლი კაკაბაძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა, ზურა რთველიაშვილმა, ზვიად ბოკუჩავამ და მიხეილ კაჭკაჭიშვილმა 2006 წლის თებერვალში დააარსეს. მათ გარდა მრწამსისა და პოლიტიკურად ჯანსაღი საქართველოს სურვილისა, პირადი მეგობრობაც აკავშირებთ.

ირაკლი კაკაბაძე და ზურა რთველიაშვილი დისიდენტობის პერიოდიდან მეგობრობენ, ლაშა ჩხარტიშვილმა კი კაკაბაძე მაშინ გაიცნო, როცა ორივე სხვადასხვა ორგანიზაციის სახელით (ირაკლი – ამერიკის სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო ინსტიტუტი, ლაშა – გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ლობო"), იმისთვის იბრძოდნენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი უსაფრთხო ყოფილიყო და შესაბამისად ბორჯომის რაიონის მეწყერულ უბნებზე არ გაევლო, ხოლო შალვა რამიშვილის დაპატიმრების შემდეგ ორივე მათგანს ტელეკომპანია „202"-ზე გადაცემა „დებატების" წაყვანა მოუხდა.

ლაშა ჩხარტიშვილი თავისი და კაკაბაძის მოღვაწეობის ამ პერიოდს უმნიშვნელოვანესს უწოდებს და ამბობს, კობა ლიკლიკაძესთან, ნინო ბურდულთან, დეფი გოგიბედაშვილთან ერთად არა მარტო კონკრეტული ტელევიზია და გადაცემა გადავარჩინეთ, არამედ მედიასთან მიმართებაში ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკაც შევასუსტეთო.

კაკაბაძის, ჩხარტიშვილის, რთველიაშვილისა და მათი თანამებრძოლების ინიციატივით შობილი „თანასწორობის ინსტიტუტი" საზოგადოებრივ სარბიელზე სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობებთან დაკავშირებული საპროტესტო მოძრაობით გამოჩნდა და მაშინვე უთანასწორო ჯახში ჩაება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შექმნილ მონსტრთან – შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. იმის მიუხედავად, რომ მერაბიშვილის კუდ-იან-სოდ-იანმა უწყებამ მათ ბრჭყალები არაერთხელ ჩაასო, დღესაც შეუპოვრად აგრძელებენ დაწყებულ ბრძოლას.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარი სწორედ ერთ-ერთი მათგანი – ლაშა ჩხარტიშვილია, ვისი დაპატიმრებაც ხელისუფლებამ უკვე ორჯერ მოასწრო და ორჯერვე იმის გამო, რომ ლაშა განსხვავებული, კრიტიკული აზრის გამოთქმას საჯაროდ და ხმამაღლა არ ერიდება.

მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ვეტერინარიის ფაკულტეტები აქვს დამთავრებული, სამაგისტრო სპეციალობით კი ეკოლოგია. ამბობს, რომ პროფესია ბავშვობის გატაცებიდან გამომდინარე აირჩია. ძალიან უყვარებია ბუნება და ცხოველები.

ლაშა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას სტუდენტობაშივე შეუდგა. მეორე კურსზე იყო, როცა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, ასოციაცია „ლობო" შექმნა, რომელიც დღემდე ისე არსებობს, რომ არანაირი გრანტი და დაფინანსება თვალითაც არ უნახავს. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის სფეროში უამრავი აქცია აქვს განხორციელებული.

თუმცა დღეს ლაშას არა როგორც ბიოლოგსა და ეკოლოგს, არამედ როგორც „თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთ ლიდერს, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ვითარების, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ვესაუბრები.

# ფიცხელ ბრძოლაში ვიწვევ ლუციუსს



### დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია, ანუ – სამშობლო უპირველეს ყოვლისა

მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ცხოვრების ძალისა და სიცოცხლის მომცემიო, ილიასეული ეს შეგონება ლაშა ჩხარტიშვილისა და მთლიანად „თანასწორობის ინსტიტუტის" კრედოა.

ისინი იბრძვიან და ცდილობენ იქ წაადგნენ ქვეყანას, სადაც ყველაზე მეტად უჭირს.

– არა აქვს მნიშვნელობა, სად ვიქნებით ჩვენ, მნიშვნელოვანია ბოლომდე ვიბრძოლოთ, არ ვუღალატოთ ჩვენს პრინციპებს. და იქ ვიყოთ, სადაც მეტი ეფექტის მოტანა შეგვეძლება საზოგადოებისთვის. ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საკუთარ ქვეყანას ვემსახურო, თუნდაც ამან ჩემს პირად ინტერესებს ზიანი მიაყენოს. ეს ყველა მორალური ადამიანის ვალია. ამიტომაც მიმყავდა „დებატები" ტელეკომპანია „202"-ზე, ამიტომ ვარ „თანასწორობის ინსტიტუტში" და ვიქნები იქ, სადაც ჩემი ქვეყნისთვის მეტის გაკეთება შემეძლება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება იმდენად სწრაფი ტემპებით ანგრევს უამრავ სფეროს, რეაგირება მართლაც რთულია და გამორიცხულია არათუ თითო-ოროლა ადამიანმა, არამედ ერთი-ორმა ორგანიზაციამაც რაიმე გააწყოს. უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი აქტიური ადამიანი. არ მიმაჩნია, რომ საქართველოში თავისუფლების წყურვილის ნაკლებობაა, პრობლემა სწორედ აქტიურობაშია, – ამბობს ლაშა ჩხარტიშვილი.

### რატომ „სძინავს" ახალგაზრდობას?

ახალგაზრდობა, სტუდენტობა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილია, მაგრამ საქართველოში უკვე ტენდენციად იქცა, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და გადამწყვეტ მომენტებში, ეს მამოძრავებელი ძალა ყოველთვის ჩრდილს ეფარება, რაც საკმაოდ საგანგაშო სიმპტომია.

„თანასწორობის ინსტიტუტი" ახალგაზრდული ჟინითა და ბრძოლისუნარით გამოირჩევა და წესით ეს ჩვენს ახალგაზრდობასაც უნდა გადასდებოდა, თუმცა საზოგადოების ამ ნაწილის მასობრივი გამოცოცხლება ჯერაც არ შეინიშნება.

ლაშა ამის მიზეზად ისევ და ისევ ხელისუფლების პოლიტიკას მიიჩნევს, რომელიც საკმაოდ მზაკვრული და შენიღბულია.

– ხელისუფლება აგრესიულ პოლიტიკას ატარებს ახალგაზრდობის პასიურობის მისაღწევად. ეს პოლიტიკა ახალი არ არის. ახლა არის ტიპიური კომკავშირის მსგავსი ორგანიზაციების შექმნის მცდელობა. ეს სტრუქტურები შევარდნაძის დროსაც არსებობდა და სტუდკავშირები ერქვა. მისი ძირითადი დანიშნულება იყო სტუდენტების ყურადღება არსებული პრობლემებიდან სხვა მიმართულებით გადაეტანა, მაგალითად, გასართობ ღონისძიებებზე და ასე შემდეგ. ამით ხდებოდა სტუდენტობაში კომფორმიზმის დანერგვა.

ანალოგიურად მოქმედებს ეს ხელისუფლებაც, ოღონდ უფრო აგრესიული მეთოდებით. ხდება ძალიან ბევრი იდეის როგორც პატრიოტობის იდეის (რაც ნამდვილად არ გამოიხატება ბანაკებში დასვენებით და პრეზიდენტისთვის გამუდმებით ტაშის კვრით) პროფანაცია.

ავიღოთ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციაა, სტუდენტებმა რეალური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტებისვე პრობლემების მოგვარებაში. ამის ნაცვლად რა მივიღეთ?

თვითმმართველობის არჩევნები ჩაატარა ადმინისტრაციამ, რექტორატმა, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები დამოუკიდებელი არ იყო. შედეგად მივიღეთ კიდევ ერთი მორჩილი ორგანო, რომელიც სტუდენტების ინტერესებს კი არ იცავს, არამედ სტუდენტობის სახელით ადმინისტრაციის ინტერესებს ატარებს. ხდება მათი ყურადღების გადატანა და ჩამოშორება რეალური პრობლემებისგან.

ხელისუფლება ქმნის „კომკავშირებს" და ამით ახალგაზრდობის აქტივობას ახშობს.

### სამოქალაქო საზოგადოება – დემოკრატიული ქვეყნის ხერხემალი

მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა – ყველა რეალურად დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომლის მთავარი დანიშნულებაც ხელისუფლების კონტროლია.

საქართველოში ამგვარი ფუფუნება ჯერაც არ გვაქვს და „თანასწორობის ინსტიტუტმაც" გეზი იქითკენ აიღო, რომ დიქტატურისკენ მიდრეკილ ხელისუფლებას ლაგამი ამოსდოს და ქვეყანაში მძლავრ სამოქალაქო საზოგადოებას ჩაუყაროს საფუძველი.

თუმცა ლაშა ჩხარტიშვილისა და მისი მეგობრების ამ მცდელობას წინ მთელი სახელისუფლებო მანქანა აღუდგა თავისი სადამსჯელო საცეცებით და ცდილობს, ყველა ამგვარი განზრახვა ძირშივე მოთხაროს.

ლაშა ამას ხელისუფლების სისუსტესა და შიშს მიაწერს.

– ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება მშვენივრად ხვდება თავის უსამართლობას. ის სამართლიანად არ მოქმედებს და ეშინია სამართლიანობის. ეშინია საზოგადოების, რომელიც სამართალს ითხოვს. ამიტომ ცდილობს ტერორსა და საზოგადოების დაშინებას. უკვე საზოგადოების გადასაწყვეტია რამდენ ხანს მოითმენს ამას. დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოება არ შეეგუება ხელისუფლების მიერ მისი დამონების მცდელობას.

### შინაგან საქმეთა სამინისტრო – ხელისუფლების კუნთი

როგორც ზემოთ ვთქვი, „თანასწორობის ინსტიტუტი" აქტიურ ასპარეზზე სანდრო გირგვლიანისა და ბუტა რობაქიძის მკვლელთა დასჯის მოთხოვნით გამოვიდა. ეს ორი ახალგაზრდა კაცი კი, სწორედ შსს-ს მაღალჩინოსანთა მსხვერპლი გახდა.

სწორედ ამის შემდეგ აეხადა ნიღაბი მერაბიშვილის სამინისტროს და საზოგადოება მიხვდა, რომ „ვარდების ხელისუფლებამ" ამ უწყების სახით თავს ზემოთ დამოკლეს მახვილი ჩამოგვიკიდა, რომელზეც მთელი თავისი მმართველობა დაამყარა და რომელიც კაცმა არ იცის, როდის მოსწყდება სიფრიფანა სამაგრს და თავს გაგვიპობს.

„თანასწორობის ინსტიტუტი" სწორედ ამ ურჩხულს ებრძვის და მის დაშლას ითხოვს.

– სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ტენდენციის შედეგია, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ სამართალი მხოლოდ მოქალაქეებს შეეხოს, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობიდან სრულად განთავისუფლდნენ.

ხელისუფლება დიქტატურის დამყარებას ცდილობს და უმთავრეს როლს ძალოვან სტრუქტურებს ანიჭებს. მან შსს სამართლებრივი სახელმწიფოს ხერხემლად გამოაცხადა. სინამდვილეში ის ხერხემალი კი არა კუნთებია, რომელიც კანონის მოთხოვნებს უნდა ემორჩილებოდეს და არა ხელისუფალთა ნება-სურვილებს.

ჩვენთან ასე არ არის. ანუ გამოდის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს კი არა, დიქტატურას ვაშენებთ, სადაც მთავარი ძალა და ძალადობაა.

ჩვენი მოთხოვნა არ არის მხოლოდ კონკრეტული ადამიანების დასჯა. მიგვაჩნია, რომ კონცეპტუალურად უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს შენებისადმი მიდგომა. ის დემოკრატიული უნდა გახდეს და შესაბამისად შსს არ უნდა იყოს ერთ ხელში მოქცეული ძალმომრეობის მანქანა.

### ბრძოლა გამარჯვებამდე

მიუხედავად იმისა, რომ „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები გამოთქმული პროტესტისათვის ციხეში გამოამწყვდიეს (მათ შორის ლაშა ჩხარტიშვილი – ორჯერ), ისინი დანებებას მაინც არ აპირებენ, სანამ ქვეყანაში „სიკვდილის ბრიგადების" თარეში არ აღიკვეთება, სამართალი პურს არ შეჭამს, დემოკრატია არ იზეიმებს და საზოგადოების მჩაგვრელი კი არა, მფარველი ხელისუფლება არ გვეყოლება.

ამ ნარეკლიან გზაზე სიარულისას ლაშა ჩხარტიშვილი ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციებსა და სხვადასხვა სახის ძალადობას, თუნდაც იგივე უკანონო დაპატიმრებებსაც არ გამორიცხავს, მაგრამ „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებმა სწორედ ხელისუფლებასთან ბრძოლაში გამოავლინეს თავი, როგორც „უშიშნი ვითარცა უხორცო" და ქედის მოდრეკაზე ფიქრიც კი ეზედმეტებათ.

ამ ბრძოლაში ლაშას საზოგადოების აქტიურობისა და მხარდაჭერის იმედი აქვს.

**ჯაბა ხუბუა**

*P. S. წერილის მთავარი სათაური „თანასწორობის ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერის ზურა რთველიაშვილის ლექსიდანაა.*

*ფიცხელ ბრძოლაში ვიწვევ ლუციუსს,*
*წინ გაზაფხული მოგველის ცხელი,*
*სცენიდან გადის რევოლუცია*
*და თან გაჰყვება ვარდების მტვერი.*

*სწორედ ამ ლექსს კითხულობდა ზურა რამდენიმე საათით ადრე მანამ, სანამ ხელისუფლება მას, ირაკლი კაკაბაძეს, ლაშა ჩხარტიშვილს, ჯაბა ჯიშკარიანსა და დათო დალაქიშვილს ხელბორკილებს დაადებდა.*

*ჯ. ხ.*

## ⊙ აქტუალური თემა

# მერი ერთი იქნება, ადგილი კი ცხრას სურს

„მრეწველები" არ აკონკრეტებენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და რეგლამენტში არ აღადგენს მუხლს, რომლის თანახმადაც არჩევნებში მეორე საუკეთესო შედეგების მქონე ფრაქციას საპარლამენტო უმცირესობის სტატუსი მიენიჭება: მოგეხსენებათ, „მრეწველები" სხდომებზე დასასწრებად მზად არიან, თუ მათი ეს პირობა შესრულდება. ამ საკითხზე ალბათ, ისინი პასუხს 10 ოქტომბრის შემდეგ მიიღებენ. საქართველოს პარლამენტი მუშაობას ამ დღიდან განაგრძობს, მანამდე სხდომები არ გაიმართება. პლენარული სხდომების გადადების მიზეზი რეგლამენტში შეტანილი ცვლილებაა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე პარლამენტის მუშაობის ერთი თვით შეწყვეტას ითვალისწინებს. რეგლამენტში ამ ცვლილების შეტანამდე, კანონი ერთთვიან ინტერვალს მხოლოდ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ გულისხმობდა. 10 ოქტომბრამდე პარლამენტი შესაძლოა რიგგარეშედ მხოლოდ ქვეყნისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად შეიკრიბოს. სხდომები არ გაიმართება, მაგრამ ადგილობრივი არჩევნების დამთავრებამდე საკანონმდებლო ორგანო მაინც საგანგებო რეჟიმით იმუშავებს.

არჩევნების ძირითადი ფრონტი თბილისის საკრებულოა, რომელმაც შემდეგ ქალაქის მერი უნდა აირჩიოს.

ოპოზიციას არც ბოიკოტი გამოუვიდა და არც ბლოკში გაერთიანება. 5 ოქტომბრის არჩევნებში ერთიანი ძალით მონაწილეობას მხოლოდ რესპუბლიკელები და კონსერვატორები აპირებენ. ახალ ბლოკს დავითაშვილ-ხიდაშელი-ბერძენიშვილი დაარქვეს. საარჩევნო ბლოკის პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება. რესპუბლიკელების ლიდერის დავით უსუფაშვილის თქმით, ბლოკი დედაქალაქსა და ქვეყნის ყველა რაიონში გამარჯვებისათვის იბრძოლებს.

თინა ხიდაშელი საკრებულოს თავმჯდომარე რომ გახდეს, ამისთვის საჭიროა 10 უბნიდან 6 ოპოზიციამ მოიგოს. ეს კი რამდენად არის შესაძლებელი, რთული სათქმელია. ოპოზიციის შანსებს საპარლამენტო უმრავლესობა ნულის ტოლად აფასებს.

**მზია გელენავა**

## ⊙ ინფორმაცია

# გოგა ოძელი შაქრო კალაშოვის საქმესთან დაკავშირებით დაკითხეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილის" საარჩევნო ბლოკის კოორდინატორი გოგა ოძელი დაკავებული არ არის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ოძელი ე. წ. „კანონიერი ქურდის" შაქრო კალაშოვის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით იკითხება.

ოძელის დაკავებასთან დაკავშირებით, კონკრეტული ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. ფაქტის შესახებ არაფერი იცოდნენ „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილის" საარჩევნო ბლოკშიც. ისინი ამ ფაქტს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირებენ.



გოგა ოძელი გუშინ დილით, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან აიყვანეს. გუშინ საღამოსვე იგი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

**ინტერპრესნიუსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაცია

### ევროკავშირი უნდა დაგვეხმაროს!

საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირს, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებას, ამ კონფლიქტებში რუსეთის როლის შესუსტებას და ოსებთან და აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის დაწყებას სთხოვს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა გუშინ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეცვლის გადაწყვეტილებას ძალის არ გამოყენების შესახებ და ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მხოლოდ მას შემდეგ შედგება, როცა კონფლიქტის ზონებს ე.წ. რუსი სამშვიდობო ძალები დატოვებენ.

### საქართველოს ქუვეითის პრემიერ-მინისტრი ეწვევა

საქართველოს დღეს ქუვეითის პრემიერ-მინისტრი შეიხი ნასერ მოჰამედ ალ-აჰმედ ალ-საბაჰი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

ვიზიტის მიზანი საქართველოსა და ქუვეითს შორის მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება და მათი გაღრმავებაა.

სტუმრის პატივსაცემად შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გალა კონცერტი გაიმართება.

### გალინა ვიშნევსკაია თბილისში

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა გუშინ ცნობილი რუსი სოპრანო, მოსკოვის საოპერო მუსიკის ცენტრის ხელმძღვანელ გალინა ვიშნევსკაია მიიღო.

მინისტრის განცხადებით, თბილისს კლასიკური მუსიკის ცოცხალი ლეგენდა ეწვია. „გალინა ვიშნევსკაიასა და მისი მეუღლის მსტისლავ როსტროპოვიჩის სახელები უკვე თანამედროვე კლასიკური მუსიკის ლეგენდებად აღიარეს. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ ესტუმრეთ საქართველოს“, – განაცხადა გაბაშვილმა.

ვიშნევსკაიას განცხადებით, საქართველო მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ქვეყანაა. „განსაკუთრებულად მიყვარს ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკა. ამ ქვეყანას განუმეორებელი ჰარმონია აქვს, რომლის მსგავსს, პირადად მე, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ შევხვედრივარ“, – განაცხადა ვიშნევსკაიამ.

მისი თქმით, იგი ამჟამად მუშაობს პროექტზე, რომელიც ახალგაზრდა ქართველ საოპერო შემსრულებლებს საშუალებას მისცემს, მოსკოვის საოპერო სიმღერის ცენტრში მიიღონ განათლება.

**ინტერპრესნიუსი**

## ხმა ევროპიდან

# „Бежали робкие Грузины...“

## ღია წერილი ალექსანდრ პროხანოვს

*ბოლო ხანს რუსული მასმედიით აზვირთებული ანტიქართული ისტერია ზღვარს ისე გადავიდა, რომ საზოგადოებრიობა არა მხოლოდ ჩვენში, საზღვარგარეთაც იმაღლებს ხმას მის წინააღმდეგ. ვაქვეყნებთ ამ მოვლენებზე დოქტორ მოისეი ბოროდას გამოძახილს გერმანიიდან. მისი წერილები რედაქციას მოაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, კულტუროლოგმა ინგა ბახტაძემ, რომელსაც მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს გერმანიის სამეცნიერო წრეებთან, ძალას არ იშურებს იქ ქართული კულტურის პროპაგანდისთვის.*

### წერილი პირველი

ბატონო პროხანოვ!

სატელევიზიო გადაცემაში «Особое мнение» (02.08.2006) თქვენი გამოსვლის დროს, როცა მსჯელობდით, თუ რას მოიმოქმედებენ საქართველოს ძალები იმ შემთხვევაში, რუსულმა არმიამ „ძმური დახმარების“ ხელი რომ გაუწოდოს ოს, აფხაზ და სხვა სეპარატისტებს, მოიყვანეთ ციტატა, როგორც მაშინ ბრძანეთ, პუშკინის ლექსიდან: „ Бежали робкие грузины...“ – ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი „განსაკუთრებული აზრისთვის“ გაგემაგრებინათ ზურგი რუსული ლიტერატურის კლასიკოსის მხარდაჭერით. შემდეგ კი უფრო ღრმადაც შეტოპეთ, და დასძინეთ, „აი, პუშკინს ასე სურდა ეთქვა“.

სამწუხაროდ, იმედი უნდა გაგიცრუოთ! თქვენს მიერ მოყვანილი სიტყვები არ ეკუთვნის ალექსანდრ პუშკინს. ამ დიდმა პოეტმა დაწერა სხვა ლექსები – მაგალითად «На холмах Грузии», «Не пой, красавица, при мне / Ты песен Грузии печальной...» და ა.შ. ნაწარმოები კი, რომლიდანაც მოიყვანეთ ციტატა, ეკუთვნის სულ სხვა პოეტს – მიხაილ ლერმონტოვს – დიახ, დიახ. სწორედ იმ ლერმონტოვს, რომელიც თავის დროზე წერდა «Прощай, немытая Россия, / Страна рабов, страна господ...». აი, ასეა, ბატონო პროხანოვ, დიდ რუსულ ლიტერატურაში.

მაგრამ ჩემი ღია წერილის მიზანი არ არის ლიტერატურული უწიგნურობის ლიკვიდაციის გაკვეთილი. ალბათ, არც ღირს ამის გამო მოგწეროთ კაცმა წერილი, და თანაც – ღია.

დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს თქვენს და თქვენი თანამოაზრეების გამოსვლებს «Особое мнение» გადაცემებში. საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ზოგჯერ შეიარაღებული (როგორც ეს აფხაზეთში იყო), ზოგჯერ კი – წმინდა საინფორმაციო ომის დროს, ქვეყნისთვის მისი მკვიდრი ტერიტორიების ჩამოშორების, საქართველოს დაქუცმაცების, ყოფილი სიუზერენის „მფარველი კალთის“ ქვეშ მისი დაბრუნების მცდელობის მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თქვენ და თქვენი თანამოაზრეები აქტიურად უჭერთ მხარს ამ კამპანიას, მოითხოვთ განხორციელდეს „უგუნურ ხაზართა“ დამორჩილებისათვის გამიზნული ძალადობრივი ღონისძიებები – ისეთები, მაგალითად, როგორიც არის იქ შავი ზღვის ფლოტის გაგზავნა (ეს თქვენი გამონათქვამია, ბატონო პროხანოვ!), კონტრრევოლუციის გზით მისი მთავრობის შეცვლა (ანუ დამხობა), და ა.შ. იმ ყალბი თანაგრძნობის სიტყვებზე კი, რომლებსაც ხანდახან გამოთქვამთ ხოლმე ქართველი ერის მიმართ, ალბათ, არავინ წამოეგება, რადგან ყოველივე ამის უკან თვალნათლივ იკვეთება თქვენი წარმოდგენით „დიადი რუსეთის“ – მსოფლიოს (ან მისი სხვადასხვა საშუალებით დაპყრობილი ნაწილის) ბატონ-პატრონის, „მესამე რომის“ კონტურები, რომელიც ყველა (მორჩილ) დას თითო საყურით ასაჩუქრებს, მამაშვილურად სჯის უგუნურ ხაზარებს და თაფლაკვერით აჯილდოებს თვინიერებს. რას გააწყობ, ასე გიყვარდეთ რუსეთი ხომ თქვენი კანონიერი უფლებაა. თქვენივე უფლებაა ასევე გამოთქვათ განსაკუთრებული აზრი თქვენთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით. თქვენი უფლებაა „თავისუფლებისთვის მებრძოლებად“ შერაცხოთ ყველა ჯურის ტერორისტი და მკვლელი. ხოლო იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ყოველივე ეს უბრალო ადამიანური პატიოსნების და დაკისრებული საქმისთვის ჟურნალისტის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ვფიქრობ, ლაპარაკი არც კი ღირს.

მაგრამ პატარა საქართველოსაც შეუძლია ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული აზრი „მესამე რომის“, მისი შთაგონებული მშენებლებისა და „უფროსი ძმის“ და „უმცროსი ძმების“ კონცეფციის ადეპტების შესახებ. – ეს თავისი აზრი მან გამოთქვა ერთმნიშვნელოვნად და სრულიად მკაფიოდ ჯერ კიდევ 17 წლის წინათ. საქართველოსთვის „მესამე რომია“ ის, რის მიღმაც არის ევგენიკური ისტერიით განადგურებული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და მილიონობით ცოცხალი ადამიანი, რომლებსაც შიშისგან დამახინჯებიათ სული, წინ კი მოჩანს მხოლოდ „დიადი მიღწევების“, ხელისუფლების სიყვარულის და „მტრების“ სიძულვილის კოლექტიური გამოხატულების ჰორიზონტები – უმძიმესი და ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული სიცოცხლე, რომელიც გაყინულია ე.წ. „კეთილდღეობაში“ და „კეთილ ბატონზე“ ოცნებაში.

ასეთ „რომთან“ საქართველოს არაფერი აქვს საერთო და არც შეიძლება ჰქონდეს. თავის პოლიტიკურ ისტორიაში მას ხომ არ გაუტეხია სახელი სხვა ხალხების ჩაგვრით „ხუთპროცენტიანი ნორმით“, „ბინადრობის საზღვრით“ და სხვა მსგავსი დადგენილებებით – სწორედ ისევე, როგორც მისი ეკლესიის ისტორია, რომელიც ეფუძნება ბიბლიურ ქრისტიანობას და დიადი წიგნის ხალხებთან ნათესაობას, რომელმაც არ იცოდა „კუდიანებზე“ ნადირობა, არ ჰქონდა მსოფლიოსთვის ჭკუის სწავლების პრეტენზია და არც იმ ხელისუფლებასთან გაერთიანობის სურვილი, რომელიც მსოფლიო ბატონობას ესწრაფოდა.

თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს გაღიზიანებთ, რომ „უმადური“ საქართველო ჩამოშორდა რუსეთს, რომ იგი თქვენთან ერთად არ მიაბიჯებს. რა თქმა უნდა: «И божья благодать / сошла на Грузию». რა თქმა უნდა – მაგრამ გაიხსენეთ საქართველოდან გასახლებული სამეფო ოჯახი და თეთრად გადალესილი ქართული ფრესკები, გაიხსენეთ იმპერიის ნათელ პერიოდში საქართველოში განხორციელებული სადამსჯელო ექსპედიციები. გაიხსენეთ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული, მაგრამ თანდათანობით დგებოდა ძველ იმპერიულ ფეხებზე. მან ხომ დაუდო ხელშეკრულება საქართველოს და დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება ომისთვის. გაიხსენეთ უკვე მაშინ საქართველოსგან ჩამოშორებული ტერიტორია. გაიხსენეთ, თუ როგორ ჩაახშვეს სისხლში ახალგაზრდათა დემონსტრაციები „ხრუშჩოვისეული დათბობის“ დროს, რომლებსაც მხოლოდ ის სურდათ, რომ ზემოდან ნაბოძები თავისუფლების ჰაერით ესუნთქათ. გაიხსენეთ 1989 წლის 9 აპრილი, როცა ძლევამოსილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებმა, რომლებსაც მოგვიანებით, ქართველ აკადემიკოსებთან შეხვედრის დროს, ედუარდ შევარდნაძემ სავსებით სამართლიანად უწოდა „ესესელთა ჯარები“, დახოცეს სრულიად დაუცველი ადამიანები და მოწამლეს ასობით კაცი – შემდეგ კი ამ ოპერაციის სულისჩამდგმელები და ხელმძღვანელები ურცხვად ცრუობდნენ და ცდილობდნენ პასუხისმგებლობა თვით მსხვერპლისთვის დაეკისრებინათ. გაიხსენეთ არცთუ ისე შორეული წარსულის მოვლენები – აფხაზეთი და მაშინდელი რუსეთის გმირი შამილ ბასაევი, გაიხსენეთ ის მუქარა, რომელსაც საქართველოს მისამართით გამოთქვამდა რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება.

ახლა, როცა ჩივით, რომ საქართველოს[illegible] სურს ენდოს ასეთ პარტნიორს, ბატონო პროხანოვ, ეს უდიდესი პირფერობაა და სხვა არაფერი. ხოლო ამის გამო საქართველოს სიძულვილი და აშკარად თუ ფარულად ნიშნის მოგება ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, არის ცინიზმის უმაღლესი გამოვლინება და ჰუმანური ორიენტაციის აბსოლუტური დაკარგვა. ადამიანი, ალბათ, დაბრმავებული უნდა იყოს „მესამე რომის“ სიყვარულით, ყოველივე ეს რომ ვერ დაინახოს. ხოლო ის, თუ რომელია თქვენთვის უფრო მისაღები ამ ორი „სიკეთიდან“ – იმპერიის სიყვარულით დაბრმავება, თუ ჰუმანური ორიენტაციის დაკარგვა – ამის განსჯა თქვენთვის მომინდია.

იქნებ, ჩემი წერილი დაგეხმაროთ თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს ჩაუფიქრდეთ, თუ რას აკეთებთ, როცა მტრობის და შუღლის თესლს თესავთ ყოველივე იმის მიმართ, რაც თქვენი აზრით აკნინებს „მესამე რომის“ ძლიერებას. იქნებ ჩაფიქრდეთ იმაზე, თუ რა მოუტანა თქვენი საყვარელი ქვეყნის „ძლიერებამ“ მას არცთუ ისე შორეულ წარსულში. გულწრფელად გისურვებთ, ჩაუფიქრდეთ ამას. ვამბობ ისეთივე გულწრფელობით, როგორითაც მსურს, რომ საქართველო და რუსეთი – თავ-თავიანთი ქვეყნების ხალხების არა მარტო კეთილდღეობისთვის, არამედ მორალისთვისაც ალჭურვილი პასუხისმგებლობის მქონე სუვერენული პარტნიორები – ერთობლივად მიიწევდნენ წინ.

ხოლო თუ თქვენ, ისევე როგორც უწინ, კვლავ დაემუქრებით საქართველოს, თქვენი გამონათქვამებით დაუჭერთ მხარს მისი ტერიტორიების ჩამოშორებას და ქვეყნის დაქუცმაცებას, და როგორც მთელი ამ „კეთილშობილური პროცესის“ დაგვირგვინებას – იმპერიაში მის დაბრუნებას, მაშინ ერთადერთი, რაც შემიძლია გისურვოთ, იქნება ის, რომ ერთმანეთში აღარ შეგეშალოთ ალექსანდრ პუშკინი და მიხაილ ლერმონტოვი.

**მოისეი ბოროდა,**
**გერმანია.**



XIX საუკუნის 50-იანი წლების თბილისი



## გვწერენ

### თბილისის მერამდე არ მიმიშვეს, რაკი დევნილი ვარ

**ამ წერილის დაწერა მაიძულა მერიის მისაღების თანამშრომელმა თამუნა ანდრიაძემ.**

ვარ დევნილი აფხაზეთიდან. სოხუმის დაცემის შემდეგ ვცხოვრობ ქ. თბილისში. (მიწერა მაქვს ვაკის რ-ნში).

პირად საკითხზე მინდოდა რამდენიმე წუთით თბილისის მერის შეწუხება, მოვინდომე მასთან მიღებაზე ჩაწერა, მაგრამ მისაღების თანამშრომელმა თ. ანდრიაძემ უარი განმიცხადა იმ მოტივით, რომ მე ვარ არა თბილისის მაცხოვრებელი, არამედ დევნილი. ამის გამგონემ თავი ძალიან შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვიგრძენი, ტირილით დავტოვე მერიის მისაღები.

იმედი მაქვს, ბატონი გიგი ამ წერილს წაიკითხავს და რამდენიმე წუთს გამონახავს ჩემთან სასაუბროდ.

**ნინო კვარაცხელია**

ჩემი მისამართია:
ქ. თბილისი 0162, ბაგები,
V კორპუსი, ბინა №430
e-mail: nino.k@libero.it
მობ. 899 27-74-68.

◎ თვალსაზრისი

# რატომ დაიშალა „რუსთავი-2?"

## მაყურებლის ნერვების მოშლა ჟურნალისტური მეთოდი არ არის

„რუსთავი-2"-დან – „ძველი გვარდია" წავიდა!

მერედა, რა სახეები – ირმა ნადირაშვილი, ნათია ზამბახიძე, ეკა ხოფერია, ნანა ლეჟავა, ნათია ლაზაშვილი, თამარ ლვინიანიძე.

ბანალურობაზე მეტია, თუ ვიტყვით, რომ მათი ტელესივრციდან წასვლით მთელი ეპოქა დასრულდა. არადა, საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვანს ეხება: ამ გუნდმა არა მხოლოდ „ვარდების რევოლუციაში" შეიტანა ლომის წილი, არამედ ქვეყანაში ახალი „სტილისა" და ახალი ღირებულებითი რეალობის დამკვიდრებაშიც.

შესაბამისად, „წასვლის" მიზეზები არ შეიძლება საზოგადოებას არ აღელვებდეს, ხოლო თანმდევი გაურკვევლობა და ბუნდოვანება – არ აოცებდეს.

* * *

ამ საკითხებზე მსჯელობისას, ჯერ ერთი, თავდაპირველადვე უნდა ითქვას, რომ ხსენებული „ლამაზი გვარდიის" წასვლა ტელევიზიიდან სულაც არ ყოფილა ისეთი „ნებაყოფლობითი", როგორც მათ სურთ წარმოაჩინონ. არსებობს ერთი მახვილგონივრული რუსული გამოთქმა „ის უშლი", რომელსაც სემანტიკურად ქართული „გაშვება" შეესატყვისება. საქართველოში თანამშრომელს „უშვებენ" იმ აზრით, რომ „გაშვებულს" ყოველთვის რჩება საშუალება, შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის თავად „გათავისუფლდა".

რაც შეეხება მთავარ კითხვას: „რატომ?" პასუხი ერთმნიშვნელოვანია: იმიტომ, რომ „სკანდალური ტელევიზიის" ეპოქა საქართველოში დამთავრდა! თანაც, დამთავრდა შევარდნაძის ეპოქასთან ერთად, რაც იმ ეპოქის მთავარ მესაფლავეებს ალბათ ყველაზე მეტად გაუკვირდებათ.

არასდროს დამავიწყდება: „რუსთავი-2"-ის ერთ-ერთი „ძველი სახე" ეკა ხარია მეუბნებოდა 8 წლის წინათ: „ჩვენთვის მთავარია, მაყურებელმა გვიყუროს. ამისთვის კი აუცილებელია იგი გავაღიზიანოთ. არა აქვს მნიშვნელობა, მოეწონება თუ არა, რასაც უყურებს – მთავარია გაღიზიანდეს. თუ გაღიზიანდება, გარწმუნებ, მეორე დღეს, სატელევიზიო პულტით ხელში, „აძაგძაგებული" დაელოდება „9-საათიან კურიერს".

ამ ფრაზაში საოცარი სიზუსტითაა გამოხატული ფენომენის არსი: მართლაც, წლების განმავლობაში, მილიონობით ადამიანი, მათ შორის ისინიც კი, ვისაც ეს „სკანდალიზმი" ძალიან აღიზიანებდათ, ყოველ საღამოს, „რემოუთ კონტროლით" ხელში, გულისფანცქალით ელოდა, როდის დაასრულებდა „წიკწიკს" საათის ისარი კურიერის დაწყებამდე.

„სკანდალიზმის" ერთ-ერთი თვისება ისაა, რომ იგი მიმზიდველია! ოღონდ ეგაა, რევოლუციის შემდეგ, არაპოლიტიკური სკანდალით (ტოპნიუსები ექიმების შეცდომებზე და სხვა) იგივე მიზნის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მაგრამ ტელევიზიას პოლიტიკური „სკანდალით" რეიტინგის შენარჩუნება მხოლოდ ისეთი უმწეო, არაქმედუნარიანი ხელისუფლების პირობებში თუ შეეძლო, როგორიც შევარდნაძის რეჟიმი იყო. ლეგიტიმური (ძლიერი და ქმედითი) ხელისუფლება, რასაკვირველია, ამას არ დაუშვებდა.




პირველი, ვინც მიხვდა, რომ „სკანდალური ტელევიზიის" ეპოქა საქართველოში დამთავრდა, „პოლიტიკური სკანდალით" რეიტინგის (შესაბამისად დიდი შემოსავლების!) შენარჩუნება ველარ მოხერხდებოდა და ძლიერ ხელისუფლებას წინამორბედივით ველარ „გაადარდუბალებდნენ", იყო ეროსი კიწმარიშვილი. მის „ძველ გვარდიას" კი დღემდე უკვირს: „რატომ გაყიდა ეროსიმ ტელევიზია?". არადა, ჭკვიანი ბიზნესმენი აქტივს მანამ ყიდის, სანამ მისი დევალვაცია ბაზრის სუბიექტებისთვის ნათელი გახდება.

„მშვენიერი გვარდია" ყოველთვის გულწრფელი იყო. ამას ვერავინ დაუკარგავს. მტკნარი სისულელეა შევარდნაძისადმი მისი დაპირისპირების ახსნა „შეკვეთით" და რაიმე მატერიალური დაინტერესებით – იმ დაპირისპირებას არანაირი რაციონალური (ინტელექტუალური თუ მსოფლმხედველობითი) საფუძველი არ ჰქონდა და, საერთოდ, არაფერი ედო საფუძვლად გარდა ახალგაზრდა ქალებისთვის გენეტიკურად დამახასიათებელი ქვეცნობიერი ზიზღისა – აქტიურობის პრეტენზიის მქონე მოხუცი მამაკაცისადმი.

საბედნიეროდ, ამ სავსებით ბუნებრივმა და მართებულმა განწყობამ საქართველოში ახალი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური რეალობის შექმნას შეუწყო ხელი. **ჰოდა, „ვუმღეროთ მშვენიერებას!"**

მაგრამ ახალ რეალობაში „ლამაზ გვარდიას" ძველი სტატუსისა და ფუნქციის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუწია, რისთვისაც სულაც არ აღმოჩნდა მზად. „ორკვირიანი ვადაც" სწორედ ამ ბრძოლის ბოლო აქტი იყო, თორემ, თუ „ერთხელ და საბოლოოდ მოხსნილი" ნიკა ტაბატაძისადმი სოლიდარობაზეა საუბარი, სოლიდარობის ორი კვირის შემდეგ გამოხატვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება.

„რუსთავი-2"-ის „მშვენიერი გვარდიის" მებრძოლები თავად, სავსებით გულწრფელად, ყოველგვარი მატერიალური ანგარებისა და „შეკვეთის" გარეშე იქცნენ „რევოლუციის სახეებად". მომხიბვლელი გულწრფელობითა და ჭეშმარიტად შექსპირული ვნებით ამბობდნენ: **„არ ვიქნებით ობიექტურნი!"**.

რეალურად, სწორედ მათი გულწრფელობისა და ვნების „დამსახურებაა", რომ გადამწყვეტ მომენტში ასლან აბაშიძის მიერ თბილისში გამოგზავნილმა, კბილებამდე შეიარაღებულმა ბანდამ „გასროლა" ვერ გაბედა.

მაგრამ მათ იმთავითვე უნდა სცოდნოდათ, რომ „რევოლუციური სახეები" არც ერთ გონიერ, პასუხისმგებელ ხელისუფლებას არ უნდა, ვინაიდან ეს სახეები, თავისთავად, ყოველთვის ახსენებენ ხალხს (მასას, ბრბოს), რევოლუციის შესაძლებლობას.

**მთავარი შეცდომა კი ის აღმოჩნდა, რომ „მოყირჭების" ფენომენი მხოლოდ შევარდნაძესთან დაკავშირებული ეგონათ. რატომ სხვა ჟურნალისტები არ „ყირჭდება" ხალხს? – იმიტომ, რომ მაყურებლის ნერვების მოშლა ჟურნალისტურ მეთოდად არ მიაჩნიათ და საკუთარ ღირებულებებს, განწყობას (მით უმეტეს ინტერესებს) აგრესიულად თავს არ ახვევენ.**

**ნიკა იმნაიშვილი,**
**რადიო „თავისუფალი ევროპა – თავისუფლება".**

◎ დღითის სუნი

# კაზაკებიც გვემუქრებიან!

*ბოლო ხანს გავრცელდა ინფორმაცია, რომ გალის რაიონის სოფლებში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირებების გარდა, რუსეთიდან, განსაკუთრებით კი ყუბანიდან ჩამოსული კაზაკი „მოხალისეებიც" შეიყვანეს. თანაც, ბალაფშის ადმინისტრაციის ბრძანების საფუძველზე თითოეული სოფლიდან უნდა მოხდეს 20-20 ქართველი მამაკაცის მობილიზაცია და მათი დაყენება ბლოკ-საგუშაგოების წინა ხაზზე, მათ უკან აფხაზები იდგებიან, ხოლო შემდეგ კაზაკები. იმავე ბრძანების თანახმად, კაზაკების შენახვა და კვება ქართველმა მოსახლეობამ უნდა უზრუნველყოს. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, კაზაკთა რამდენიმე ათეულმა უკვე დაიკავა ენგურჰესის შენობა და განლაგდა იქ...*

თუ გავიხსენებთ აფხაზეთში მიმდინარე ადრინდელ ბრძოლებს, მაშინ შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები, ჩეჩენთა ძლიერი დაჯგუფებები, ყაბარდოელები, ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი, თერგისა და ყუბანის კაზაკები. ყველა ეს ძალა ამჟამადაც მზად არის საჭიროების შემთხვევაში აფხაზებს დაეხმარონ ქართველების წინააღმდეგ.

მინდა მოკლე ექსკურსი გავაკეთო კაზაკთა ისტორიაში. გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით და აქტიურობით გამოირჩეოდნენ როგორც თეთრგვარდიელი კაზაკები, ასევე წითელი კაზაკები. თუ პირველები კონტრრევოლუციონერებს უჭერდნენ მხარს და მთელი სისასტიკით ებრძოდნენ ბოლშევიკებს, მეორენი თავგამოდებით იცავდნენ ე.წ. „ოქტომბრის რევოლუციის" მონაპოვარს და მტკიცედ იდგნენ ბოლშევიკების მხარეს.

სწორედ იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთში ფუნქციონირებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელთა გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს. საბჭოთა ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილებით ერთის მხრივ მოახერხა კაზაკთა დაშოშმინება, ხოლო მეორეს მხრივ მათი უფლებები მეტნაკლებად შეზღუდა და, რაც მთავარია, მათ ქმედებებზე მკაცრი კონტროლი დააწესა. ამასთან ერთად, კაზაკების ერთგულება და ნდობა საბჭოების მიმართ ძალზე ამაღლდა და განმტკიცდა სტალინის მიერ ნათქვამი სიტყვების შემდეგ: „კაზაკობა საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენია!"

დონის კაზაკთა ცხოვრება კარგად აქვს აღწერილი მიხეილ შოლოხოვს თავის მშვენიერ რომანში „წყნარი დონი". ალბათ, ბევრს ახსოვს მხატვრული ფილმი „ყუბანელი კაზაკები". დიახ, ადრე რუსეთში ძირითადად არსებობდნენ სხვადასხვა დასახელების კაზაკთა გაერთიანებები, რომლებიც საფრონტო სარდლობებს ექვემდებარებოდნენ და რეგულარულ არმიებთან ერთად კოორდინირებულად იბრძოდნენ როგორც სამოქალაქო ომის დროს, ასევე დიდი სამამულო ომის პერიოდში...

გავიდა ხანი, – დაიშალა საბჭოთა კავშირი და შეიქმნა კაზაკთა სხვადასხვა კავშირი, გაერთიანება, ასოციაცია..., რომლებსაც ამჟამინდელი რუსეთის ხელმძღვანელობა თავისი იმპერიული ამბიციებისა და ზრახვების განსახორციელებლად იყენებს.

თუ სტალინის შეფასებას დავუჯერებთ, რომ „კაზაკები განსაკუთრებით სიმკაცრეს იჩენენ სამშობლოს მტრებისა და მოღალატეების მიმართ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი", მაშინ რას მივაწეროთ კაზაკების მოქმედებები აფხაზეთის ომის დროს, როდესაც ისინი იბრძოდნენ ქარველების წინააღმდეგ და თავგამოდებით იცავდნენ აფხაზ სეპარატისტებს და მათ ერთგულ დამქაშებს? „რუსეთის კაზაკთა" ატამანი ივანე კონონოვი ქართველებისთვის ცნობილი პიროვნება გახდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აფხაზეთის ომის დროს კაზაკები მისი მეთაურობით განსაკუთრებული სისასტიკით იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ და ქართველების სისხლში აქვთ გასვრილი ხელები. სხვათა შორის, ატამანი კონონოვი არც ამჟამად ისვენებს და ხან კოკოითს ეპირფერება, ხან ბაღაფშს ეფიცება ერთგულებას.



„რუსეთის კაზაკთა" გარდა ფუნქციონირებენ „დონის კაზაკთა გაერთიანება" (ატამანი კაზანცევი), „ყუბანის კაზაკები" (ატამანი გრომოვი) და ა.შ., რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე სამხედრო ტექნიკითა და შეიარაღებით. მათ ზედამხედველობას და კონტროლს უწევენ არა მარტო რუსეთის გენერალიტეტი, არამედ, აგრეთვე სპეცსამსახურები...

„თხა თხაზე ნაკლებიო" და საქართველოში უფრო წინ წავიდნენ, – „საქართველოს კაზაკთა კავშირის" გარდა, რეგისტრირებულია „კაზაკთა საერთაშორისო ასოციაცია", „კავკასიის კაზაკთა კავშირი", „კაზაკთა მსოფლიო გაერთიანება"...

ყველა ამ კავშირში, ასოციაციაში, გაერთიანებაში 50-მდე გენერალია, თითქმის იმდენი, რამდენიც ჩვენს შეიარაღებულ ძალებში სულ.

აქვე დავსძენ, რომ საქართველოში ფუნქციონირებს „ოფიცერთა კავშირი" და ისიც ზოგიერთებს ანიჭებს გენერალის წოდებას.

ბუნებრივია, ისმის კითხვები: – ვისთან არის შეთანხმებული და დამტკიცებული უმაღლესი ოფიცრის წოდებების მინიჭება? ვინ გასცემს მათზე გენერლის სპეციალური პირადობის მოწმობებს? რამდენი რიგითი მებრძოლი კაზაკია შესაბამისად გენერალთა დაქვემდებარებაში? რა სახის და რა რაოდენობის სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებაა მათ განკარგულებაში? მზად არიან თუ არა ქართველი კაზაკები დაიცვან თავიანთი სამშობლოს და ხალხის ინტერესები? შეუძლიათ თუ არა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის აღდგენის საქმეში?

სხვათა შორის, კაზაკთა ქართველი გენერლები ძირითადად ვეტერანი-პენსიონერები, ინვალიდები და ხანში შესული ადამიანები არიან. ისინი რეზერვისტებად არ ითვლებიან და ბუნებრივია, საბრძოლო მოქმედებებში მათი გამოყენების ცდაც კი გამორიცხულია.

თუ ადრე საქართველო ექიმების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო, ამჟამად გენერლების რაოდენობით ვლიდერობთ. ისე ნაპოლეონს და კუტუზოვს ამდენი გენერალი ერთობლივად არ ჰყოლია, მაგრამ ბოროდინოს ბრძოლის ბედი ძირითადად გადაწყვიტეს რუსმა ჯარისკაცებმა და პეტრე ბაგრატიონისნაირმა ზოგიერთმა გენერალმა.

მართლაც რომ შთამბეჭდავია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიტყვები: „ძლიერი კაზაკობა, ძლიერი რუსეთი". მაგრამ რამდენად მისაღებია მისი სიტყვები ჩვენთვის?

**დაბოლოს ერთს კი ვიტყვი: – საჭიროა საქართველოს კაზაკთა მესვეურებმა გამონახონ საერთო ენა რუსეთის კაზაკთა ატამანებთან თუ გეტმანებთან და დაამყარონ საქმიანი კონტაქტები, რათა ისინი არ ჩაერიონ საქართველოს საშინაო საქმეებში და დაიცვან ნეიტრალიტეტი.**

**გურამ ჩხიკვაძე**

◎ ინფორმაცია

## განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რაოდენობამ იკლო?



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2006 წლის 7 თვის დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა.

სტატისტიკის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კლება აღინიშნება.

მათ შორის, განზრახ მკვლელობა – 36,6 პროცენტით. მიმდინარე წლის 7 თვეში რეგისტრირებულია 210 დანაშაული, 2005 წ. 7 თვეში კი – 331.

0,6 პროცენტით შემცირებულია მკვლელობის მცდელობები. 2006 წელს ამ ტიპის 164 დანაშაულია რეგისტრირებული; 2005 წ. 7 თვეში კი რეგისტრირებულია 165 დანაშაული.

ასევე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – 32,7 პროცენტით. 2005 წ. 7 თვეში რეგისტრირებულია 251 დანაშაული, ხოლო 2006 წ. 7 თვეში 169 თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ანგარებით – 49 პროცენტი, 2005 წ. 7 თვეში რეგისტრირებულია 51 დანაშაული, ხოლო 2006 წ. 7 თვეში 26 ყაჩაღური თავდასხმა სატრანსპორტო საშუალების დაუფლების მიზნით – 11,6 პროცენტი, 2005 წ. 7 თვეში რეგისტრირებულია 129 დანაშაული, ხოლო 2006 წ. 7 თვეში – 114.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, აღინიშნება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ქურდობის კლება – 22,5 პროცენტი, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე – 38,7 პროცენტი.

ХО-ЭОЯ-ЭБО.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ◎ სიმართლე კი ასეთია

# ოსები საქართველოში: მითი და რეალობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 163-167, 175-179.

ამჟამად ზუსტად ანალოგიურ პრეტენზიებს აყენებს დ. მედოევიც. მისი აზრით, 1980-იანი წლების ბოლოს სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალოთვიურმა ხელფასმა სამხრეთ ოსეთში ძლივს მიაღწია 180 მანეთს, მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში და საქართველოს სსრ-ში მან 250 მანეთს გადააჭარბაო. ასეთი მონაცემები არ არსებობს და იგი დ. მედოევის ფანტაზიის ნაყოფია. 1989 წლის მონაცემები ჩვენ უკვე მოვიტანეთ, ამიტომ ახლა, სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, 1988 წლის მონაცემებსაც გავეცნოთ. მუშა-მოსამსახურეთა საშუალოთვიური ხელფასი ამ წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთში არა 180 მანეთს, არამედ გაცილებით ნაკლებს – 148,1 მანეთს უდრიდა, საქართველოში – 186,9, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში – 219,8 მანეთს (статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. М., 1989. с. 31-32.). ხელფასებს შორის განსხვავება ზემოთ აღნიშნული მიზეზებითაა გამოწვეული, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ დ. მედოევი მონაცემებს თავისი შეხედულების მიხედვით როგორც უნდა ისე თხზავს.

**შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში (მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე)**

| | 1970წ. | 1985წ. | 1986წ. | 1987წ. | 1988წ. | 1989წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | | | | | | |
| შობადობა | 19.2 | 18.7 | 18.7 | 17.9 | 17.3 | 16.7 |
| მოკვდაობა | 7.3 | 8.8 | 8.8 | 8.8 | 9.0 | 8.6 |
| ბუნებრივი მატება | 11.9 | 9.9 | 9.9 | 9.1 | 8.3 | 8.1 |
| **თბილისი** | | | | | | |
| შობადობა | 18.0 | 16.0 | 16.1 | 15.1 | 14.7 | 14.4 |
| მოკვდაობა | 8.0 | 8.2 | 8.2 | 8.0 | 8.2 | 8.2 |
| ბუნებრივი მატება | 10.0 | 7.8 | 7.9 | 7.1 | 6.5 | 6.2 |
| **ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო** | | | | | | |
| შობადობა | 19.0 | 19.2 | 18.3 | 19.0 | 18.1 | 16.7 |
| მოკვდაობა | 6.9 | 9.0 | 9.9 | 9.8 | 9.1 | 8.7 |
| ბუნებრივი მატება | 12.1 | 10.2 | 8.4 | 9.2 | 9.0 | 8.0 |

წყარო: Демографический ежегодник СССР 1990. М., 1990, с. 152. Население СССР 1988. Статистический сборник. М., 1989, с. 96-97. Население СССР 1987. Статистический сборник. М. 1988, с. 164-167

მოსახლეობის შემოსავლები მარტოოდენ ხელფასზე როდია დამოკიდებული, მართალია, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საშუალოთვიური ხელფასი შედარებით დაბალია, მაგრამ სამაგიეროდ მოსახლეობის ერთ სულზე ანაბრის საშუალო სიდიდე ოლქში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. მაგალითად, ეს მაჩვენებელი საბჭოთა კავშირში 1035 მანეთს, რუსეთში 1147, საქართველოში 1160, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 1289, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1534 მანეთს უდრიდა. (статистические материалы.... с. 43-44.).

რადგან ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები აწუხებს, იმასაც გვდებს ბრალად, რომ მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა, ანუ საქონლის შესაძენად გაწეული ფულადი დანახარჯები სამხრეთ ოსეთში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. არადა, ასეთი მოვლენა სავსებით კანონზომიერია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ხვედრითი წილი ყოფილ სამხრეთ ოსეთში უფრო მაღალი იყო, ვიდრე შესაბამისი რესპუბლიკური მაჩვენებელი. ამასთან, სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ნაკლებია, რადგან სოფლებში მაღალია ნატურალური მოხმარების დონე, რაც ძირითადად პროდუქციის წარმოებაში პირადი დამხმარე მეურნეობის დიდი ხვედრითი წილით იყო განპირობებული. ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში, სადაც რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველი მეოთხე კაცი ცხოვრებს, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება სასურსათო და არასასურსათო საქონელზე ძირითადად ვაჭრობის მეშვეობით ხდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საკურორტო მეურნეობა საქართველოს სხვა რეგიონებში უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში, საქონლის შესაძენად დამსვენებელთა მიერ გაწეული ფულადი დანახარჯები კი საქონელბრუნვის რესპუბლიკურ მაჩვენებელში აისახებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: როკის გვირაბის აშენების შემდეგ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იძენდა დიდი რაოდენობით სასურსათო და არასასურსათო საქონელს, და, ბუნებრივია, მათ მიერ გაწეული ფულადი დანახარჯებიც ჩრდილოეთ ოსეთის საქონელბრუნვის მოცულობაში აისახებოდა.

ს. ჩერიომინი არ ცხრება და კვლავ აგრძელებს ყოვლად უსაფუძვლო მონაცემების მოტანას, კვლავ ცდილობს თვალებში ნაცარი შეაყაროს მკითხველს. როგორც ჩანს, იგი ან საერთოდ ვერ ერკვევა მოვლენებსა და პროცესებში, ან თავს განგებ ისულელებს. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ 1987 წელს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდავობამ ყოველ ათას დაბადებულზე საქართველოს რესპუბლიკაში 24,3, ხოლო ყოფილ სამხრეთ ოსეთში – 27 ბავშვი შეადგინა. თუ ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ სამხრეთ ოსეთში უფრო მაღალია ბავშვთა მოკვდავობის დონე და ამას არავითარი ყურადღება არ ექცევაო, მაშინ ერთი წლის მონაცემების მოტანა უბრალოდ უხერხულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ წინა წლებში სრულიად საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1981 წელს ყოველ ათას ახალშობილზე ერთ წლამდე ასაკში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 24,7 ბავშვი გარდაიცვალა, აფხაზეთში – 29,9; აჭარაში – 58,6; ხოლო რესპუბლიკაში – 29,7 ბავშვი. ასევე წლების განმავლობაში თბილისში გაცილებით მაღალი იყო ბავშვთა მოკვდავობის დონე, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, 1989 წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთ წლამდე ასაკში ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან 22,5 ბავშვი გარდაიცვალა, ხოლო თბილისში – 24,2 ბავშვი. საინტერესოა ამ მონაცემებს როგორ კომენტარს გაუკეთებდა ს. ჩერიომინი?

ასეთი და გაცილებით მწვავე სიტუაციები, რომლებიც ვნებათა ღელვის გაძლიერებასა და უშუალოდ სისხლისღვრას უწყობდა ხელს, ზედიზედ იბეჭდებოდა რუსულ პრესაში. მაგალითად „იტარ-ტასის" კორესპონდენტი ვ. შანაევი აღნიშნავდა, რომ ცხინვალიდან ნანგრევები დარჩა – ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცხინვალში გაანადგურეს და დაწვეს საცხოვრებელი სახლებისა და ადმინისტრაციული შენობების 80 პროცენტიო (Российская газета, 23 июня 1992 года.). ამის მსგავსი კი არაფერი მომხდარა.

სამწუხაროდ, ასეთი გამოხდომები და ცილისწამებები დღემდე გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიყალბის მასშტაბები ფართოვდება. ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებული და თანაც სრულიად არარეალური მონაცემები მოაქვთ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ყოფილ სამხრეთ ოსეთში შობადობისა და მოკვდავობის მხრივ თითქოს კატასტროფული მდგომარეობა იყო. დ. მედოევი აღნიშნავს: „არ არის გასაკვირი აგრეთვე, რომ საქართველოში სწორედ სამხრეთ ოსეთში აღინიშნა მოკვდავობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (10 კაცი მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე), მაშინ როდესაც მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 8 ბავშვი იბადებოდა (1988 – 1989 წლების მონაცემები)". ასეთ მონაცემებს ვერც ერთ სტატისტიკურ კრებულში ვერ შეხვდებით. ავტორი ვერ დაასახელებს წყაროს, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ყოველ 1000 კაცზე ყოფილ სამხრეთ ოსეთში 1988 – 1989 წლებში მოკვდაობა 10 კაცს, ხოლო შობადობა 8 ბავშვს უდრიდა. ამ მხრივ ყოფილ სამხრეთ ოსეთში ისეთივე ვითარება იყო, როგორც მთლიანად საქართველოში, ხოლო ზოგიერთ წლებში – უკეთესი. დ. მედოევს თვითნებურად, თავისი სასურველი მოსაზრების განსამტკიცებლად მოჰყავს შეთხზული მონაცემები, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შობადობის დონე გაცილებით დაბალი იყო ქართველებში, ვიდრე აქ მცხოვრებ მთელ რიგ ეროვნებებში, მათ შორის, ოსებშიც.

მაგალითად, ჯერ კიდევ 1959 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში - 21,8 პრომილეს უდრიდა; სომხებში - 28,8; აზერბაიჯანელებში – 43,9; აფხაზებში – 22,3; ოსებში – 25,5 პრომილეს; შემდგომ წლებში შობადობა ყველა ეროვნებაში შემცირდა, მაგრამ თანაფარდობა შობადობის დონეებს შორის, თითქმის უცვლელი დარჩა ((М. Тухашвили. Социально-демографические проблемы населения третьего возраста в Грузинской ССР. В кн. „Население третьего возраста". М., 1986. с. 226.).

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში. მაგალითად, მოსახლეობის ათი ათას სულზე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში 134,3 საავადმყოფო საწოლი მოდიოდა, 67,4 ყველა სპეციალობის ექიმი და 143,4 საშუალო სამედიცინო პერსონალი. საქართველოს რესპუბლიკის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალი იყო და შესაბამისად 110,6, 58,0 და 124,9-ს უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლები ოლქს გაცილებით უკეთესი ჰქონდა (საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფის გარდა).

**მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალითა და საავადმყოფო საწოლებით 1988 წელს საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მოსახლეობის ყოველ 10 000 კაცზე გაანგარიშებით**

| | ექიმები | საშუალო სამედიცინო პერსონალი | საავადმყოფო საწოლები |
|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 43.8 | 116.9 | 131.3 |
| მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა | 68.7 | 120.4 | 129.6 |
| საქართველო | 58.0 | 124.9 | 110.6 |
| მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა | 47.3 | 127.1 | 119.0 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 45.4 | 116.6 | 109.8 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 67.4 | 143.4 | 134.3 |

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 127-131.

მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფის დონეც უკეთესი იყო ოლქში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში. კერძოდ, 1988 წელს მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ყოფილ ავტონომიურ ილქში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ასაკის ბავშვთა 53 პროცენტი, საქართველოს რესპუბლიკაში – 46, მათ შორის: აფხაზეთში – 39, ხოლო აჭარაში – მხოლოდ 28 პროცენტი.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა ასევე გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის საერთო ფართობით, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ნებისმიერი ავტონომიური ფორმირების მოსახლეობა. ამრიგად, ამ მაჩვენებლითაც ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში. რეგიონის მოსახლეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა პირად საკუთრებაში მსუბუქი ავტომობილებიც. მაგალითად, ოლქის მოსახლეობის ყოველი ათასი კაციდან 59 კაცს ჰყავდა მსუბუქი ავტომობილი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში – 53 კაცს (Статистические данные ... с. 57).

კიდევ ერთი მაჩვენებლით იდგა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში – ყოველ ათი ათას მოსახლეზე ბიბლიოთეკების რაოდენობით. ამასთან, მოსახლეობის საკლუბო დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად ჭარბობდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე გაცილებით მეტი სტუდენტი და მოსწავლე მოდიოდა, ვიდრე საშუალოდ საქართველოში და მის ავტონომიურ რესპუბლიკებში – აფხაზეთსა და აჭარაში. ოლქში ასევე მაღალი იყო მუზეუმების დამთვალიერებელთა რიცხვი, ხოლო თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი ყველაზე მაღალი – საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებთან შედარებით მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით.

**სოციალური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი საბჭოთა კავშირსა და საქართველოში 1988 წელს**

| | მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა ერთ მცხოვრებზე (საერთო ფართობი, კვ.მ) | ანაბრის საშუალო მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (მანეთებში) | მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე | საკლუბო დაწესებულებების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე | მუზეუმების დამთვალიერებელთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე | თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბჭოთა კავშირი | 15.7* | 1035 | 5 | 5 | 704 | 393 |
| მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა | 15.9 | 1289 | 3 | 3 | 557 | 410 |
| საქართველო | 18.8 | 1160 | 8 | 5 | 1217 | 715 |
| მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა | 17.3 | 1126 | 6 | 5 | 1561 | 373 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 17.3 | 907 | 10 | 5 | 55 | 458 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 21.3 | 1534 | 16 | 11 | 1522 | 788 |

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 43-45; 76-78; 109-116.

მართალია, ბიბლიოთეკების რიცხვით მოსახლეობის 10 000 კაცზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მ. ბლიევს, დ. მედოევს, ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს ბიბლიოთეკაში არასოდეს შეუვლიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამდენი სიყალბის თქმას მოერიდებოდნენ.

მოტანილი ოფიციალური მონაცემები სრულ უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საერთოდ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ათეული წლების განმავლობაში ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი თავიანთი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ რომელიმე ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობას. სწორედ ამაზე მეტყველებს ოფიციალური, ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის გამოქვეყნებული მონაცემები. რაც შეეხება მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჰექტარზე საშუალოდ 17,1 ცენტნერს უდრიდა, ხოლო საქართველოში – 26,2 ცენტნერს, მის ავტონომიურ ფორმირებებში, კერძოდ, აფხაზეთში – 28,9 და აჭარაში – 29,6 ცენტნერს. კარტოფილის მოსავლიანობა სამხრეთ ოსეთში ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირში და იგი ამავე წელს ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერს შეადგენდა, საბჭოთა კავშირში – 103; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 111; საქართველოში – 109; აფხაზეთში – 72 ხოლო აჭარაში – 108 ცენტნერს.



**ანზორ თოთაძე**

(გაგრძელება იქნება)

## ინფორმაცია

### აფხაზები დნესტრისპირეთში მიემგზავრებიან

აფხაზ სეპარატისტთა არდადეგებიდან დაბრუნებული პარლამენტის გადაწყვეტილებით, მათი წარმომადგენლები დნესტრისპირეთში 17 სექტემბერს დანიშნულ რეფერენდუმზე დამკვირვებლებად გაემგზავრებიან.

აფხაზმა ე. წ. პარლამენტარებმა დნესტრისპირეთში წარსაგზავნი 4-კაციანი სია შეადგინეს. დამკვირვებელთა დელეგაციას აფხაზთა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ადლეიბა უხელმძღვანელებს.

სიაში ასევე არიან აფხაზეთის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი ბათალ ტაბაღუა და დეპუტატები ვიაჩესლავ ცუგბა და ბესლან ჯოპუა.

### სეპარატისტთა მებაჟეებმა გლეხებს ცეცხლი გაუხსნეს

გუშინ გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში მცხოვრებ გლეხებს, რომლებსაც ზუგდიდის რაიონში თხილი სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ, აფხაზმა მებაჟეებმა ცეცხლი გაუხსნეს.

სოფელ ოტობაიაში მყოფი რამდენიმე შეიარაღებული აფხაზი მებაჟე გლეხებს ავტომატის სროლით დაედევნა, თუმცა მათ ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადასვლა მოასწრეს, რის შემდეგაც აფხაზი მებაჟეები გალის რაიონში დაბრუნდნენ.

აფხაზურმა ადმინისტრაციამ დაახლოებით 10 დღის წინათ კატეგორიულად აკრძალა თხილისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სარეალიზაციოდ ზუგდიდის რაიონში გადატანა, ხოლო დამრღვევებს მკაცრი ზომების გატარებით დაემუქრა.

### შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ცხინვალში

ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა 14-15 სექტემბერს ცხინვალში გაიმართება.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, ცხინვალში დაგეგმილი შეხვედრა იქნება მეორე რაუნდი 51-ე სხდომისა, რომელიც 17-18 აგვისტოს მოსკოვში უშედეგოდ, ყოველგვარი ოქმის ხელმოწერის გარეშე დასრულდა.

### ვადიმ ცხოვრებოვიდა გვაკლდა!

ქალაქ ცხინვალის ე. წ. მერი ვადიმ ცხოვრებოვი, რომელიც ვოლგოგრადში თავისი რუსი კოლეგის მიპატიჟებით იმყოფება, საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ თუკი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ომი დაიწყო, ეს ომი საქართველოსთვის უკანასკნელი იქნება.

„მინდა გავაფრთხილო საქართველო, რომ ომის დაწყება მას მთლიანად გაანადგურებს და იმ 5-7 რეგიონსაც წაართმევს, რომლებიც ასე თუ ისე ჯერაც საქართველოს შემადგენლობაში იმყოფება. თუკი ცხინვალის ცენტრში, ლენინის პროსპექტზე ქართული ბომბები აფეთქდება, ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ ოსური ბომბები თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დაიწყებს აფეთქებას“, — იმუქრება ცხოვრებოვი და დასძენს, რომ ოსური არმიის მიერ მიყენებული დარტყმა საქართველოსთვის გამანადგურებელი იქნება.

ხი-ეიჩ-ენი.

## „მიწის ენა“

# თურქოლოგიური ძიებანი... საქართველოს ტერიტორიაზე

## ა. იუნუსოვის „მეცნიერული მიგნებანი“

იუნუსოვის შემდეგი ტყუილი დასავლეთ საქართველოს ეხება. **თურმე 582-583 წელს ტურკიუტები თავს დაატყდნენ ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ დასავლეთ საქართველოს. ამ ამბების თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსის თანახმად, ტურკიუტებმა კოლხთა ტომის ბელადები დახოცეს. ომის დროს ამ ტომიდან განადგურებული იქნა სამასი ათასი კაცი,** მაგრამ, მაშინ, როცა გამარჯვება ტურკიუტთა კაგანის მხარეზე იყო, თურქთა შორის დაიწყო შინაბრძოლები და მათ დატოვეს საქართველო (გვ. 16. აქ იმოწმებს VII საუკუნის ბიზანტიელ ავტორს თეოფილაქტე სიმოკატას. ასევე ლ. გუმილიოვის ნაშრომს).

ამრიგად, 582-583 წლებში ტურკიუტებმა თუ ჯერ „კოლხთა ტომის ბელადები“ (იუნუსოვი, როგორც ჩანს, განგებ ხმარობს ასეთ გამოთქმას, რათა მკითხველს იმდროინდელი ეგრისის სამეფოს განვითარების დაბალ დონეზე მიანიშნოს. სინამდვილეში VI საუკუნის ეგრისში მცხოვრებ ხალხს სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ტრადიცია ჰქონდა, იმ ხანად გუბაზ II მეფობდა, აიეტი და ფარტაძი მოღვაწეობდა) ამოხოცეს, შემდეგ კი — 300 ათასი მცხოვრები, ტურკიუტებს მეტი გამარჯვება რაღა უნდოდათ, რითაა უკმაყოფილო იუნუსოვი, გასაგებია.

582-583 წლებში ეგრისში თურქთა ასეთი დამანგრეველი ლაშქრობის შესახებ წყაროებში არავითარი მითითება არაა. შეიძლება იუნუსოვი ბიზანტიელებთან ერთად თურქთა დასავლეთი კაგანატის ლაშქრობას გულისხმობს, მაგრამ ეს ლაშქრობა 627-628 წლებში მოხდა და იუნუსოვი მასზე ცალკე საუბრობს. როცა, თბილისის აღების შემდეგ, ალბანეთში მყოფმა ტურკიუტებმა შეიტყვეს თურქთა დასავლეთ კაგანატში დაწყებული შინაომის შესახებ, სასწრაფოდ დატოვეს ამიერკავკასია — კერძოდ ალბანეთი. თურქთა ეს ლაშქრობა ეგრისს არ შეხებია. ასევე გუარამ I-ს 575 წელს ქართლის ერისმთავრის ტახტი კარგა ხნის დაკავებული ჰქონდა.

**კიდევ ვიმეორებ, ბატონო იუნუსოვო, შემდეგში საქართველოს ისტორიაზე წერისას კარგი იქნება ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებით თუ იხელმძღვანელებ და ისტორიულ ფაქტებს არ დაამახინჯებ.** სხვის ისტორიაში ხელს ნუ აფათურებ და შენს მონათხრობს ჩვენ არ ვიჯერებთ, მაგრამ „თურქი მესხები“ ხომ დაიჯერებენ. განა გაუხარდებათ დასავლეთ საქართველოში თურქთა მიერ 300 ათასი ლაზის ამოწყვეტის შესახებ შენს მიერ მოგონილი ტყუილი? ასეთი სისხლისღვრა, იქნებ „თურქ მესხებსაც“ არ მოეწონოთ. მათი დიდი ნაწილი ხომ იმ ძველი მუშქების (მესხების) შთამომავალნი არიან, რომელთაც ძველი ბერძენი ავტორი ჰეკატეოს მილეტელი (დაახლოებით ძვ. წ. 546-480) კოლხურ ტომად თვლიდა. სწორედ მესხთა ასეთი წარმომავლობით უნდა აიხსნას სამცხის მრავალი ტოპონიმის შინაარსი კოლხური (მეგრულ-ჭანური) ენის საშუალებით რომ ხდება ცნობილი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე რომ ქართველურმა მოდგმამ იცხოვროს, ეს იუნუსოვის პროგრამაში არ შედის. მას სურს საქართველო ქართული ეთნოსიდან დაცალოს და მისი ტერიტორია, განსაკუთრებით მესხეთი, ვითომ „მესხეთელი თურქების“ წინაპრების, სინამდვილეში კი ნამდვილად თურქული წარმომავლობის ეთნოსთა წარმომადგენლებით შეავსოს.

ძველ თურქთა ისტორიაში თითქოს გაცნობიერებულ იუნუსოვს, მათ ისტორიაშიც ბევრი რამ ეშლება. ასე მაგალითად, როგორც ვნახეთ, მას ჰგონია, რომ თურქთა კაგანატი VI საუკუნის დასასრულს შინაბრძოლების გამო დაეცა, რამაც საფუძველი დაუდო ჩრდილო კავკასიაში დამოუკიდებელი ხაზართა კაგანატის არსებობას (გვ. 16). ქართველთა „კეთილისმყოფელ“ სწავლულს მის მიერ მრავალგზის ციტირებულ მ. არტამონოვისა და ლ. გუმილიოვის ნაშრომებში რომ ჩაეხედა, გაიგებდა: თურქთა დასავლეთის კაგანატმა დაახლოებით 630 წელს დაწყებული შინაომის შემდეგ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ხაზართა დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩრდილო კავკასიაში 651 წელს შეიქმნა.

ხაზარები, — წერს იუნუსოვი, — თავს ტურკიუტების უშუალო მემკვიდრედ თვლიდნენ, ამის გამო იყო, რომ თურქთა კაგანატის დაცემამ კი არ შეასუსტა, პირიქით გააძლიერა თურქთა დაწოლა სამხრეთ კავკასიაზე და VII საუკუნის დამდეგს ხაზართა მრავალრიცხოვანი ლაშქრობების შედეგად მათ ხელში აღმოჩნდა მთელი ამიერკავკასია, მათ შორის საქართველო (651 წლამდე ხაზარებს ჩრდილო კავკასიაში გაერთიანება არ ჰქონიათ და შესაბამისად ამ წლამდე ლაშქრობები ხაზართა სახით არავის არ უწარმოებია. ვ. გ.). რაც თურმე იმ დროის სომხური და მუსლიმური წყაროების მონაცემებით დასტურდება (გვ. 17). შემდეგში, იუნუსოვის თანახმად, მართალია, ხაზართა ძლიერება შესუსტდა, მაგრამ ისინი ძველებურად დიდ როლს ასრულებდნენ სამხრეთ კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. 623 წლიდან 799 წლამდე მრავალრიცხოვან ომებში ირანთან, შემდეგ არაბებთან მათ ამ რეგიონში უამრავი მცირე თავდასხმა და 16 დიდი ლაშქრობა მოაწყეს. თანამედროვეებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ირანის წინააღმდეგ ხაზარების (უნდა იყოს თურქთა დასავლეთი კაგანატის. ვ. გ.), ბიზანტიელებისა და ქართველების ერთობლივმა საბრძოლო მოქმედებამ 626-628 წლებში. საბოლოო ანგარიშით, — დასძენს იუნუსოვი, — მოკავშირეებმა ალყა შემოარტყეს თბილისის ირანულ გარნიზონს და 628 წელს იგი აიღეს (გვ. 17).

**მიუხედავად იმისა, რომ იუნუსოვი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, მისი წიგნის რედაქტორი დინა მალიშევა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ვერც ავტორმა და ვერც წიგნის რედაქტორმა ვერ გააგებინა მათ მზრუნველობაში მყოფ „თურქ მესხებს“ ქართველებმა „ხაზარებთან და ბიზანტიელებთან“ ერთად 628 წელს რატომ აიღეს თავიანთი დედაქალაქი.** ასეთი შეუსაბამობით, ალბათ, თვით „თურქი მესხებიც“ გაკვირდებიან. გამოსავალი სადაა?

წინააღმდეგობაში იუნუსოვის მსჯელობა იმან მოაქცია, მან რომ საქართველოს ისტორია არ იცის. 627 წელს, ქართლის დედაქალაქს — თბილისს, მართლაც, ერთად უტევდნენ ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს და თურქთა დასავლეთი კაგანატის ლაშქარი. თბილისს კი თავიანთი რაზმებით ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ I ბაგრატიონი და ირანელი მარზპანი იცავდნენ. 627 წლის შემოდგომაზე იმპერატორი ჰერაკლე სანამ ირანის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, როგორც ძველ ქართულ წყაროშია ნათქვამი, მან თბილისში გამაგრებული ირანული გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა ქართლის მეფეთა შთამომავალს — იმხანად კახეთის ერისთავს — ადარნასეს დაავალა. აი, რაში ვერ გაერკვა არიფ იუნუსოვი. რაც მთავარია, 628 წელს მოკავშირეებიდან თბილისის კედლებთან მხოლოდ თურქთა დასავლეთი კაგანატის ჯარები იბრძოდნენ და მათ აიღეს თბილისი. თბილისის აღებას იმპერატორი ჰერაკლე გარდაბანში (ეს იყო ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა პროვინცია, ცენტრით ხუნანში) უცდიდა.

საკუთარ სამშობლოდან უკანონოდ გასახლებული „თურქი მესხების“ გულის გახარებას იუნუსოვი არაბთა დაპყრობების დაწყების შედეგებით ცდილობს. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, მ. შ. მესხეთი არაბთა სახალიფოს ბატონობაში რომ მოექცა (გვ. 17), ამის შესახებ თანამედროვენი მიუთითებენო (აქ დამოწმებული აქვს არაბი ავტორი ალ-ბალაზური). მაგრამ საქმე ისაა, რომ ალ-ბალაზური VII საუკუნის ავტორი არაა. იგი 829 წელს გარდაიცვალა და მის თხზულებაში ძველი ისტორიის შესახებ არაერთი ანაქრონისტული ცნობაა, რომლებიც ასევე სხვა წყაროთა მონაცემებს ეწინააღმდეგება.

იუნუსოვმა როცა საკმაოდ დაამკვიდრა თურქული (მუსლიმური) ეთნოსი საქართველოს ტერიტორიაზე, ქართული მოსახლეობა კი ამოხოცა, ხელახლა დაასკვნა: I-VIII სს. საქართველოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სამხრეთ კავკასიის ოლქებში ზემოაღნიშნულმა ეთნიკურმა პროცესებმა ასახვა ჰპოვა ყველა ქართულ საისტორიო ქრონიკაში, მ. შ. „მოქცევაი ქართლისაი“-შიო. ეს წყარო, — წერს იგი, — VII ს. შუახანებშია დაწერილი, IX საუკუნეში რედაქტირებული და თურმე მოგვითხრობს ჰუნთა ხანაზე და ბუნ-თურქებზე, რომლებიც ამ წყაროს მიხედვით მდ. მტკვრის გასწვრივ ოთხ ქალაქსა და მათი დაბებში ცხოვრობდნენ. „ბუნ-თურქები, წერს იუნუსოვი, სიტყვასიტყვით „ძირეულ თურქებს“ ნიშნავს და ისინი 28 000 ოჯახში (ე. ი. არანაკლებ 140-170 ათასი კაცი) ცხოვრობდა ქალაქებში: სარკინეში, კასპში, ურბნისში და ოძრხეში. მათი ხელისუფლება საქართველოზე იმდენად ძლიერი იყო, დასძენს იუნუსოვი, რომ უფრო გვიან ამ ქვეყანაში მოსულმა „ხონების (ჰუნების — ა. იუნუსოვი) მეომარმა ტომებმა ბუნ-თურქთა უფლისაგან ითხოვეს ადგილი ხარკის გადახდის პირობით და დასახლდნენ ზანავში“ (გვ. 17. იუნუსოვი განმარტავს, რომ ეს იყო დასახლებული პუნქტი მესხეთში ახლა კი სოფელია ადიგენის რაიონში). იუნუსოვის თანახმად, ბუნ-თურქთა და ხაზართა შესახებ მსგავსი ცნობა აქვს XI საუკუნის ავტორს ლეონტი მროველს. თურმე ლეონტი VII საუკუნის ამბებზე მოგვითხრობს და აღნიშნავს: კავკასიის ხალხები, მ. შ. საქართველოს მცხოვრებნი უძლურნი იყვნენ წინ აღდგომოდნენ ხაზარებს, რადგან ისინი ურიცხვნი იყვნენ“. ამის შემდეგ ეს ხალხები დიდი ხნის განმავლობაში ხაზარების მოხარკენი იყვნენო (გვ. 18). იუნუსოვი განაგრძობს: სამხრეთ კავკასიაში ხაზართა კონტროლის შესუსტების შემდეგ, ლეონტის ცნობით, მოვიდნენ თურქები მცხეთაში — საქართველოს დედაქალაქში და ითხოვეს დასახლება. ქართველებმა „სურვილი გამოთქვეს დამეგობრებოდნენ თურქებს“. მოსული თურქების ნაწილი დასახლებული იქნენ საქართველოს ქალაქებში. მათ უმეტესობას მიეწონათ მცხეთიდან დასავლეთით ადგილი, რომელსაც შემოავლებს მაგარი ზღუდე. ეს ადგილი მას შემდეგ იწოდება სარკინედ, ცხოვრობდნენ ეს თურქები თანხმობით ქართლელებთან (ქართველებთან). სწორედ ამ ქალაქის მაცხოვრებლები იწოდნენ ბუნ-თურქებად (გვ. 18. უთითებს ლეონტი მროველის თხზულების გ. წულაიასეულ რუსულ თარგმანსა და საქართველოს ისტორიის ნარკვევების I ტომს, თბ, 1989, გვ. 254. რუს. ენაზე).



ბაბანყური

სანამ იუნუსოვის წიგნიდან ზემომოტანილ განუკითხაობას პასუხს გავცემ, უნდა მოვიტანო საქართველოს პარლამენტის წევრის გოჩა ქიმაძის „თურქი მესხების“ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომიდან ერთი ამონარიდი. მას მოაქვს სათანადო მასალა იმ ანტიქართული პუბლიკაციებიდან, რომელიც თანამედროვე თურქულ პრესაში ქვეყნდება „თურქი მესხების“ ვითომცდა საკითხის მისაგვარებლად და აღშფოთებული წერს: „ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებთან დიამეტრალურ დაპირისპირებაში მყოფი ამგვარი „მტკიცებები“ (ავტორის მხედველობაში აქვს თურქული პრესის მასალები. ვ. გ.) თითქოს სერიოზულ პასუხს არც უნდა იმსახურებდეს, მაგრამ ვითარების გამარტივება არ ეგების, ისტორიის გაყალბების ურიცხვი ცდების მიმართ წაყრუების შედეგი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით, თვალნათლივ მოწმობს, რომ ასეთ პოლიტიკას ქვეყნისათვის კარგი არაფერი მოაქვს“.

**მართალია, რასაც იუნუსოვი „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკისა და ლეონტი მროველის ე. წ. ცნობებზე დაყრდნობით წერს სასაცილოა, მას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ იმ „თურქი მესხისათვის“, რომელსაც ქაღალდზე იუნუსოვის ნაწერი ყველაფერი მართალი ჰგონია, ხომ ეჭვმიუტანელი სიმართლეა.** გ. ქიმაძისა არ იყოს, სწორედ ამგვარმა „მტკიცებებმა“ მოუმზადა საფუძველი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტებს. მათზე გაჩუმება არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ იუნუსოვი ამჯერადაც ყველაფერს ამახინჯებს. ძველ ქართულ წყაროთა ანაქრონისტული ცნობები, რომლებიც ძვ. წ. IV საუკუნის და უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის ახ. წ. VII საუკუნეზე გადმოაქვს. იუნუსოვის გასაგებად უნდა აღვნიშნო, რომ ლეონტი მროველის არც ერთი სტრიქონი ახ. წ. VII საუკუნეს არ ეკუთვნის. მისდამი მიწერილ „მეფეთა ცხოვრებაში“ თხრობა ახ. წ. V საუკუნის დამდეგამდე მოდის.

**ვახტანგ გოილაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 177-179.

## ინფორმაცია

### გაიხსნა საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ სამედიცინო აკადემიაში საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი გახსნა.

„ახალ ცენტრში ასობით ექიმი გადამზადდება, რომლებიც საოჯახო მედიცინის პრაქტიკულ ცენტრებში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე იზრუნებენ", – აღნიშნა ჭიპაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, მომავალი წლიდან პირველადი ჯანდაცვა საოჯახო მედიცინის ცენტრებზე იქნება დამოკიდებული. 2008 წლისთვის კი საქართველოში 800-ზე მეტი საოჯახო მედიცინის პრაქტიკული ცენტრი იფუნქციონირებს.

მისი თქმით, ის ექიმები, რომლებიც გადამზადდებიან, გაორმაგებულ ხელფასს – 250 ლარს მიიღებენ.

საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრში, სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, სურვილისამებრ, 6-თვიან უფასო გადამზადების კურსს გაივლიან.

დღეისათვის საქართველოში სულ 6 საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს.

### თბილისის მერმა 67-ე სკოლას კომპიუტერები გადასცა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ განათლების სამინისტროს პროგრამა „ირმის ნახტომის" ფარგლებში გუშინ, №67 სკოლას 8 კომპიუტერი გადასცა.

მერმა 67-ე საჯარო სკოლას 7 კომპიუტერი ერთხელ უკვე გადასცა. უგულავას განცხადებით, თბილისის ყველა საჯარო სკოლა უახლოეს მომავალში კომპიუტერული სისტემით მთლიანად აღიჭურვება. თითოეულ სკოლაში 20 ბავშვზე ერთი კომპიუტერი იქნება. (ვრცლად იხილეთ მე-16 გვ-ზე).

### კოკოითი საქვეყნოდ იტყუება



ქართული მხარის ქმედებები მიუთითებს, რომ საქართველომ ორიენტირი კონფლიქტის სამხედრო გადაწყვეტაზე აიღო, ამას კი ოსური მხარი არ დაუშვებს.

ამის შესახებ, სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა სააგენტო „რეგნუმისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, საქართველო თითქმის ყველა შეთანხმების იგნორირებას ახდენს და მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლას ცდილობს. „გვაქვს ბევრი წინადადება სამხრეთ ოსეთში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ქვედანაყოფების გაგზავნის შესახებ, მაგრამ ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას ვუჭერთ მხარს", – განაცხადა კოკოითმა.

მან იქვე დასძინა, რომ თუ საქართველო ოსურ მხარეს არჩევანს არ დაუტოვებს, ის იძულებული იქნება საკუთარი ხალხი დაიცვას. დე-ფაქტო პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტი რუსეთია. მისივე თქმით, საქართველო ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნოს, რომ რუსეთი ვერ ასრულებს სამშვიდობო ფუნქციას. თუმცა, კოკოითის თქმით, ყველაფერში ქართული მხარეა დამნაშავე, რომელსაც აღებულ ვალდებულებათა შესრულება არ სურს.

**ინტერპრესნიუსი**

## ფიქრები ხმამაღლა

# სანახევროდ, ანუ უმადლო საქმე

### 1. ეს წყეული თხუთმეტი პროცენტი...

სხვისი არ ვიცი და მე, პირადად, ამ ბოლო დროს ენამწარე გავხდი: თითქოს უნდა მიხაროდეს – გზები მოაასფალტეს, შენობების ფასადები „გაამხიარულეს", შადრევნები ააცეკვეს, სპორტული კომპლექსები ააგეს, ასი უფასო სასადილო გახსნეს. და ეს ყველაფერი რაღაც ორ წელიწადში! „მეტი რაღა გინდა, შე ოჯახაშენებულო, მართლა კომუნიზმში ხომ არ მიგაბრძანებენ! შენც გაატოკე ხელი და ლუკმაპურიც გექნება. რაც კეთდება და გაკეთდა, განა შენი კეთილდღეობის საწინდარი არ არის?"

ამას ვიღაც დაბეჯითებით ჩამძახის ყურში, მაგრამ არავის გაგონება არ მსურს. ნაღდად წერასა ვარ ატანილი და მედროვეთა ფაფხური მხოლოდ მაღიზიანებს... მაგალითად, განა არ უნდა მიხაროდეს, რომ მერიამ კომუნისტების ხანაში აგებული კორპუსების მოწესრიგება ითავა? ლიფტები და სახურავები უნდა შეგიკეთოთო, მერე წყლით ამოვსებულ სარდაფებს მივხედავთო, ეზოებში სკამებს დაგიდგამთო... იცოცხლეთ, დიდებულია, ერთი **პატარა „ჩრდილი" რომ არ ახლდეს: ეს ყველაფერი მოსახლეობის წილობრივი მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. მაგალითად, თუ ლიფტის აღდგენას 5-6 ათასი ლარი სჭირდება, ამ თანხის 15 პროცენტი მობინადრეებმა საკუთარი ჯიბიდან უნდა დაყაჭონ.** ასეა სახურავებზეც და სარდაფებზეც. მაღლივ (16-სართულიან) კორპუსებში საქმე ცოტა იოლად არის – თითოეულ მობინადრეს ლიფტის აღსადგენად რაღაც 30-35 ლარის გაღება დასჭირდება, მაგრამ რა ქნან უფრო დაბალსართულიანი სახლების მცხოვრებლებმა (სადაც პირველი, მეორე და ზოგჯერ მესამე სართულები პრაქტიკულად ამ „თამაშში" არ მონაწილეობენ?), რომელთაც, არც მეტი, არც ნაკლები, 80-100 ლარის დადება მოუწევთ? ამიტომაც არის ერთი გაწამაწია – ვინ კატეგორიულად უარს აცხადებს ფულის გაღებაზე, ვინ მერიას ამუნათებს, თუ სიკეთის ქმნა ითავა, იმ თხუთმეტი პროცენტის დაფარვაც თვითონ იკისროსო.

მე მგონია, მოთხოვნა ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ... მიუხედავად ნაციონალების შეპირებული 100 ათასი სამუშაო ადგილისა, მოსახლეობის დიდი უმეტესობა ისევ უმუშევარია, თავი შემთხვევითი შემოსავლით ან ნათესავის ნაწყალობევი ფულით გააქვს. იქნებ მართლა ულმერთობაა, ყველაფერს ხელისუფლებისგან რომ მოვითხოვთ, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არა გვაქვს? ნუ გაგვიხსნით, ბატონებო, კიდევ ერთ შადრევანს და იმ გამოთავისუფლებული 600-700 ათასი ლარით ის აუცილებელი პრობლემები მოგვიხსენით, ყელში მარყუჟივით რომ გვიჭერს და სუნთქვას გვიხშობს! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაშინ უფრო მოგიმრავლდებათ მაქებრები, არჩევნების წინ ასე რომ გჭირდებათ!.. იქნებ იმითაც დაინტერესდეთ, რომ **ზოგან ლიფტების შესაკეთებელი ხარჯები განგებ გაბერეს, რათა მავანმა მოსახლეობასაც და ხელისუფლებასაც გვარიანი თანხა აალიტოს?**

აი, ამ მიზეზთა გამოც ვარ გაღიზიანებული, თორემ, სილამაზის აღქმის უნარი ჯერჯერობით არ დამიკარგავს...

### 2. ლარის კურსი მყარდება. ინფლაცია მწვავდება

**ამ უსიამოვნო ფაქტს ჩვენმა გაზეთმა ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიაქცია, როცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ბრძანდებოდა. დასამალი რა ჰქონდა ბატონ ირაკლის. იმანაც ჩვეული გულახდილობით მითხრა, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდებაო. მისი პროგნოზი გამართლდა – აგერ, რა ხანია, მყარდება და მყარდება ჩვენი ძვირფასი ლარი. ისე მყარდება, რომ საწყალმა ხალხმა აღარ იცის, თავი როგორ გაიტანოს.**

ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის პროგნოზი (თუ დასკვნა?) – ლარის გამყარება მომავალშიც გაგრძელდებაო, სათაურში გამოვიტანეთ. მადლობას მაინცკელოდით და... პრეზიდენტმა იმავე დღეს შეშფოთებულმა დარეკა რედაქციაში, ეს რა მიყავით, ახლა ყველა კომერციული ბანკი მომადგება და გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებიო. ოღონდ ქვეყანა ნუ დაიქცევა და, ჯანდაბას, თქვენს წალმა ნათქვამს კორესპონდენტის უკულმა გაგებულად ჩავთვლითო, ვუთხარით. იმას პირი მოვწმინდეთ, ცოდვა კი საკუთარ თავზე ავიღეთ. სამწუხაროდ, ამ ცრუ აღიარებით ლარს ნირი არ შეუცვლია და... ისევ ჯიუტად განაგრძო გამყარება...

**წელიწადზე მეტია, ეს პროცესი გრძელდება, შესაბამისი რეაქცია კი არავის ეტყობა – არც ეროვნული ბანკის მესვეურებს, არც ფინანსთა სამინისტროს, არც სხვა უწყებებს. ყოველ შემთხვევაში, მათგან არანაირი კომენტარი არ მომისმენია. ამასობაში თავისი შეშფოთება არ დაუმალავთ ევროკომისიის წევრებს, რომლებიც ამას წინათ გვსტუმრობდნენ. მათი პროგნოზი ასეთია: თუ ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები არ მიიღო, ლარის კურსი კატასტროფულად დაეცემა, რაც მთელ ქვეყანას დიდ პრობლემებს შეუქმნისო.**

იყო დრო, ბანკები დოლარს 2,18 ლარად ყიდულობდნენ. ახლა ეს ციფრი 1,74 ნიშნულამდე ჩამოვიდა. ე. ი. ვინც მაშინ დოლარი შეიძინა და ახლა გაყიდვას აპირებს, ყოველ ერთ დოლარზე 0,44 ლარს იზარალებს! სამაგიეროდ ის 0,44 ლარი ვიღაცის ჯიბეში დაილექება. ხომ მაგარია, ა? ინფლაციის მაჩვენებელმა 13,5 პროცენტს მიაღწია, არადა, უცხოელი ექსპერტების მტკიცებით, ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის 6 პროცენტიც დიდი ხათაბალაა.

რას აპირებს ეროვნული ბანკი, არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი, რომ **ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა ვითარების ადეკვატური არ არის. ამიტომაც აიშვა ფასებმა თავი ბაზარზე, შესაბამისად – გაღარიბდა და გაუარესდა მოსახლეობის კვების რაციონი.**

ვინ იცის, თავის დროზე რა დაუჯდება ეს მთელ ქვეყანას?

### 3. დიდი და პატარა შადრევნების ამბავი

**ერთ დღეს თვალი ვკიდე: მეტროს სადგურ „ავლაბრის" მოედანზე ახალგაზრდები ფუსფუსებდნენ – სამშენებლო ნაგავი გაჰქონდათ. მალე იქ წყლის პატარა შადრევანი დადგეს: აგვისტოს ხვატში მართლაც სასიამოვნო იყო პირის გასველება...**

მას შემდეგ ავტობუსიდან ყოველთვის თვალს შევავლებდი ხოლმე შადრევანთან მოფუსფუსე ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, ისინი გულწრფელ მადლობას უხდიდნენ ყველას, ვინც მის დადგმაში მონაწილეობდა.

მაგრამ ერთ დღეს საქციელი წამიხდა: შადრევანი დამშრალიყო და იმედგაცრუებული ადამიანები მდუმარედ უვლიდნენ გვერდს. ჩემდაუნებურად გამახსენდა მეორე, უფრო დიდი შადრევანი, რომელიც ავტომანქანებს რკალში მოექცია – იქ ნებივრად მოჩუხჩუხებდა წყალი და თითქოს თავის უმცროს თანამოძმეს ნიშნს უგებდა... ეს კიდევ არაფერი – **8 სექტემბერს იმ პატარა შადრევნის კვალიც აღარსად იყო – არ ვიცი, წყლის დეფიციტის თუ უბრალო დაუდევრობის გამო საერთოდ აეღოთ...**

და გამახსენდა პრეზიდენტის მიერ საკმაოდ დიდი ხნის წინათ საამაყოთ გაცხადებული – ჩემი მინისტრები ტელევიზიის ეკრანიდან ფანჩახად არ არიან, როცა გნებავთ, დაურეკეთ და, რამდენიც გსურთ, ესაუბრეთო. მაგალითიც თვითონ მოგვცა...

იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა. პრეზიდენტსაც დაავიწყდა თავისი თამამი განცხადება და მინისტრებსაც – თავისი მოვალეობა: აღარც ისინი, აღარც მათი მოადგილეები ქალაქის ტელეფონებს სათოფეზეც არ ეკარებიან. თუ არ გჯერათ, სცადეთ და ვისთანაც გნებავთ, იმასთან დარეკეთ.

**ამიტომ ვამბობ: სანახევროდ, მოსაჩვენებლად გაკეთებულ საქმეს მადლი არასოდეს ახლავს. გულგატეხილობასაც ეს წარმოშობს...**

**ელგუჯა ლებანიძე**

## ესაა მეზობელი?

# ოფისის ყასბი

### მოსკოვში, ვლადიმერ ჟირინოვსკის პარტიულმა ფუნქციონერმა თავი მოაჭრა სომეხ ავტობიზნესმენს

**საქართველოს დაუძინებელ მტრებს შორის ერთ-ერთი უპირველესი ვლადიმერ ჟირინოვსკია. სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გამუდმებით ლანძღავს, თათხავს ჩვენს ქვეყანას, უწინასწარმეტყველებს კიდევ უფრო დაშლას, დაქუცმაცებას, საერთოდ, მოსპობას.**

სხვათა შორის, იგი წინასწარმეტყველებდა სექტემბერში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამხობას. ეტყობა, კარგად იცნობდა იგორ გიორგაძის გეგმას, რომელიც 6 სექტემბერს ჩაფლავდა. 7 სექტემბერს კი ვლადიმერ ჟირინოვსკი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და ყველას მოუწოდა, – ამ საქართველოს ცხვირი უნდა ამოვუნაყოთ, თორემ იქ რეპრესიები და ხალხის მასობრივი დაპატიმრებები დაიწყოო...

ზოგჯერ იტყვი: – ვინაა, ბოლოსდაბოლოს, ეს ვლადიმერ ვოლფოვიჩი, რა ხალხს ეყრდნობა, რა ძალას? მის ერთ ფუნქციონერს ახლავე გაგაცნობთ. დიახ, ფუნქციონერს და არა რიგით, უბრალო წევრს. ესაა მაქსიმ ერიომინი. იგი გახლდათ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მოსკოვის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი, დუმის ერთ-ერთი დეპუტატის თანაშემწე, მოსკოვის ივანოვსკის რაიონის დეპუტატი, პოლიტიკური რეზერვის უმაღლესი სკოლის რექტორი. მაშ, – რექტორი ჟირინოვსკის პარტიის რეზერვისტთა უმაღლესი სკოლისა.

რექტორი და აღმზრდელი კი არა, იგი აღმოჩნდა სუფთა გიჟი, ბანდიტი, ჯალათი. მისმა საქციელმა გადარია არა მარტო პარტიული ელიტა, არამედ მთელი რუსეთის მოსახლეობა. 25 წლის ბიჭს შექმნილი ჰქონდა ბანდა, რომელიც ეწეოდა ყაჩაღობას, ძარცვას, ადამიანთა სადისტურ მკვლელობას. ვოლფოვიჩს კი, – მშვიდად ეძინა...

2005 წლის 19 იანვარს მაქსიმ ერიომინმა თავის ძმაკაც მიხეილ ჩელიუხანოვს შესთავაზა „კარგი ფულის" გაკეთება, კერძოდ, ავტობიზნესმენებზე თავდასხმა და თანხის გამოძალვა. შეთანხმდნენ კიდეც. მათი ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა ეროვნებით სომეხი სამველ სეროფიანი, რომელიც ცინცხალ შავ „ვოლგას" ჰყიდდა. იგი დაიბარეს პარტიის ოფისში (აბა!), იზმაილოვის პროსპექტზე. საუბარი მწვავედ წარიმართა, სეროფიანი გაჯიუტდა, ბიჭებს ყველაფერზე უარი სთხლიშა და... თავიც დაილუპა.

ერიომინმა მას პისტოლეტი დაახალა. შემდეგ ბიჭებმა სეროფიანს თავი მოაჭრეს, სხეული დაანაწევრეს და იზმაილოვის ბაღში ტომრებით გადაყარეს; თავი კი ერიომინმა საკუთარ ჩანთაში ჩატენა და ერთ-ერთ მეგობარ გოგონას... ჩააბარა. შავი „ვოლგა" მკვლელებმა




პარტიის ოფისთან დატოვეს და ცოტა მოგვიანებით გაყიდვა გადაწყვიტეს. თუმცა ეს ვეღარ მოახერხეს. სამართალდამცავები კვალზე გაუიდნენ სეროფიანის მობილური ტელეფონით, რომელიც ერიომინმა მკვლელობის შემდეგ ჩაიჯიბა!

ახლახან მოსკოვის საქალაქო სასამართლომ მაქსიმ ერიომინი დახურული ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხანგრძლივი მკურნალობისთვის „გაისტუმრა", მაქსიმ ჩელიუხანოვს კი ციხეში 12 წლით გამოუჭედა. სხვათა შორის, ისიც გაირკვა, რომ შეურაცხადი გახლდათ მაქსიმ ერიომინის დედაც, რომელიც წლების მანძილზე მკურნალობდა. ეს კი კადრების შერჩევისას გამოეპარა (ვითომ, გამოეპარა?) ვლადიმერ ჟირინოვსკისაც და მის პარტიასაც.

წლეულს, აპრილში, ვლადიმერ ჟირინოვსკის დაბადების 60 წლისთავი გადაუხადეს... კრემლის სასახლეში (ადრე აქ დაბადების დღეები იხდიდა მხოლოდ იოსებ სტალინმა და ბორის ელცინმა). ამ იუბილეზე – კრემლის სასახლეში – საპატიო ადგილზე იჯდა მაქსიმ ერიომინიც, რომელიც ახლა პარტიული ყასბის ბრალდებით დახურულ „ფსიხუშკაში" ზის. მე მგონი, ვლადიმერ ჟირინოვსკის ადგილიც მალე მის გვერდით აღმოჩნდება. საამისო ნიშნები არის!

**ბონდო გულიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ დოკუმენტალისტიკა

# ვაჟა-ფშაველას კინო და ფოტოკადრები გვიცოცხლებენ

**ვაჟა-ფშაველა** – ეს ბუმბერაზი პიროვნება, ყოველთვის იყო ფოტო და კინოდოკუმენტალისტთა შთაგონების წყარო. მათ შეძლეს ფოტო და კინოდოკუმენტებში აემეტყველებინათ პოეტის სული.

აი, როგორი უნდა ყოფილიყო, კინოდოკუმენტალისტ რეზო თაბუკაშვილის აზრით, სასწავლო ფილმი „ვაჟა-ფშაველა“: „მომავალ ნაწარმოებში ალებული იქნება ვაჟას ცხოვრების ყველა



პერიოდი, მნიშვნელოვანი მომენტები ცხოვრებიდან: ვაჟა, როგორც პოეტი, ჰუმანისტი, მოაზროვნე, რომელმაც მიიღო თავის დროზე საკმაო ფილოსოფიური განათლება და შემდეგ კი დაიწყო დამოუკიდებელი აზროვნება ყოველგვარი მანამდე არსებული მეცნიერული მიმართულების გავლენის გარეშე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ანტიკურ ფილოსოფიაში. ვაჟა – როგორც მოქალაქე, პატრიოტი. ვაჟას კავშირი იმდროინდელ მოწინავე მოღვაწეებთან და სხვა“.

ასეთივე მუხტით არის დატვირთული კინორეჟისორ ა. მქედლიძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველა“. კინო და ფოტოკადრები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა მნიშვნელოვან დეტალზე მოგვითხრობს: ფშავის ხედი, დუშეთის რაიონი, სოფელი ჩარგალი, სახლი, სადაც ლუკა რაზიკაშვილი დაიბადა. ვაჟას დედმამისა და თავად მისი პატარაობის პორტრეტები. თელავის სასულიერო სასწავლებლის ხედი, გორის საოსტატო სემინარია, სადაც ვაჟა სწავლობდა. 1885 წელს გადაღებული ვაჟა-ფშაველას პორტრეტი, მწერალი თითქოს გვეკითხება: „როგორ გგონიათ? არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემი ქვეყნისა ბრწყინვალედ?! ეს რომ არ მწამდეს, კალამს არ ავიღებდი ხელში; ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც“. ვაჟას უკანასკნელი სამსახურის ადგილი დიდი თონეთი, სადაც მან ორი წელი დაჰყო მასწავლებლად. 1883 წელი, ლუკა რაზიკაშვილი საბოლოოდ თავის სოფელში – ჩარგალში დასახლდა. ფოტოდოკუმენტებზე აღბეჭდილია: ვაჟა ჩასჭიდებია გუთანს და ხნავს, თესავს; ვაჟა, სანადირო თოფს დაყრდნობილი, ნადირობისათვის ემზადება, ვაჟა ფანდურზე ამღერებს თავის ლექსებს; აქ – ჩარგალში ჩამოაყალიბა ვაჟამ თავისი შემოქმედების დამოკიდებულება ხალხურ პოეზიასთან და აღიარა, რომ რარიგ აზრიანი და შინაარსიანი უნდა იყოს ხალხური თქმულება, ის პოეტმა საკუთარი სულის ქურაში უნდა გადაადნოს, რათა ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები მიიღოს. მან ისიც აღნიშნა, რომ თითქმის ყველა მის პოემას ძველი ამბები და ხალხური თქმულებები უძევს საფუძვლად. პოეტი ამაყად აცხადებს: „აკლდამებიდან გმირი წინაპრების აჩრდილები გამოვიწვიე და მათ მტრის შუბის წვერით და ხმლით დაკოდილი სახე და მკლავები დავუკოცნე, გვალვით დამშრალი მიწა ხელახლა ნოყიერი გავხადე, თანამოძმის ორმოს მოხრელი კუპრით შევმუსრე, ხოლო ჯაფით ნაშოვნი სხვებსაც გავუყე, ბოლოს კლდის ლოდები ავასაუბრე და მწირი ბალახი გავათამამე“. და მართლაც გასულდგმულებული ბუნების პირით გამოხატული უგულობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ მიმართული ღრმა ჰუმანური იდეალებით შთაგონებული თვალსაზრისი და ზნეობრივი პრინციპების უაღრესად მხატვრული თვალსაჩინოება, თხრობის ფოლკლორული სისადავე და ასეთივე უბრალო ხატოვანი ენა გამიზნულია მოზარდი თაობის ჩამოყალიბებისათვის. და აი, ეკრანზე იკვეთება ინსცენირებები: „ბახტრიონი“, „არწივი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ – ჯოყოლასა და ზვიადაურის ურთიერთობები მთავრდება იმით, რომ ცეცხ-





ლისპირას მეგობრულად საუბრობს ეს ორი მოქიშპე.

ვაჟა-ფშაველას პოპულარობამ ზენიტს მიაღწია. ეკრანზე იკვეთება ვაჟას ფოტო ახალი ნაწარმოებებით ხელში, იგი ილია ჭავჭავაძეს ხვდება. კადრში ისმის ილიას სიტყვები: „არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო“.

ვაჟას პატივსაცემად, მისი მონაწილეობით, იმართებოდა სალამოები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი სალამო ქუთაისში რედაქცია-კანტორა „იმერეთში“ მის რედაქტორს ისიდორე კვიცარიძეს მოუწყვია. ფოტოხელოვან ნიკოლოზ სალარაძეს ფირზე აღუბეჭდავს ვაჟა-ფშაველა და დავით კლდიაშვილი. ეს 1915 წელია, ვაჟა მოწყენილია, ხოლო დავით კლდიაშვილი ეფერება, ამშვიდებს.

კინოკადრებს კვლავ ფშავში გადავყავართ – მთების, ტყეების, ფრინველების, ყვავილების ფონზე იკითხება ვაჟას ლექსები. ფინალში კი კვლავ ვაჟას უკანასკნელი ფოტო გადაღებული წმინდა ნინოს ლაზარეთში ეკტიმე ქვანიას მიერ. ვაჟა ემშვიდობება ქვეყანას: **„მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, უფალი მიწვევს, გშორდები,... რაც აქით ვალი მიმყვება, იქიდან გაგისწორდები... ლეში რომ მოკვდეს, იმიტომ განა სულითაც მოვკვდები?!“**

**შუქურა ინასარიძე,**
**კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

**სურათებზე:** ვაჟა-ფშაველა მეუღლესთან ერთად; ვაჟა და მისი ძმა სანდრო თბილისში სანდროს ბინაზე; ვაჟა მეზობლებთან ერთად ჩარგალში.

◎ სოციალური ალტერნატივა – განათლება

# ბიუროკრატიული ვოლუნტარიზმი თვითმმართველობის წინააღმდეგ

**განათლების ეროვნული კავშირი და მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირი იდეურ და სოციალურ ოპონირებას უწევს საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებულ პოლიტიკას. ჩვენი ორგანიზაციები იყვნენ, არიან და იქნებიან თვითმმართველობის პრინციპის მომხრეები, მაგრამ ის, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ა. ლომაიამ 2006 წლის 7 ივნისს განახორციელა, არის თვითმმართველობის პრინციპის სრული დისკრედიტაცია.**

მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ თვალსაჩინოდ აცხადებდა, რომ არჩევნების საფუძველი გახდებოდა ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, რასაც სრულიად აბათილებდა დებულების სხვა მუხლები და პუნქტები.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სკოლებში ახალი ინსტიტუტი – სამეურვეო საბჭოები დამკვიდრდა. მათ მიენიჭათ ისეთი ფუნქციები, როგორიცაა:

– საჯარო სკოლაში არჩევნების გამართვა, მათ შორის დირექტორის, დისციპლინარული და სააპელაციო კომიტეტების არჩევა;

– საჯარო სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის დამტკიცება;

– საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის დამტკიცება;

– საჯარო სკოლის ფინანსების ხარჯვა და ქონების განკარგვა;

– საჯარო სკოლის ბიუჯეტისა და წლიური ანგარიშის დამტკიცება;

– საჯარო სკოლაში არსებულ საჩივრებზე რეაგირება;

– საჯარო სკოლის დირექტორთან ხელშეკრულების შეწყვეტა, ხოლო მასწავლებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა.

ეს ფუნქციები ადასტურებს, რომ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს დემოკრატიულად არჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მით უფრო, რომ კანონი ამ ორგანოებს ავალდებულებს უშუალოდ ითანამშრომლონ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებთან – საკრებულოებთან.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს საარჩევნო დებულება ანტიდემოკრატიული იყო. არჩევნები არ იყო ფარული, რადგან „საარჩევნო ბიულეტენი“ არავითარ დამცავ ნიშანს არ ატარებდა, მეტიც: მასში კანდიდატთა გვარ-სახელი და ნომერიც კი არ იყო ჩაბეჭდილი და ამომრჩეველი საკუთარი ხელით ავსებდა ამ ვითომ საარჩევნო ბიულეტენს.

სამოქალაქო საზოგადოება, განსაკუთრებით კი პედაგოგთა პროფკავშირული ორგანიზაციები დებულებით სრულად იყვნენ იზოლირებულნი არჩევნებისაგან. მათ არა მარტო არ ჰქონდათ უფლება, წარედგინათ საკუთარი კანდიდატები საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოებში, არამედ მათ დებულება არ აძლევდა უფლებას:

– წარედგინათ საჯარო სკოლების საარჩევნო კომისიის წევრად კანდიდატები;

– დაკვირვებოდნენ არჩევნების პროცესს;

– ყოფილიყვნენ საარჩევნო ტერიტორიაზე;

– დაკვირვებოდნენ საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას;

– შეემოწმებინათ საარჩევნო ყუთები დალუქვამდე და გახსნის შემდეგ;

– დაკვირვებოდნენ საარჩევნო ბიულეტენების გაცემას და დამოწმებას, მათ საარჩევნო ყუთებში ჩაყრას;

– დასწრებოდნენ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;

– დაკვირვებოდნენ საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა დოკუმენტების შედგენას, მიეღოთ მათგან ეს ოქმები და დოკუმენტები;

– გაესაჩივრებინათ საჯარო სკოლის საარჩევნო კომისიის ქმედება სასამართლოში.

მინისტრმა არჩევნებს არ მიაკარა სამოქალაქო საზოგადოება და პროფკავშირები, მაგრამ საკუთარი ბრძანებით დამტკიცებული დებულებით საჯარო სკოლების საარჩევნო კომისიებში დაუშვა სკოლისგარეშე პირები.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების არჩევნებისას არ შექმნილა ცენტრალური საარჩევნო კომისია. მინისტრმა ერთპიროვნულად დანიშნა არჩევნების ჩატარებაზე ზედამხედველი კოორდინატორები. მინისტრის დანიშნული კოორდინატორები არა მარტო ზედამხედველობდნენ საარჩევნო კომისიების წევრებისა და სამეურვეო საბჭოების წევრობის კანდიდატების რეგისტრაციას, არამედ მათი მითითებები სავალდებულო იყო შესასრულებლად როგორც საარჩევნო კომისიებისათვის, ასევე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის. თავად საჯარო სკოლების საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატების რეგისტრაციას ახორციელებდნენ მინისტრის მიერ დანიშნული სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები. ნათელია, რომ მთელ საარჩევნო პროცესს მხოლოდ მინისტრი აკონტროლებდა.

დებულების შესაბამისად, საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისთვის რეალურად მხოლოდ 5 დღე გამოიყო, რადგან 26,27 და 28 მაისი დასვენების დღეები იყო. თავად რეგისტრაციის პროცედურას 2 დღე სჭირდებოდა. ძალიან ბევრმა პედაგოგმა და კიდევ უფრო მეტმა მშობელმა ვერც კი მოასწრო საკუთარი კანდიდატურის წარდგენა.

დებულება არ ავალდებულებდა საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატს წარედგინა ამომრჩევლებისთვის საკუთარი საარჩევნო პროგრამა. ამით დებულებამ ამომრჩეველი დატოვა არჩევანის გაკეთების საშუალების გარეშე, რადგან ამ „არჩევნებზე“ არ მომხდარა კონცეპტუალური გამიჯვნა სხვადასხვა პრინციპებსა და პოზიციებს შორის.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებს საარჩევნო კამპანიისთვის გამოეყოთ აბსურდულად მცირე დრო – 2 დღე, 3 და 4 ივნისი დასვენების დღეები იყო. ორ დღეში – 5 და 6 ივნისს კანდიდატს უნდა მოესწრო ბეჭდური და ფოტომასალების როგორც დამზადება, ასევე გავრცელებაც, წინასაარჩევნო კრებების გამართვა. ნათელია, რომ ამ უაღრესად მცირე დროში სრულიად შეუძლებელი იყო საარჩევნო კამპანიის გამართვა.

დებულებამ საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებს უფლება არ მისცა, პირადად დაკვირვებოდნენ საარჩევნო პროცესის მომზადებასა და მიმდინარეობას. ეს მაშინ, როცა საჯარო სკოლის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დებულება უფლებას აძლევდა, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეეჩერებინა კენჭისყრა და ჩაეკეტა კენჭისყრის შენობა. დებულების მიხედვით, მხოლოდ სამინისტროს მიერ წარმოგზავნილ დამკვირვებელს ჰქონდა გარანტირებული საარჩევნო ყუთის გახსნასა და მის დათვლაზე დასწრების უფლება.

დებულების ანტიდემოკრატიულობაზე ნათლად მეტყველებს ისიც, რომ კანდიდატის მხრიდან დარღვევის თაობაზე საჩივრის წარდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ საარჩევნო ყუთის გახსნამდე. კანდიდატის წარმომადგენლის მხრიდან დარღვევაზე ჩივილი შეიძლებოდა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის, სამინისტროსა და მინისტრის მიერ დანიშნული დამკვირვებლის სახელზე და ისიც მხოლოდ საარჩევნო კომისიის ან მინისტრის მიერ დანიშნული კოორდინატორის მეშვეობით.

დებულებაში მითითებული იყო, რომ არჩევნების შედეგები 12 ივნისისთვის უნდა გამოქვეყნებულიყო. რაც დღემდე არ გაკეთებულა. აღსანიშნავია, რომ მინისტრმა თავი აქაც დაიზღვია და არჩევნების შედეგების ძალაში შესვლა სამინისტროს რეგისტრაციას დაუქვემდებარა. მინისტრმა, რა თქმა უნდა, დებულების შესაბამისად შექმნა საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების შემსწავლელი კომისია და, როგორც „დემოკრატმა“, მისი ხელმძღვანელობა საკუთარ მოადგილეს, ქალბატონ ბელა წიფურიას დაავალა.

2006 წლის 7 ივნისს გამართული საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების „არჩევნები“ რეალურად სხვა არაფერი იყო, თუ არა ფარული ნომენკლატურული შერჩევა და ასევე ფარული ადმინისტრაციული დანიშვნა. სამწუხაროა, რომ საქართველოს საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოები ზუსტად ისევე აირჩა, როგორც „ირჩეოდა“ საბჭოთა კოლმეურნეობების გამგეობები. ამ აქტით ბიუროკრატიულმა ვოლუნტარიზმმა კიდევ ერთხელ ფეხქვეშ გათელა დემოკრატიის პრინციპები, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებს ყურადღება არ მოაკლო ლიბერალური ფუნდამენტალიზმის ადეპტთა ორგანიზაციამ – „თავისუფლების ინსტიტუტმა“. მან და „განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა“, ბრიტანეთის საბჭოების მეშვეობით, უკვე მოამზადეს ათეულობით ე.წ. „ტრენერი“, რომლებიც ლიბერალური ფუნდამენტალიზმის დოგმების საფუძველზე „დამოძღვრავენ“ საქართველოს საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების წევრებს.

განათლების ეროვნულმა კავშირმა უკვე მიმართა საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტსა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რათა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცეს 2006 წლის 7 ივნისს გამართულ საქართველოს საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების „არჩევნებს“. ასეთი დადგენილება საქართველოს პედაგოგიურ კორპუსს საშუალებას მისცემს, სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფკავშირების პარიტეტული მონაწილეობით გამართოს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში რეალური თვითმმართველობის ორგანოების დემოკრატიული არჩევნები პრინციპით – თავისუფლება სოციალური გარანტიებით!

**დავით არაბიძე,**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი,**
**მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირის საბჭოს წევრი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ყურძნის ფრონტი

**საქართველოში დაიწყო რთველი. იმის გამო, რომ რუსეთმა აკრძალა ქართული ალკოჰოლიანი პროდუქციის შეტანა თავის ტერიტორიაზე, მიმდინარე წელს ჩვეულებრივი სადღესასწაულო ვითარება გასამხედროებულმა ანტურაჟმა და ლექსიკამ შეცვალა. „რუსეთმა მეღვინეობის სექტორში გამოგვიცხადა ომი, და ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც საომარ პირობებში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. სხვათა შორის, სწორედ მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ გასაღების ტრადიციული ბაზრის დახურვის შედეგად იმედგაცრუებულმა კახელმა მევენახეებმა არ ჩაშალონ რთველი.**

მიმდინარე წლისთვის საქართველოში დაგეგმილია 150-160 ათასი ტონა ყურძნის მოკრეფა, როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი 200 ათას ტონას აღემატებოდა.

პრემიერს დაეხმარება „ეკონომიკური საბრძოლო შტაბი“, როგორც ეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა. შტაბი კვირას გაიხსნა კახეთში. პრეზიდენტი პირადად ჩავიდა კახელების გასამხნევებლად და მათ საჩუქრად გადასცა ორასი ტრაქტორი. შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ თავდაცვის, შინაგან საქმეთა მინისტრები და გენერალური პროკურორი, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა არა მარტო მოსავლის აღებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა შეისყიდონ ყურძენი. როგორც ცნობილია, ხელისუფლებამ ყოველ მსხვილ ბიზნესმენს სთხოვა სულ ცოტა 10 ტონა ყურძნის შესყიდვა.

ზოგიერთი ბიზნესმენი უკვე გამოეხმაურა ხელისუფლების წინადადე-



ბას. მათ შორის არის ქართველ ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც თქვა, რომ აპირებს „კარგად მოილხინოს“ თავისი დაწურული ღვინით. ქვეყნის პრეზიდენტმა ამოცანად დაისახა მოსავლის გადარჩენა და აღიარა, რომ ამჟამინდელ პირობებში მოგების მიღება შეუძლებელია, რადგან შარშან ქართული ღვინის ექსპორტის თითქმის 90 პროცენტი რუსეთის ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. „თუ ჩვენ მიმდინარე წელს გავუძლებთ ასეთ სიტუაციას, მომავალში გპირდებით, რომ ყურძნისა და ღვინის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები საერთოდ აღარ იქნება“, – დარწმუნებულია მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს ლიდერს მიაჩნია, რომ მიმდინარე წლის რთველი გახდება პასუხი რუსეთის იმ „გარკვეული ძალების“ მოქმედებაზე, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ამ შემოდგომაზე ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო საქართველოს გაერთიანების და გაძლიერების პროცესს, და ამ მიზნის მისაღწევად დაუწესეს ემბარგო ქართულ ღვინოს, ბორჯომს, ხილსა და ბოსტნეულს. სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს გეგმა ჩაიშალა. უფრო მეტიც, „2006 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა ერთიორად მეტი იქნება, ვიდრე თვით რუსეთისა, და ეს მოხდება იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყანას უზარმაზარი შემოსავალი აქვს ნავთობისგან“. „ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ეკავა 137-ე ადგილი ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს თვალსაზრისით შედგენილ რეიტინგში. ჩვენ ერთბაშად გადავაბიჯეთ ას საფეხურს და ახლა უკვე 37-ე ადგილზე ვართ. გავუსწარით მრავალ განვითარებულ ქვეყანას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ ამ რეიტინგის პირველ ოცეულში, პირველ ათეულში თუ არა“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

12 სექტემბერი.

# კოკოითი საქართველოდან გასვლას მეორეჯერ ცდილობს

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების გართულებამ, აგრეთვე თვით საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელსაც გადაუარა დაპატიმრებათა და სასამართლოების მთელმა ტალღამ, აიძულა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაეჩქარებინა თბილისთან „განქორწინების“ პროცესი.**

11 სექტემბერს სამხრეთ ოსეთში გადაწყვიტეს გამართონ კიდევ ერთი რეფერენდუმი საქართველოსგან „აბსოლუტური დამოუკიდებლობის“ საკითხის შესახებ. როგორც თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა გაგლოევამ თქვა, რეფერენდუმი გაიმართება 12 ნოემბერს, თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად. რეგიონის მცხოვრებლებმა პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვას: „ეთანხმებით თუ არა იმას, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ამჟამინდელი სტატუსი და იგი აღიაროს საერთაშორისო გაერთიანებამ?“.

ამ საკითხის თაობაზე თბილისში აღნიშნავენ, რომ სეპარატისტული რეგიონის ხელმძღვანელობა ასეთი გზით ცდილობს აარიდოს თავი საპყრობილეში მოხვედრას.

ამავე დროს, თუ გავიხსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთში გამუდმებით ლაპარაკობენ რუსეთის ფედერაციაში რეგიონის შესვლის შესახებ, რითაც, მათი აზრით, „აღდგება ისტორიული სამართლიანობა“, მომავალი გამოკითხვის მიზნის ფორმულირება, რომელშიც რუსეთი არც კი არის ნახსენები, მეტი რომ არ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს. შეგახსენებთ, რომ ივნისში თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მოსკოვში ამტკიცებდა: „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედებს რუსეთის კანონები და მიმოქცევაშია რუსული რუბლი. ეს მოწმობს იმას, რომ დე-ფაქტო რესპუბლიკა რუსეთის სუბიექტია, და ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ეს იურიდიულად განვამტკიცოთ, რასაც ვაკეთებთ კიდეც, როცა ვამზადებთ დოკუმენტებს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად“.

პოლიტიკური განწყობილების ასეთი შეცვლის შესახებ დასმული კითხვის პასუხად ირინა გაგლოევამ თქვა: „სტრატეგიული მიზანია შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან და ასეთი გზით რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება – ეს მიზანი კვლავ უცვლელია. ეს იდეა გამოვიტანეთ განსახილველად 1992 წლის რეფერენდუმზე, და მაშინ ჩვენმა ხალხმა იგი მოიწონა. ახლანდელმა გამოკითხვამ კი უნდა გადაწყვიტოს სხვა ამოცანა – გაარკვიოს მოსახლეობის განწყობილება სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნების თაობაზე. ჯერ გვსურს დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა, მივაღწიოთ საერთაშორისო აღიარებას, და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდეთ მეორე ეტაპზე, იგულისხმება რუსეთში ინტეგრაცია“.



ცნობილია, რომ უახლოეს კვირას დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი გაიმართება კიდევ ერთ თვითაღიარებულ სახელმწიფოში – მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში. მაგრამ იქ რეფერენდუმზე გამოტანილი კითხვა სხვაგვარად ჟღერს: „უჭერთ თუ არა მხარს მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის და რუსეთის ფედერაციასთან დნესტრისპირეთის შემდგომში თავისუფალი მიერთებისთვის აღებულ კურსს?“.

მიმდინარე წლის ზაფხულში, სოხუმში თვითაღიარებული რესპუბლიკების მეთაურთა სამიტის შემდეგ, დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალერი ლიცკაიმ განაცხადა, რომ „რეფერენდუმები საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ შემოდგომაზე გაიმართება სამივე რეგიონში, რომლებიც გაერთიანდნენ „ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ თანამეგობრობაში“. ვალერი ლიცკაის თქმით, ჩერნოგორიის პრეცედენტი, რომელმაც თავისი ხალხის ნება-სურვილზე დაყრდნობით მიაღწია დამოუკიდებლობას სერბეთისგან, შეიძლება გამოიყენონ ტირასპოლმა, ცხინვალმა და სოხუმმა. აფხაზთა ლიდერი სერგეი ბაღაფშიც მიესალმა სერბეთის შემადგენლობიდან ჩერნოგორიის გამოსვლის „ცივილიზებულ გზას“ და აღნიშნა, რომ ახლა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რიგი დადგა. თუმცა, ეს თემა სოხუმში აღარ განუვითარებიათ.

ამავე დროს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ცხინვალის რეგიონიდან გურამ ვახტანგიშვილმა რეფერენდუმს უწოდა „ედუარდ კოკოითის რეჟიმის აგონია“. მან განაცხადა, რომ „რეგიონის ქართველი მოსახლეობა არ მიიღებს მონაწილეობას სეპარატისტული ხელისუფლების ეგრეთ წოდებულ რეფერენდუმში“.

რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროში კი მიესალმნენ ცხინვალის გადაწყვეტილებას რეფერენდუმის გამართვის შესახებ. „პატივი უნდა ვცეთ ნებისმიერი ხალხის, თვით ძალზე მცირერიცხოვანი ერის უფლებებს. თუ 15 წლის განმავლობაში ვერ გადაწყვეტილა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან მიერთების ან სახელმწიფოთა გაერთიანების საკითხი, სამხრეთ ოსეთს უფლება აქვს აირჩიოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების სხვა გზა“, – განუცხადა ორშაბათს ჟურნალისტებს სახელმწიფო სათათბიროს პირველმა ვიცე-სპიკერმა ლუბოვ სლისკამ. სახელმწიფო სათათბიროს თანამეგობრობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი საველიევმა კი შენიშნა, რომ „რუსეთმა უნდა აღიაროს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ისევე როგორც დნესტრისპირეთისა“.

**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ

12 სექტემბერი.

საზღვარგარეთ

# შეერთებული შტატების პოლიტიკის კრახში „ბრალი მიუძღვის“ ბუშის ინტელექტს

**შეერთებული შტატები ყოველდღიურად კარგავს პოზიციებს მსოფლიო ასპარეზზე და ამას მოწმობს ყველაფერი: მოსახლეობის სულ უფრო მზარდი უკმაყოფილება ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის გამო, ამერიკის ეკონომიკის კრახი, დოლარის კურსის დაცემა მსოფლიო ბირჟებზე, მთელი რიგი ჩაშლილი დიპლომატიური ოპერაციები და ა.შ.**



თეორეტიკოსი-პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ ასეთ სიტუაციას განაპირობებს მსოფლიო პოლიტიკური სისტემის განვითარების თეორია, რომლის თანახმადაც პოლიტიკური ისტორიის ყოველ პერიოდში აღზევებულია მსოფლიო ზესახელმწიფო-ჰეგემონი.

მსოფლიო ლიდერი ვითარდება, აღწევს განვითარების აპოგეას, ან მისი უპირატესობა თანდათანობით ილევა და ჰეგემონის ძალაუფლება თვალსა და ხელს შუა ქრება. ფიასკოს შემთხვევაში, მსოფლიო ზესახელმწიფოს ცვლის ახალი ლიდერი. ასეთი გზით ვითარდებოდა მსოფლიოს პოლიტიკური სისტემა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

მაგრამ, როგორც პოლიტოლოგებს და სხვა ექსპერტებს მიაჩნიათ, შეერთებული შტატების „დაისს“ განაპირობებს არა მარტო პოლიტიკური სისტემის განვითარების თეორია, არამედ სახელმწიფოს ხელმძღვანელის პირადული მახასიათებლებიც.

ფსიქოლოგების და სოციოლოგების აზრით, ჯორჯ ბუშის გონებრივი განვითარების დონე საშუალო-სტატისტიკური ამერიკელისაზე დაბალია, და სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ შეერთებული შტატების პოლიტიკის კრახის მიზეზები.

ჯორჯ ბუშის ინტელექტის საშუალო კოეფიციენტი დაბალია XX საუკუნის დამდეგიდან დაწყებული შეერთებული შტატების ყველა პრეზიდენტთან შედარებით. „ამას მოწმობს ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები“, – წერდა გაზეთი „ტაიმსი“.

ინტელექტის მიხედვით ჯორჯ ბუში ჩამორჩება ამ ბოლო 110 წლის განმავლობაში ყველა დანარჩენ პრეზიდენტს, უორენ ჰარდინგის გარდა, რომელიც თეთრი სახლის პატრონი იყო მხოლოდ მცირე ხნით – 1920-იან წლებში, და ითვლება ყველაზე წარუმატებელ პრეზიდენტად.

მაგრამ ეს მონაცემები შეიძლება სხვაგვარადაც ჩამოვაყალიბოთ. საქმე ის არის, რომ 110 წლის წინათ არავის შეუდგენია ინტელექტის ტესტი. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ უფრო სავალალო დასკვნაც: ჯორჯ ბუში ყველაზე ჭკუასუსტი ყოფილა შეერთებული შტატების ყველა დანარჩენ პრეზიდენტს შორის.

ერთ-ერთმა ექსპერტმა – სიმონტონმა შეადგინა პრეზიდენტების სავარაუდო ინტელექტუალური დონის ცხრილი სხვა მკვლევრების მიერ შეკრებილი მონაცემების საფუძველზე. ჟურნალ „პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ექსპერტი წერდა, რომ სხვადასხვა შეფასების თანახმად, ბუშის მაჩვენებელი სადღაც 100,1-120 ქულას შორის უნდა მერყეობდეს, ანუ შეადგენს თითქმის 110 ქულას, რაც უტოლდება შეერთებული შტატების ყველაზე საშუალო კოლეჯის კურსდამთავრებულის საშუალო მაჩვენებელს.

# ექვსი ახალი წევრი

**ჰელსინკში დასრულდა ევროკავშირისა და აზიის სახელმწიფოთა მე-6 სამიტი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ 38 სახელმწიფოს ლიდერები და მთავრობათა მეთაურები. სამიტის შედეგების მიხედვით მიიღეს ორი ძირითადი დოკუმენტი, რომლებიც ეხება მონაწილეთა შემადგენლობის გაფართოებას და გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.**




ორდღიანი სხდომის დროს, რომლის მთავარი თემა იყო გლობალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე განიხილეს ენერგეტიკული უშიშროების, კულტურათა შორის დიალოგის საკითხები, იმსჯელეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკების პროცესზე, აღნიშნეს, რომ საჭიროა მშვიდობიანად მოგვარდეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

პირველი დოკუმენტი გახდა დეკლარაცია გლობალური დათბობის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს ამ პრობლემის თაობაზე გაეროს ყოვლისმომცველ კონვენციაში ჩამოყალიბებულ მიზნებს, აგრეთვე ამოცანებს, რომელთა მიზანია ატმოსფეროში სათბობის გაზის გამოფრქვევის შემცირება. ჰელსინკში მიღებულ დეკლარაციაში შეხვედრის მონაწილეებმა მონიშნეს ამ ფორუმის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიმართულებები.

გარდა ამისა, სამიტზე გადაწყდა, რომ მიიღებდნენ 6 ახალ წევრს. ამრიგად, ფორუმის ამჟამინდელ შემადგენლობას, რომელშიც შედის ევროკავშირის 25 ქვეყანა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის 10 წევრი-სახელმწიფო, ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა, ახლა დაემატებიან ინდოეთი, პაკისტანი, მონღოლეთი, აგრეთვე რუმინეთი და ბულგარეთი. ახალი შემადგენლობით ეს ფორუმი უკვე წარმოადგენს პლანეტის მთელი მოსახლეობის 60 პროცენტის ინტერესებს.

ევროკავშირის ქვეყნების და აზიის სახელმწიფოთა მორიგი სამიტი გაიმართება ჩინეთში, 2008 წლის ოქტომბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ პროფესიონალები

# ვირტუოზი ძმები

თბილისში, გოეთეს ინსტიტუტის ფოიეში, გია ჩხატარაშვილის ფოტოგამოფენაა მოწყობილი. კოპწია ჩარჩოებიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეები გვიმზერენ. ექსპონატებში ჩანს სახეები გამორჩენილი ადამიანებისა, ხელოვანებისა, პოლიტიკოსებისა და კაფე-ბარების მიმტანებისა, მზარეულებისაც კი.

მსოფლიოს რუკაზე იშვიათად მოიძებნება ქვეყანა, სადაც ქართველები არ მოღვაწეობდნენ და სურვილი გიჩნდება, ყველა მათგანს მიეფერო, ყველა მათგანთან მიხვიდე და წუთით მაინც გაიზიარო მათი ჭირი თუ ლხინი, თუნდაც ერთი გადაღებული კადრით მაინც დააბრუნო იგი საქართველოში...

გოეთეს ინსტიტუტის ლონისძიებაზე ვსაუბრობდით, რომელმაც ორი „საზღვარგარეთელი" ქართველი მუსიკოსი გააცნო ქართველ მსმენელებს. უფრო სწორად, ისინი პრესიდან, ასე თუ ისე, ნაცნობები არიან, მაგრამ დიდად მაკვირვებს, როგორ მოხდა, რომ ამ შესანიშნავი დუეტის „ასე თუ ისე ნაცნობობით" დაკმაყოფილდა ქართველი მსმენელი! ალბათ, ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ მათ, თორემ დიდი ზარ-ზეიმით მოვიწვევდით კონცერტზე ცნობილ ადამიანებს, სრულიად საქართველოს.

**— ბადენ-ვიურთემბერგის ახალგაზრდა გიტარისტთა ორკესტრის სოლისტები, ძმები ნიკა და დავით კვარაცხელიები!**

... ჟღერს ანტონიო ვივალდის, ჯერალდ გარსიას, ჯოვანი მარია ნანინის, ვიქტორ ლაცარინის და სხვათა ნაწარმოებები და დარბაზს ეფინება გიტარის უნაზესი ჰანგები.



ნიკა და დავით კვარაცხელიები.

— ბრწყინვალე შესრულებაა, მუსიკოსთა უნატიფესი ხელწერა! — ბრავო! და ეს „ბრავო" დარბაზში მყოფ ყოველ ადამიანს აღმოხდა, რადგან ჩანდა, ეს სრულიად ახალგაზრდა ბიჭები, ეტყობოდა, გიტარითა და მუსიკით ცხოვრობდნენ აქ, სცენაზეც და ცხოვრებაშიც!

მათი მუსიკალური ცხოვრება კი ექვსი წლის ასაკიდან დაიწყო, როდესაც დედიკომ ცნობილ გიტარისტთან, გივი თოფჩიშვილთან მიიყვანა და პირველ აკორდს „გაუსინჯეს" გემო. 9 წლიდან დაიწყო პირველი კონცერტები. 1996 წლიდან კი ძმები სწავლას აგრძელებენ გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის მუსიკის უმაღლეს სკოლაში პროფესორ ტონიჰერტის კლასში. 2003 წელს უმაღლესი შეფასებით ამთავრებენ ასპირანტურას და კვლავ აგრძელებენ სწავლას ქალაქ ვაიმარის ფრანც ლისტის სახელობის უმაღლესი მუსიკალური სკოლის საკონცერტო განყოფილებაზე პროფესორ მიულერ-პერინგის კლასში.

1998 წელს ძმები კვარაცხელიების დუეტს გერმანიის ქალაქ ბუბენრაითში გამართულ გიტარისტი დუეტების XI საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მიენიჭათ. ამას მოჰყვა კონცერტები და პრემიები სხვა საერთაშორისო კონკურსებზე. მათ შორის ჯულიანის სახელობის კამერული მუსიკის საერთაშორისო კონკურსი იტალიის ქალაქ ბარიში; პრესტი-ლაგოიას სახელობის საერთაშორისო კონკურსი პარიზში; გიტარისტი დუეტების საერთაშორისო კონკურსი საფრანგეთის ქალაქ მონტელიმაში და ა.შ.



ოთარ რამიშვილი: ძმები კვარაცხელიების ხელოვნებაში ერთი ყალბი ნოტი არ არის.

ძმების ხელოვნებაზე მხურვალედ წერენ ევროპის ჟურნალ-გაზეთები:

„...გრანდიოზული გიტარის დუეტი!.."

„...უსაზღვროდ დამაჯერებელი, უბადლო ტექნიკა, და ამასთანავე გრძნობებით ალსავსე... მგზნებარე, თავმდაბალი, ბუმბერაზი! - ძნელია სიტყვები შეარჩიო ამ ორი ბრწყინვალე ვირტუოზის სტილის დასახასიათებლად!..."

2005 წელს გამოვიდა მათი პირველი „სიდი", რომელმაც სპეციალისტთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

თვით ბადენ-ვიურთემბერგის ახალგაზრდა გიტარისტთა ორკესტრი სახელოვანი ბიოგრაფია. იგი უკვე მსოფლიოში აღიარებული ანსამბლია და თამამად შედის ამ ტიპის მუსიკალური კოლექტივების ათეულში. ანსამბლი 1991 წელს დაარსდა და იგი პირველი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ორკესტრის პროგრამაშია კლასიკის, „ჯაზის" და „პოპის" ტრადიციული ნაწარმოებები გიტარის ანსამბლებისათვის. ფართოა ანსამბლის რეპერტუარი, ფართოა მისი საკონცერტო ტურნეს გეოგრაფია: — ესპანეთი, რუსეთი, ტაილანდი, ლაოსი, ეგვიპტე, ჩეხეთი, კუბა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჰოლანდია, ჩინეთი, კორეა, იტალია, ოთხკვირიანი ტურნე ავსტრალიასა და სინგაპურში!

— არც ერთი „ფალში"! ბიჭები ბრწყინვალედ უკრავენ! ვირტუოზები არიან!"... ეს სიტყვები თბილისელ ვირტუოზს, გიტარის დიდოსტატს, ოთარ რამიშვილს ეკუთვნის, რომელიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდა.

მხოლოდ ერთი რამ იყო გულდასაწყვეტი, — სულ რაღაც ორი კონცერტი (ისიც ძალიან მცირე დარბაზებში) ჰქონდა დაგეგმილი ანსამბლს — ერთი, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში მოვისმინეთ და მეორე, რომელიც გრანელის ქუჩაზე არსებულ ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის მოწვევით გაიმართა ამავე ეკლესიაში.

რა დაგვრჩენია, მაინც მადლობა მოკახსენოთ მხარდაჭერისათვის გოეთეს ინსტიტუტს და თვითონ ნიკას და დავითს, რომლებმაც თავიანთი ინიციატივით უძღვნეს ეს საჩუქარი თბილისელთა მცირე ნაწილს! არადა, ძალიან მომინდა მთელს ჩემს სამშობლოს მოესმინა და ენახა ჩვენი ვირტუოზი შვილები...

**ზაურ ფიფია.**

◎ ადამიანი — ბუნების შვილი

*დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ კომპიუტერი, ვიდეო, ტელევიზორი, ტელეფონი, ქსეროქსი, ფაქსი, სკანერი, პრინტერი, მაცივარი და სხვა საოჯახო ტექნიკა, აგრეთვე სალებავები, ლაქი, ლინოლეუმი, რის გარემოცვაშიც ადამიანი ცხოვრობს, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და ერთად (გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა შერწყმის შედეგად) დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ ნაზავით მოწამლული ადამიანი მალე იღლება, ითენთება, იოლად ღიზიანდება, სტკივა თავი და თანდათან ლამის ყველა ორგანო უავადდება.*

*ასეთი მავნე ზემოქმედებისაგან თავის დასაცავად ჩვენს შემწე ხეებს მივმართოთ. ყოველ ადამიანს დაბადების ნიშნის მიხედვით თავისი ხე აქვს, რომელსაც მისი განკურნება შეუძლია. ავადობის შემთხვევაში მიდით თქვენს მფარველ ხესთან, შეეხეთ და ერთხანს ასე იდექით. შვებას აუცილებლად იგრძნობთ.*

*„ექიმობას" გაგიწევთ ყველა ხე, გარდა ველური იასამნის, თხმელისა და ალვისა. ისინი შეღავათს მხოლოდ ფსიქიკური მოშლილობის მქონეთ აძლევენ, ასტიმულირებენ გულის მუშაობას, ააქტიურებენ ნივთიერებათა ცვლას, ხსნიან სტრესებსა და თავის ტკივილს.*

# „ექიმი" ხეები

**მუხა** — ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, აჩქარებს გამოჯანსაღებას და ენერგიას მატებს ადამიანს.

* * *

**წიფელი** — ამაღლებს სტრესების მიმართ გამძლეობასა და კონცენტრირების უნარს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

* * *

**წაბლის ხე** — კურნავს რევმატიზმსა და უძილობას, ხსნის ნერვულ დაძაბულობას და ფანტავს შიშს.

* * *

**არყის ხე** — ხელს უწყობს ძალებისა და ყურადღების კონცენტრირებას, ენერგიის აღდგენას. მისი წვენი საუკეთესო ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებაა. თავად ხე კი ჰაერის იონიზებას ახდენს, ქმნის მხიარულ განწყობილებას და აღადგენს შინაგან წონასწორობას.

* * *

**ფიჭვი** — ამშვიდებს, ხსნის ფსიქიკურ დაძაბულობას. ფიჭვნარში სეირნობა ძალიან კარგია ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა დროს. ფიჭვს მძიმე, მკვრივი ბიოენერგია აქვს, ამიტომ მათთვის, ვისაც გულის ან თავის ტკივილი აწუხებს, ფიჭვნარში სეირნობა რეკომენდებული არ არის.

* * *

**აკაციის** — ბიოენერგია ადამიანს ხალისსა და სიმხნევეს მატებს. ეს ხე უნივერსალური დონორია. იგი ყველას სჭირდება.

* * *

**ცირცელს** — აკაციის მსგავსი ბიოენერგია აქვს, მაგრამ გაცილებით ნაკლები.

* * *

**ცაცხვის** — დადებითი ენერგია გულჩათხრობილ, მარტოსულ ადამიანებს გულისნადების გამხელაში ეხმარება.

* * *

**ლიმონის ხე** — წმენდს ჰაერს, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, გვეხმარება არასასურველი გარეგანი ფაქტორების შედეგად დასუსტებული ბიოველის აღდგენაში.

* * *

**ბროწეულის** ხის ახლოს შეჩერება ან მისი ჯუჯა ხის შინ გახარება, ადამიანის იმუნურ სისტემას აუმჯობესებს.

* * *

**მიდით** თქვენს სასურველ ხესთან, ჩამოჯექით მის ძირას, თვალი შეავლეთ ვარჯს, რტოებს, ფოთლებს, ისუნთქეთ მშვიდად და თანაბრად. უთუოდ დაგიმშვიდდებათ აფორიაქებული სული. უდიდეს შვებას იგრძნობთ და ჯანმრთელობაც გაგიუმჯობესდებათ.

**მოამზადა ბელა დურგლიშვილმა**



◎ როგორ ვიკვებოთ?

# ყურადღებით ბოტულიზმს

## ეს ყველამ უნდა იცოდეს

**უკანასკნელ ხანს გახშირდა კვების პროდუქტებით მოწამვლის, ანუ ინტოქსიკაციის შემთხვევები. სამწუხაროა, რომ ისეთი საშიში დაავადება, როგორიც ბოტულიზმია, ხშირად ჩვენსავე დაუდევრობით ჩვენს საკუჭნაოში იმალება და დროს უცდის...**

ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ზოგიერთ აუცილებელ რეკომენდაციას.

ბოტულიზმი უმძიმესი დაავადებაა, მისი გამომწვევი მიკრობი ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული, აქვს რამდენიმე განსაკუთრებული თვისება:

მრავლდება მხოლოდ უჟანგბადო სივრცეში.

გამოიმუშავებს უძლიერეს შხამს (ტოქსინს), რომლის უმცირესი რაოდენობაც კი სასიკვდილოა.

ჩვეულებრივ გარემოში მოხვედრისას გარდაიქმნება გამძლე სპორად.

უჟანგბადო არეს წარმოადგენს კონსერვი, მაგრამ ქარხნული წესით, ე. ი. სათანადო ტექნოლოგიით დამზადებული კონსერვების სტერილიზაცია იმდენად მაღალ ტემპერატურაზე წარმოებს, რომ სპორები იღუპება, შინაურ პირობებში კი ამის მიღწევა შეუძლებელია (სპორები დუღილს 5-6 საათის განმავლობაში უძლებენ), მოხუფვის შემდეგ იქმნება ის უჟანგბადო არე, რომელიც სპორის ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია.

არანაკლებ სახიფათოა ოჯახურ პირობებში დამზადებული სათალი, მის ზედაპირზე წარმოქმნილი თხელი, მაგრამ საკმაოდ მტკიცე აპკი, ფაქტიურად, იგივე ხუფის როლს ასრულებს.

არ არის რეკომენდებული ხორცის, თევზის და სოკოს კონსერვის დამზადება.

ფართოდ გამოვიყენოთ ბოსტნეულის დამწნილების ტრადიციული წესი, ნუ დავაკონსერვებთ იმას, რისი დამწნილებაც შეიძლება (კიტრი, პამიდორი). თუ ბოსტნეულს მაინც ვაკონსერვებთ, დავიცვათ აუცილებელი პირობა: პროდუქტი საკმაო ხნით „ჩავალბოთ" წყალში, შემდეგ გულდასმით გავრეცხოთ, ასევე კარგად უნდა გაირეცხოს და გასტერილდეს გამოსაყენებელი ქილები და ხუფები. საკვებად გამოყენებისას კარგად დავაკვირდეთ ქილას, თუ ხუფი ამობერილია, კონსერვი უნდა განადგურდეს.

თუ ქილა ნორმალურად გამოიყურება, საკვებად გამოყენებამდე, რამდენადაც ამის საშუალებას მისი სპეციფიკა იძლევა, ვადუღოთ 15-20 წუთის განმავლობაში.

კონსერვები უნდა ინახებოდეს ცივ ადგილას.

მოერიდეთ კუსტარულად დამზადებულ კონსერვებს, შებოლილ, დამარილებულ თევზსა და ხორცპროდუქტებს. ამით რეალურად ავიცილებთ ბოტულიზმის საფრთხეს.

განსაკუთრებით მალფუჭებადი სურსათის, როგორიცაა: ხორცის, რძის, თევზის, კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის, ბოსტნეულისა და კვერცხის შემცველი პროდუქტების სიგრილეში შენახვა აუცილებელია.

არ შეიძინოთ ისეთი სურსათი, რომლის ეტიკეტზეც არ არის მითითებული დამზადებისა და რეალიზაციის ვადები, დაიცავით სურსათის შენახვის პირობები.

**მოამზადა ნაზი იმნაიშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

◉ თითქმის დაუჯერებელი

# ტურინული სუდარის საიდუმლო გახსნილია

**დღეს იშვიათია ადამიანი, ძველი ქრისტიანული სიწმინდის ტურინული სუდარის შესახებ რომ არ სმენოდეს. ამ ტილოზე ცხადლივ ჩანს მამაკაცის შიშველი სხეულის ორი სიმეტრიულად განლაგებული მოყვითალო-ყავისფერი ანაბეჭდი. მეცნიერებს კი აღელვებთ კითხვა: როდის და როგორ გაკეთდა ეს გამოსახულება.**

XX საუკუნის 90-იან წლებში ტურინული სუდარის შესწავლის კვლევითი პროექტის მონაწილეთა მიერ მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ სხეულის გამოსახულებას ქმნის პატარა მუქი მონაკვეთები სელის ბოჭკოებზე, რომლებიც ქსოვილის ზედაპირზე ძაფების ზედა სექტორშია განლაგებული. ბოჭკოს ქვედა მხრიდან, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც ძაფები ერთმანეთს კვეთს და ქსოვილის საფუძველს ქმნის, არავითარი სიმუქეები არ არის.

დასავლეთ კონექტიკუტის (აშშ) უნივერსიტეტის ქიმიკოსის ა. ადლერის მიერ შესრულებულმა ქიმიურმა ანალიზებმა აჩვენა, რომ სელის ბოჭკოების მონაკვეთები ცელულოზის გაუწყლოების შედეგად არის გამუქებული. როდესაც სინესტის შემცველობა სელის ტილოში მშრალი ბოჭკოს მასის 10 პროცენტზე ნაკლებია, ის შედარებით მოქნილი ხდება, ზედაპირის სითეთრე კი მცირდება. ეს მეცნიერული ფაქტია.

ჰიპოთეზები კი ასეთია. პროფესორი რ. რომანეზე და მისი კოლეგები ტურინის უნივერსიტეტიდან ვარაუდობენ, რომ ანაბეჭდი ქსოვილზე შეიძლებოდა სხეულზე არსებული ნივთიერებების ბოჭკოების წყალთან და ცელულოზასთან ქიმიური ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილიყო. ეს ბალზამირების



დროს გამოყენებული და ოფლის გამოყოფისას წარმოქმნილი ნივთიერებებია.

მაგრამ სელის ქსოვილებზე ჩატარებული ცდებით მხოლოდ ქიმიური ურთიერთქმედების შედეგად გარდამოხსნაზე არსებულის მსგავსი ანაბეჭდის მიღება ვერ მოხერხდა.

ფიზიკოსმა კ. ლითლმა ბირთვული ენერგეტიკის ცენტრიდან გამოთქვა ვარაუდი, რომ შეიძლებოდა ეს გამოსახულება იმ უცნობი პროცესის შედეგად წარმოქმნილიყო, რომელმაც დააჩქარა ცელულოზის ზედაპირის სელის ბოჭკოების გაუწყლოება.

მაგრამ უცნობია, ბოჭკოების ზედაპირი მთლიანად რატომ არ გამუქდა და რატომ აქვს მოზაიკის სახე, რომელიც გამოსახულებას ქმნის.

ახალ აღთქმაში ქრისტეს დასაფლავების ორი ვერსიაა. აი, ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან: „ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა, რომელიც იესოს მოწაფე კი იყო, ოღონდ ფარულად, იუდეველთა შიშის გამო, სთხოვა პილატეს, რომ იესოს გვამი ჩამოეხსნა. პილატემ დართო ნება. მოვიდა იგი და ჩამოხსნა მისი გვამი. მოვიდა ნიკოდემოსიც, წინათ რომ ღამით მოვიდა იესოსთან, და მოუტანა ას ლიტრამდე სმირნისა და ალოეს ნაზავი. აიღეს და შეახვიეს იესოს გვამი ტილოში ნელსაცხებელთან ერთად, როგორც მიღებულია იუდეველთა შორის დამარხვისას".

მარკოზის სახარება კი სხვაგვარად მოგვითხრობს ამ ამბავს: „რომ შეიტყო ასისთავისაგან, აჩუქა იოსებს გვამი. მან იყიდა ტილო, გარდამოხსნა იგი, შემოახვია ტილო და დაასვენა სამარხში, რომელიც კლდეში იყო ნაკვეთი, და ლოდი მიაგორა სამარხის კარზე... შაბათი გავიდა თუ არა, მარიამ მაგდალინელმა, მარიამ იაკობისამ და სალომემ იყიდეს სურნელებანი, რომ მისულიყვნენ და ეცხოთ მისთვის". თუ განხჯის საფუძვლად პირველ ვერსიას ავიღებთ, აშკარაა, რომ ეს იყო ბალზამირების პრეპარატი, რომელიც შედგებოდა სმირნისგან (მირონისგან, სურნელოვანი ფისისგან,) რომელსაც გამოჰყოფს ზოგიერთი მცენარე, რომელიც არაბეთსა და ეთიოპიაში იზრდება) და ალოესგან სხეულიდან ის აუცილებლად მოხვდებოდა გარდამოხსნის ქსოვილზე და ტილოზე ცხიმოვან ანაბეჭდს დატოვებდა. მის შემადგენლობაში ფისისა და ალოეს წვენის პოლისაქარიდების გარდა, შედიოდა აგრეთვე ზეითუნის ზეთიც, რომლის საფუძველზეც მზადდებოდა ამ ნივთიერებების სუსპენზია, აგრეთვე სხეულის გასაუწყლოებლად გამოყენებული ტუტეები.

ალბათ, გარდამოხსნა გამოიტანეს და მზეზე გაფინეს გასაშრობად. როგორ მიმდინარეობს ქსოვილზე სხეულის ამგვარი ანაბეჭდის განათება მზის სხივებით? ზაფხულის თვეებში, შუადღის საათებში, განსაკუთრებით სამხრეთ რაიონებში, მზის სხივების ენერგიის რაოდენობამ დედამიწის ზედაპირთან შეიძლება 600 ვტ [illegible] მიაღწიოს. დედამიწის ზედაპირთან მზის სხივები პრაქტიკულად ურთიერთპარალელურია, ამიტომაც ბოჭკოების გახურება და შესაბამისად ცელულოზის დეჰიდრაცია უფრო უკეთესად მიმდინარეობს სელის ბოჭკოების ზედაპირზე, რომელთა ზედაპირი მზის სხივების მიმართულების პერპენდიკულარულია. ბოჭკოების სხვა ნაწილები, რომლებიც უშუალოდ არ არის მზის სხივებით განათებული, არ გადახურდება და არც დეჰიდრაციას განიცდის.

ბოჭკოების ნაწილის ზეთოვანი გარემოცვა ამ შემთხვევაში კარგი თბოგამტარი გარემოს როლს ასრულებდა და ხელს უწყობდა ბოჭკოების სხვა მონაკვეთების გახურებას და, როგორც შედეგს – მათ შეუქცევად დეჰიდრაციას. მოზაიკური სურათიც ასე გაჩნდა. მზის სინათლის ზემოქმედების შედეგად ქსოვილზე გამოსახულების გაჩენის მექანიზმის ჰიპოთეზის როგორც საცდელი საიდუმლო შემოწმების შედეგად მიღებული იქნა გამოსახულება, რომელიც ბუნდოვანი მოყვითალო ლაქებისგან შედგება. ხელის ანაბეჭდის გამოკვლევისას კი ისეთი დასკვნამდე მივიდნენ, რომ, როგორც ჩანს, მას ფოტოფირის ნეგატივის ზოგიერთი თვისება აქვს. თითებისა და ხელის გულის ის ნაწილები, რომლებიც ტილოს ეხებოდა, მუქი ჩანს და რაც უფრო მჭიდროდ აჭერდნენ მათ ქსოვილს, მით უფრო მუქი იყო ანაბეჭდი.

ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეიძლებოდა მზისგან გაუწყლოებულ სხეულსა და დასაფლავების მშრალ ადგილის სხეულზე მალამოს მცირე რაოდენობის არსებობის შემთხვევაში ტილოზე სხეულის მკაფიო ზეთოვანი ანაბეჭდი დაეტოვებინათ.

◉ თქვენ ეს იცოდით?

# პირადი ხელმოწერის საიდუმლოებანი

**ავტოგრაფის** დატოვებისას ადამიანი ამხელს თავის აზრებს, გრძნობებსა და ფარულ სურვილებს.

...ცნობილ ფსიქოლოგს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ლევ ფილონოვს, რომელიც გრაფოლოგიას 40 წელია იკვლევს, კოლეგებმა გასაანალიზებლად მისცეს ტექსტი, ვითომ ვინმე იმედისმომცემი მეცნიერის დაწერილი. პროფესორმა ერთი დახედა ფურცელს და ასეთი დასკვნა გააკეთა: „დაპროგრამებულია და შეგუების-





ასე იცვლებოდა ნაპოლეონის ხელმოწერა წლების განმავლობაში

კენ გადახრილი". სინამდვილეში ტექსტი ვლადიმერ პუტინის ხელით იყო დაწერილი, ინაუგურაციისათვის მზადებისას. ძველ დროში ფილონოვი თავს წააგებდა ასეთი შეფასებისათვის, მით უფრო, რომ საამისო პრეცედენტი არსებობდა:

სტალინის სიცოცხლეში აკადემიკოსმა ვლადიმერ ბეხტერევმა, აგრეთვე გრაფოლოგიით გატაცებულმა, ბელადის ხელმოწერით დაადგინა, რომ ის აგრესიული ფსიქოპათიური პიროვნებაა, დევნის მანიით შეპყრობილი. სწავლულმა, ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებლად ეს ფსიქიატრებისა და ნევროპათოლოგების ყრილობის კულუარებში გაახმიანა 1927 წლის დეკემბერში. მალე ბეხტერევს მწვავე მოწამვლის ნიშნები აღმოაჩნდა და აღესრულა კიდევაც...

სულ ახლახან ისრაელის სადაზვერვო სამსახურებმა გრაფოანალიზის სპეციალისტებს სადამ ჰუსეინის ხელის ნიმუში წარუდგინეს დამწერის დაუსახელებლად. დასკვნა შემდეგი იყო: ავტორს განდიდების მანია სჭირს პარანოიის მკაფიოდ გამოხატული სიმპტომებითო.

ნუთუ კალმის ერთ მოსმას შეუძლია ამდენი რამის თქმა კაცზე?

– რასაკვირველია, შეუძლია – ჩვენს ხელს ხომ ტვინი და ცენტრალური ნერვული სისტემა წარმართავენ, – ამბობს გრაფოლოგი-კრიმინალისტი ოლგა პეტროვა. – ამიტომ წერის მანერა ააშკარავებს პიროვნების ტიპს, გენეტიკურად ჩადებულ იმის ტემპერამენტს. დიდი ხანია დადგენილია კავშირი ხელწერის თავისებურებებსა და ხასიათს შორის. ხელწერა ერთობ მახვილად რეაგირებს ჩვენს თავში დაბადებულ აზრებსა და განცდილ გრძნობებზე. ჩვენ თითქოსდა შეუმჩნევლად „გადავამლერებთ თითებზე" საკუთარ აზრებსა და გრძნობებს.

გრაფოლოგებს, მხოლოდ მოხატულობის მიხედვით, დანაშაულებებიც კი გაუხსნიათ. ერთხელ პიონერთა ბანაკში მეხუთეკლასელი გოგონა დაიკარგა. ნახეს ბარათი: „არ მეძებოთ, შემიყვარდა და გავყევი". ხელწერის მიხედვით, რომელიც ოდნავ განსხვავდებოდა ამ ბავშვის ჩვეულებრივი ხელისაგან, ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ გოგონას მუქარით აიძულეს ბარათის დაწერა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მეხუთეკლასელი მანიაკს გაუტაცია.

### მაინც, რა ამჟღავნებს კაცის ხასიათს?

1. ხელწერის გადახრა; 2. ნაწერზე დაწოლა; 3. ასოების სიმაღლე, სიდიდე და სიგანე, აგრეთვე სიმრგვალე; 4. სტრიქონთა განლაგება; 5. მანძილი სიტყვებსა და სტრიქონებს შორის; 6. არშიები – მანძილი ფურცლის კიდემდე.

### აქვე სათქმელად ხელი ასაკთან ერთად იცვლება

– ჟამთა სრბოლისას, გარემოებათა გამო, კაცს ეცვლება ხასიათი, ცხოვრებასთან დამოკიდებულება და ეს აგრეთვე იჩენს თავს ხელწერებში, – გვიამბობს ლიტველი სპეციალისტი ვიტას სალჯიუნასი. – ადამიანის ხასიათში მკვეთრი ცვლილებები განსაკუთრებით გამოიხატა ნაპოლეონის ხელმოწერებში – თითქოს კალამს სხვადასხვა ადამიანი უსვამდა. პირველი ხელმოწერა 1793 წელს გააკეთა, როცა არტილერიის კაპიტანი გახლდათ. ექსპერტთა აზრით, ის პატივმოყვარეობასა და თავისმოიმედეობაზე მეტყველებს, თუმცა გრაფიკულად არცრით არ გამოირჩევა; მეორე ხელმოწერა (1804 წ.) საიმპერატოროა, ეფექტურად მოსმული; მესამე (1805 წ.) – აუსტერლიცთან გამარჯვების შემდეგ, ცენტრი-



დანული მოხაზულობით, – გაუტეხავი დაჟინების, პატივმოყვარეობის, ფართო გეგმების დაწყობისაკენ მიდრეკილებისა და იმათი განხორციელების რწმენის მაჩვენებელი; მეოთხე – მოსკოვთან ბრძოლის მერე: კოლოსალურად ამოზრდილი „N" მიუთითებს უზომო პატივმოყვარეობაზე, ექსცენტრიკულობაზე, მედიდურობაზე, მბრძანებლურობასა და თვითდაჯერებულობაზე; მეხუთე ხელმოწერა ნაპოლეონმა მოსკოვიდან გამოქცევის მერე მოხაზა – უფორმო და დაჭმუჭნული. ექსპერტთათვის აშკარაა მდგომარეობის დათრგუნულობა, გამოსავლის მაძებარი აზრის დაძაბულობა; მეექვსე – 1813 წელს ლაიფციგთან ბრძოლის შემდეგ – ხაზების გატეხილობა, დაქანებული შტრიხები მორიგი დამარცხების შედეგია; წმინდა ელენეს კუნძულზე შესრულებული უკანასკნელი ხელმოწერა, გრაფოლოგთა შეხედულებით, ეკუთვნის ერთბაშად მობერებულ კაცს – ამას გვამცნობს მკვეთრად ძირს ჩამოშვებული მოსმები...





იოსებ სტალინის, სადამ ჰუსეინისა და ვლადიმერ პუტინის ხელმოწერები

### უფროსთა გამოცნობა ხელმოწერის მიხედვით

რაც მეტს იწაფება კაცი ხელმოწერაში, მით უფრო ნაკლებ ჭკვიანია და განდიდების მანიას არასრულფასოვნების კომპლექსს უხამებს – პიროვნებას სწორედ განდიდების მანია შეყრია.

ჩქარი „ჩანახვევი" ან დიდი უფროსის ხელმოწერაა, რომელსაც ხშირად უწევს ეს, ან გულჩათხრობილი უკარება კაცისა. უბრალონი და გულღიანი საკმაოდ გასარჩევად წერენ გვარს – ასე „გავლივართ" გულჩახვეულ პიროვნებაზე.

იმის გაგება თუ გსურთ, საბოლოოდ გალოთდა თუ არა კაცი, შეუდარეთ ხელმოწერა, ვთქვათ, ხუთიწლისწინანდელი, ამჟამინდელს. ძალიან თუა შეცვლილი, დროა მკურნალობას შეუდგეს – პიროვნება ალკოჰოლიზმისაა დაავადებული.

კაცი რომ საკუთარი თავით ტკბობისკენაა მიდრეკილი, პედანტია და ვისაც გინდა, იმას გააწამებს სხვადასხვა ბიუროკრატიული მოთხოვნითა და საქაღალდეო გაჯანჯლებით – „ნარცისულ" პიროვნებასთან გვქონია საქმე.

უფროსი როცა ნერვულად და სწრაფად აწერს ხელს, ეს ნიშნავს, რომ ბოლო ამბებმა კალაპოტიდან ამოაგდო და საკუთარი თავის რწმენა დაუკარგა – პიროვნება დაბნეულია.

დინჯად და გულმოდგინედ თუ აწერს ხელს კაცი, ის მაგრად დგას ფეხზე და ასი პროცენტითაა დარწმუნებული საკუთარ თავში – ასეთი პიროვნება სოლიდურია.

**⊙ კალათბურთი**

# იმედის მატჩი

დღეს ჰელსინკი დიდი საკალათბურთო ჯახის მასპინძელია: ფინეთი – საქართველო. უკვე მერამდენედ გადაიკვეთა ამ გუნდების გზები. შეგახსენებთ, რომ წინა შესარჩევ ციკლში მეტოქეებმა საკუთარ მოედანზე თითო შეხვედრა მოუგეს ერთმანეთს, თუმცა მათი მაშინდელი ქიშპობით მაკედონიელებმა ისარგებლეს და „ა" დივიზიონში ალზევდნენ.

სხვათა შორის, წლეულს ჩვენი ქვეყნისა და სუომის დაპირისპირება უმცროსთა დონეზე გაგრძელდა და აქ უკვე „ჯვაროსნებმა" იმძლავრეს – ჯერ ახალგაზრდულმა ნაკრებმა გვასახელა, ხოლო მოგვიანებით ომახიანი სიტყვა კადეტებმაც თქვეს.

რა შეიძლება ითქვას პრინციპული დუელის წინ? უპირველესად, იმ ყურადღების თაობაზე, რომელსაც ოფიციოზი იჩენს გორდონ ჰერბერტის შეგირდებზე. დასტურად თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ უკანასკნელ ვარჯიშზე დედაქალაქის მერის გიგი უგულავას, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის გოკა გაბაშვილისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურის მისვლა გამოდგება. მეტიც, წარმატების შემთხვევაში მერია ნაკრებს 40 ათას ლარს უფეშქაშებს ჯილდოდ. ალბათ, ისეთებიც მოიძებნებიან, ამ პრემიას წინასაარჩევნო ტრიუკად რომ მონათლავენ ან თანხას რომ იცოტავებენ (ზოგ-ზოგიერთთა ქირქილი უკვე გაისმა კიდეც). შეიძლება, არც უმაგისობაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, უწინ ასეთი რამ რომ არ მომხდარა?



რაც შეეხება წმინდა სპორტულ ასპექტს, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს – კერძოდ, ამჯერად ითამაშებენ ნაცვლიშვილი, მარკოიშვილი და სანიკიძე, რომლებიც შარშან ტრავმების გამო გვაკლდნენ. მართალია, უილიამსის სახით ძირითადი გამთამაშებელი ვერ დაგვეხმარება, მაგრამ არა გვგონია, მისმა მემკვიდრემ ელისმა შეირცხვინოს თავი.

ფინელები? ეს გუნდი ისევ იმ მწვრთნელითა (ჰენრიკ დეტმანი) და შემადგენლობით (მოტოლა, რანიკო, მატინენი, მუურინენი, ლეპტორანტა და ძმანი მათნი) შეგვებრძოლება, ერთხელ უკვე რომ დაგვამუხრუჭა. ვიმედოვნებთ, დღეს ყველაფერი კარგად დასრულდება.

შეგახსენებთ იმასაც, რომ პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი 20 საათიდან და 15 წუთიდან შემოგვთავაზებს.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო**

**⊙ ჭადრაკი**

## „ცოფიანი" ფიგურა

**დაუცველ** ფიგურას, რომელიც მეტოქის მეფეს ან ნებისმიერ სხვა ფიგურას უპირისპირდება და მუდმივად მზად არის თავის შესაწირად (მეტოქე კი პატის გამო „ძღვენზე" უარს ამბობს), „ცოფიანი" ეწოდება.

ხშირად ხდება, როდესაც თითქმის აშკარად მოსაგებ პოზიციაში სუსტ მხარეს „ცოფიანი" ფიგურის მეშვეობით (მუდმივი ქიშით ან დევნითი შეწირვით) პარტიის გადარჩენის შანსი ეძლევა.

**თამაზ შენგელია**

ა. ტროიცკი
„შახმატნი ლისტოკ" (1929)
ყაიმი



**1.მf6 გ3 2.მe4 ჟf2 3.მc5+! (მცდარი სვლაა 3 მc3+, მაშინ მჟb3! და შავი მხედარი თავს აღწევს რა დევნას, ეცდება მოხვდეს e1 უჯრაზე. თეთრი მხედარი შეუტევს მას c2 უჯრიდან, რასაც მოჰყვება მჟ2 და მოგება). ამიტომ 3. – მჟa5 4. მel მb5 5. მc7 მd4 6. მe6! ახლა ყაიმია, რადგან შავი მხედარი მუდმივ დევნას თავს ვერ აღწევს.**

**⊙ ორბიტაზეა**

## შეარიგებენ?!

**მსოფლიო** ფეხბურთის შტაბის – ფიფას ხელმძღვანელობა აპირებს მუნდიალის ფინალურ მატჩზე მომხდარი გახმაურებული ინციდენტის შემდეგ ზინედინ ზიდანისა და მარკო მატერაცის შერიგებას.



„ჩვენ აუცილებლად შევუწყობთ ხელს ამას", – თქვა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

როგორც ამბობენ, ამ ორი ფეხბურთელის შეხვედრა შედგება სამხრეთ აფრიკაში, კუნძულ რობენზე, სადაც ადგილობრივ ციხეში სასჯელს იხდიდნენ ნელსონ მანდელა და აპარტეიდთან ბრძოლის სხვა ლიდერები.

გასულ კვირაში მატერაციმ ინტერვიუში აღიარა, რომ მან თავად გამოიწვია ზიდანის თავური დარტყმა, რადგან მისი და შეურაცხყო. ახლა კი შერიგება უნდა.

ზიდანმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ინციდენტი ამოწურულია. „ეს უკვე წარსულია", მისივე თქმით, გაცილებით საშინელი იყო ფინალში დამარცხება.

## სიკვდილის შემდეგაც ერთად



**დიახ**, არგენტინული კლუბის, „ბოკა ჰუნიორსის" ყველაზე ერთგული გულშემატკივრები საყვარელ გუნდს სიკვდილის შემდეგაც არ განშორდებიან. ბუენოს-აირესიდან 60 კილომეტრზე მდებარე სასაფლაოს ხელმძღვანელობამ კლუბისა და მისი გულშემატკივრებისთვის გამოჰყო სამი ათასი საფლავი.

თუმცა იმქვეყნიური „სიამოვნება" უფასო როდი იქნება – ფეხბურთის მოყვარულებმა თითოეული ადგილისთვის 900-დან 5 ათას დოლარამდე უნდა გადაიხადონ.

თუმცა ყველაფერი როდი გაიყიდება – კლუბის ვარსკვლავებისთვის უსასყიდლოდ შეინახავენ 300 საფლავს.

## რომანი აუზში

**ჩვენ** უკვე ვწერდით ფრანგი მოცურავე ქალის ლორა მანადუსა და მისი იტალიელი კოლეგის ლუკა მარინის შესაძლო რომანის შესახებ. ახლა თავად სპორტსმენებმა გაუმხილეს თავიანთი ურთიერთობის წვრილმანი ჟურნალისტებს.

„პირველად ლორა შარშან, დეკემბერში, ტრიესტში დავინახე და ის მიუწვდომელად მშვენიერი მეჩვენა, – თქვა მარინიმ, – ნახევარი წლის შემდეგ ჩვენ ბუდაპეშტში შევხვდით და მე გავბედე მისთვის SMS-ის გაგზავნა. პასუხს არც კი ველოდი, მაგრამ მან მიპასუხა, მის შემდეგ გამუდმებით ვურთიერთობთ."

ლუკას თქმით კი, მათი გრძნობები ხელს არ უშლის მათ სპორტულ კარიერას. „ჩვენ ერთად მოვემზადებით მელბურნის 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და პეკინის 2008 წლის ოლიმპიადისთვის".

მარინი აპირებს ქალიშვილის მშობლებისთვის გაცნობას.



**⊙ ოსტატი**

# შრომისმოყვარე, ზრდილი და მიზანმიმართული

ეს მოხდა თხუთმეტი წლის წინათ: სენაკელებმა – შოთა ჯავახიამ და ვიტალი ვახანიამ რაიონის სპორტსკოლის დარბაზში რინგი გამართეს და კრივის სექცია ჩამოაყალიბეს. რიგი დადგა – უბნის ბიჭებმა სულ აქ მოიყარეს თავი. ყველას უნდოდა, კარგი „დამრტყმელი" გამოსულიყო, მაგრამ ორიოდე თვის ვარჯიშის შემდეგ ბევრი მიხვდა, რომ კრივში არაფერი ესაქმებოდა. მხოლოდ ნებისყოფიანები შემორჩნენ რინგს და მუყაითად განაგრძობდნენ წვრთნას. მათ შორის გახლდათ 8 წლის **კახა ჟვანია**, რომელიც თანატოლებში მახვილი თვალითა და სისწრაფით გამოირჩეოდა. მწვრთნელებს არ გამოპარვიათ ყმაწვილის ეს თვისებები და მის დასაოსტატებლად არაფერს იშურებდნენ.

კახამ პირველი გამოცდა 1992 წელს ზუგდიდელ თანატოლებთან ამხანაგურ შეხვედრაში წარმატებით ჩააბარა. მომდევნო წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის პირველობა მოიგო. 1995 წლიდან კი რამდენჯერმე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა: სამჯერ – ჭაბუკებში, ოთხი წელიწადი ახალგაზრდებში არ ჰყავდა ტოლი, ბოლო სამი წელიწადია, უფროსებში არ თმობს პირველობას.

**ჭაბუკებში ევროპის 1998 წლის მესამე პრიზიორმა წლეულს კონტინენტის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.**

– თხუთმეტი წელიწადია, რინგზე გამოვდივარ, – მითხრა **კახა ჟვანიამ**. – ვარჯიში შოთა ჯავახიას და როინ ბიკვაიძის ხელმძღვანელობით დავიწყე. ბოლო ექვსი წელიწადია, ფოთში ტარიელ ვერულაშვილი მამეცადინებს.

**– სენაკის რინგს რატომ შეელიე?**

– რაიონში სპორტისთვის საკმარისი სახსრები არ ჰქონდათ. შეჯიბრებებზე ხშირად საკუთარი ფულით დავდიოდი. ოჯახი ვერ გასწვდა ჩემს დაფინანსებას. ის იყო, სარბიელისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, რომ ბატონმა ტარიელმა ფოთში გადასვლა შემომთავაზა. მეც დავთანხმდი. მაშინ იქ სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ვლადიმერ ჭანტურია და ოლიმპიური თამაშების მონაწილე თეიმურაზ ხურცილავა ვარჯიშობდნენ. მათ გვერდით რინგზე დგომა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ენთუზიაზმიც გამიორკეცდა და, მართალი გითხრათ, იქ ჩამოვყალიბდი ნამდვილ სპორტსმენად. რაც მთავარია, საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე წასასვლელად თანხის მოძიება არ მიხდება. მაგალითად, შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ფოთის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა დამაფინანსა, რისთვისაც ამ სამსახურის უფროსის ზურაბ ტიბუას მადლობელი ვარ.





– ამის გახსენებაც არ მინდა. პლოვდივში ევროპის ჩემპიონატზე ფინელი და მოლდოველი მოკრივეების შემდეგ მეოთხედფინალში ისლანდიელს ნოკაუტით მოვუგე. ნახევარფინალში მასპინძელთა გუნდის წევრს შევხვდი. არბიტრებმა, განსაკუთრებით აზერბაიჯანელმა რეფერიმ, ყველაფერი გააკეთეს ბულგარელის ფინალში გასაყვანად. აშკარად მოგებული ბრძოლა წამართვეს. ასეთი უსამართლობა სპორტში არ უნდა ხდებოდეს, ვფიქრობ, ამაში რუსების ხელიც ერია. მათ ხომ ამ ტურნირზე თერთმეტი ფინალისტი ჰყავდათ და შინ 9 „ოქრო" წაიღეს.

**– ყოველივეს მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი ურიგო არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ბულგარეთში, ფაქტობრივად, ტრავმამოუშუშებელმა იასპარეზე.**

**– კრივზე რომ ლაპარაკობ, სიამაყისგან თვალები გიელავს, რაც სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარულის მაჩვენებელია. და მაინც, რა არის შენთვის რინგი?**

– ჰობი, პროფესიაც და საარსებო წყაროც. ბევრი რამ მასწავლა კრივმა. უპირველესი მაინც კაცობაა... შეჯიბრების შემდეგ რამდენიმე დღე რომ ვისვენებ, ერთი სული მაქვს, რინგს როდის დავუბრუნდები.

**– კიდევ რა გიტაცებს?**

– ფეხბურთი, ბილიარდი. იტალიისა და ბრაზილიის ეროვნული გუნდების გულშემატკივარი ვარ, ცხადია, საქართველოს ნაკრების შემდეგ. ფრანგებთან და უკრაინელებთან წაგებამ ძალიან დამწყვიტა გული, მაგრამ არა უშავს, მალე ჩვენც ვიზეიმებთ გამარჯვებებს.

**– ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაზე წლეულს პირველად მოსინჯე კვარცხლბეკი. სხვა დროსაც თუ გქონდა საპრიზო ადგილების დაკავების შანსი?**

– შარშაწინ ერთი ნაბიჯი დამაკლდა ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებამდე. პულაში (ხორვატია) ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ ორ მეტოქეს ვძლიე, მაგრამ მეოთხედფინალში ფრანგ მსოფლიო ჩემპიონ ვილი ბლეინთან დავმარცხდი. შარშან პლანეტის უძლიერეს მოკრივეთა ტურნირზე ჩინეთში ოლიმპიური თამაშების ორი პრიზიორი და ერთიც მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის მედალოსანი ჩამოვიშორე გზიდან, მეოთხედფინალში კი არაობიექტური მსაჯობის გამო ყაზახური ბარიერი ვერ გადავლახე – ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ბახტიარ არტაევმა მაჯობა.

**– მიკერძოებულმა მსაჯობამ, როგორც ვიცი, წლეულსაც გატკინა გული...**

– შარშან ჩინეთში ვიტკინე ხელი და პლოვდივში გამგზავრებამდე მხოლოდ ერთ საწვრთნელ შეკრებაზე ვიყავი ბაქოში და იქაც ცალი ხელით ვივარჯიშე. ამის მიუხედავად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით ცერცვაძე და ტარიელ ვერულაშვილი მენდნენ და გუნდში მიმიწვიეს, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. დიდი დახმარება გამიწია საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა. ამ ადამიანების ჩემდამი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ სიძნელეები გადამალახვინა და კვარცხლბეკზე ასვლაც შემაძლებინა.

წლეულს ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელები მოვიდნენ. ბატონ პეტრე ცისკარიშვილს, გიორგი კოდუას და ვლადიმერ ახალკაცს გადაწყვეტილი აქვთ, საქართველოში კრივი ახალ სიმაღლეზე აიყვანონ. ამ ზრუნვის პირველი გამოვლინება ის იყო, რომ ევროპის ჩემპიონატზე სრული გუნდით გავემგზავრეთ. იმედია, ყურადღება მომავალშიც არ მოგვაკლდება.

**– რაზე ოცნებობ?**

– მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის დაპყრობასა და 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაზე. გაისად ყველაფერს ვილონებ პეკინის საგზურის მოსაპოვებლად...

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს – დავით ცერცვაძეს ვესაუბრე. „კახა ჟვანია შესანიშნავი სპორტსმენი და ჩინებული პიროვნებაა, – მითხრა მან. – შრომისმოყვარე, ზრდილი და მიზანმიმართული. უფროს-უმცროსობა არ ეშლება და თავადაც პატივისცემით სარგებლობს. ახალგაზრდა კაცია, მომავალი წინ აქვს. მჯერა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ბევრჯერ გვასახელებს".

ღმერთმა ქნას!

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე:** კახა ჟვანიამ (მარჯვნივ) ამ დარტყმით მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა; გამარჯვების სიხარული.

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

| თანამდებობა | შტატი |
|---|---|
| **ტყის ბიომრავალფეროვნების, დაგეგმარებისა და ექსპერტიზის განყოფილება** | |
| მთ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| უფ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| მეც.თანამშრომელი | 5 |
| **ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის განყოფილება** | |
| მთ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| უფ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| მეც.თანამშრომელი | 2 |
| ***ახალდაბის სატყეო საცდელი სადგური*** | |
| (სადგურის უფროსი) მეც.თანამშრომელი | 1 |
| მეც.თანამშრომელი | 2 |
| ტყის დაცვის განყოფილება | |
| მთ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| უფ.მეც.თანამშრომელი | 1 |
| მეც.თანამშრომელი | 3 |
| ***წაღვერის ტყის დაცვისა და ბიოკონტროლის სადგური*** | |
| სადგურის უფროსი მეც.თანამშრომელი | 1 |

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ხოლო დოქტორანტების (ასპირანტებისათვის) ცნობა შესაბამისი საგანმანათლებლო (სამეცნიერო) დაწესებულებიდან;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) თანამშრომლის სამეცნიერო გამოცდილების და პოტენციალის შესაბამისობა განყოფილების სამეცნიერო მიმართულებასთან;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში) რაოდენობა (მთავარი და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე);

გ) მონაწილეობა საგრანტო (განსაკუთრებით საერთაშორისო) პროექტებში;

დ) პატენტები;

ე) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

ვ) საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელობა და ოპონირება (მთავარი და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე);

ზ) კომპიუტერული პროგრამების (M. Word, Excel, Photoshop, PowerPoint) ფლობა, უცხო ენების ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში: მისამართი: 0186, თბილისი, მინდელის ქუჩა 9.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 16 ოქტომბერი.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 23 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, თბილისი, მინდელის ქ. № 9. ტელ: 31-72-34.

პასუხისმგებელი პირი
მედიკო კაჭარავა

# მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს აუქციონს

**მცხეთის რაიონის დიღმის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე:**

0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721432303); 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721432304); 0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435181); 0.13 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434015); 0.18 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434205); 0.27 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434208); 0.19 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434255); 0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721435175); 0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434203); 0.17 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434184); 0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434183); 0.78 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721435161); 0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434027); 0.15 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434242)

საწყისი გასაყიდი ფასია:

0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721432303) **1მ$^2$ –45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 144 000(ასორმოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 9828.80(ცხრა ათას რვაას ოცდარვა) ლარი 80 თეთრის ოდენობით.

0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721432304) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 144 000(ასორმოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 9828.80(ცხრა ათას რვაას ოცდა რვა) ლარი 80 თეთრის ოდენობით.

0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721435181) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 229 500 (ორას ოცდა ცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 15664.65 (თხუთმეტი ათას ექვსას სამოცდაოთხი) ლარი 65 თეთრის ოდენობით.

0.13 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434015) **1მ$^2$ – 85 (ოთხმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 110 500 (ას ათი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 3992.95 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცდა თორმეტი)ლარი 95 თეთრის ოდენობით.

0.18 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434205) **1მ$^2$ – 65 (სამოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 117 000 (ას ჩვიდმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.** აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5528.70 (ხუთი ათას ხუთას ოცდარვა)ლარი 70 თეთრის ოდენობით.

0.27 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434208) **1მ$^2$ – 65 (სამოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 175 500 (ას სამოცდათხუთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 8293.05 (რვა ათას ორას ოთხმოცდაცამეტი) ლარი 05 თეთრის ოდენობით.

0.19 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434255) **1მ$^2$ – 65 (სამოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 123 500 (ას ოცდასამი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5835.85 (ხუთი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარი 85 თეთრის ოდენობით.

0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721435175) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 229 500 (ორას ოცდაცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 15664.65 (თხუთმეტი ათას ექვსას სამოცდაოთხი) ლარი 65 თეთრის ოდენობით.

0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434203) **1მ$^2$ – 65 (სამოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 143 000 ას ორმოცდასამი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 6757.3 (ექვსი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი 30 თეთრის ოდენობით.

0.17 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434184) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 76 500 (სამოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5221.55 (ხუთიათას ორას ოცდაერთი) ლარის 55 თეთრის ოდენობით.

0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721434183) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 3685.8 (სამი ათას ექვსას ოთხმოცდახუთი) ლარი 80 თეთრის ოდენობით.

0.78 ჰა (მიწის სარეგისტრაციო №721435161) **1მ$^2$ – 45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 351 000 (სამასორმოცდა თერთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია „სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 23957.70 (ოცდასამი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი 70 თეთრის ოდენობით.

0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434027) **1მ$^2$ – 85 (ოთხმოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 102 000 (ასორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

0.15 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721434242) **1მ$^2$ – 85 (ოთხმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 127 000 (ასოცდაშვიდი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

აუქციონის „ბე" შეადგენს გასაყიდი ფასის 10 %-ს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილ უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე. აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკური პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001. სახალხო ბანკის კოდი 220101415. საიდენტიფიკაციო კოდი N 236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები: ქ.მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ.N 73. ტელ 8(27-32) 27-27; 893 45-14-44

***მცხეთის რაიონის გამგეობა.***
***„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია".***

## ხსოვნა

# იური ვასაძე



სიკვდილი ყველა ადამიანის ხვედრია, დიდია თუ პატარა, მაგრამ მას არ უყვარდა გარდაცვალებაზე ლაპარაკი არც ახალგაზრდობაში და არც მძიმე ავადმყოფობის ჟამს. ის ყოველთვის იმედიანი, ხალისიანი, ცხოვრების მოყვარული იყო.

უმძიმესია უკანასკნელი გამოთხოვება იმასთან, რომლის გვერდითაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარე, ადამიანის წასვლასთან ერთად ცხოვრების ნაწილი ითქმება წარსულში და გვიტოვებს მხოლოდ ხსოვნას, სიხარულითა და ტკივილით აღსავსე მოგონებებს.

წავიდა ჩვენგან მადლმოსილი ადამიანი – საქართველოს სახალხო არტისტი **იური ვასაძე.**

იური ვასაძე თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1961 წელს მოვიდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში და აბაშიძელთა სცენის აუცილებელ წევრად იქცა. მისი ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე და საინტერესო წლები სწორედ ამ თეატრთანაა დაკავშირებული. როგორი როლი არ უთამაშია – მთავარი, ეპიზოდური, სახასიათო თუ ლირიული, და ყოველ მათგანს ჭეშმარიტი ოსტატობის წყალობით ქმნიდა. დაუვიწყარია პელიკანი („ცირკის პრინცესა"), ჰიგინსი („ჩემი მშვენიერი ლედი"), ლებლანი („მონმარტრის ია"), ბაბაჯანა („ბაბაჯანას ქოშები"), ყვარყვარე („ყვარყვარე თუთაბერი"), სანჩო პანსა („ლამანჩელი"), სოლომონ ისაკიჩი („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), სარდიონი („მეტეხის ჩრდილი"), კასიანე („სიმღერა თბილისზე"), შვეიკი („შვეიკი, შვეიკი"), ფრენსისი („ჩარლის დეიდა")

იური ვასაძის პერსონაჟები ყურადღების ცენტრში ხვდებოდნენ მაშინაც კი, როცა იგი ეპიზოდურ როლებს თამაშობდა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მაყურებელს არ ავიწყდება მის მიერ შექმნილი სახეები კინოფილმებში: „ნეილონის ნაძვის ხე", „დათა თუთაშხია", „უძინართა მზე", „მონანიება", „საბრალდებო დასკვნა", „მშობლიურო ჩემო მიწავ", „სიყვარული ყველას უნდა".

იგი უყვარს მაყურებელს.

იური ვასაძეს უზომოდ უყვარდა მაყურებელი. ყველაზე დიდი სიხარული მისთვის მაყურებლის ტაში გახლდათ... ამ სიყვარულში ყალბი არ ყოფილა. დარბაზი გამორჩეულად ეგებობდა მის გამოჩენას სცენაზე.

იცხოვრა ისე, როგორც მას სწამდა: პირუთვნელად, ხელგაშლილად, ულალატოდ. უყვარდა მეგობრები, თავისი თაობის მსახიობები, ახალგაზრდობა, მათი ქომაგი და უფროსი ამხანაგი იყო და ყოველთვის ერთპიროვნულ თაყვანისცემას იმკიდა მათგან.

იური ვასაძე შესანიშნავი მამა და მეუღლე იყო, ჩვენთვის არაჩვეულებრივი მეგობარი და ნიჭიერი არტისტი.

შეწყდა იური ვასაძის ცხოვრება, თან გაიყოლა თავისი ერის ცრემლი, მოყვასის სიყვარულიც და სცენის ტრფიალიც.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ქართული მიწა!

ნათელი დაადგეს შენს სულს!

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.**

## ⊙ ინფორმაცია

### უაქციზო სიგარეტი ხობში გადაჰქონდათ

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად ტრისტან ბუკია დააკავა, რომელსაც უაქციზო სიგარეტი აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან ხობის მიმართულებით გადაჰქონდა.

წინასწარი ინფორმაციით ბუკიას სარეალიზაციოდ 2 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა.

ჯი-ეიჩ-ენი



## ხსოვნა

# გრიგოლ დევდარიანი



საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე **გრიგოლ (გუგული) დევდარიანი.**

გრიგოლ დევდარიანი დაიბადა 1923 წლის 1 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაზალეთში, მოსამსახურის ოჯახში. 1948 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1948 წლიდან საქართველოს პროკურატურაში სამოქალაქო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად. 1951-1952 წლებში მუშაობდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ სამოქალაქო სამართლის დარგში, ხოლო 1952 წლიდან 1957 წლამდე – საქართველოს პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა ზედამხედველობის განყოფილების უფროსად. 1957 წლიდან არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, 1977-2000 წლებში კი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

1970 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1971 წელს – საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. იგი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე.

ბატონი გუგული დევდარიანი ასევე აქტიურად იყო დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით, წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებული ჰქონდა სამი მონოგრაფია და ასამდე ნაშრომი. იგი ერთგულად ემსახურებოდა სამართლიანობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს, დაულალავად იღვწოდა სამართლიანი მართლმსაჯულების დასამკვიდრებლად. სამაგალითო იყო მისი გასაოცარი შრომის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა.

გ. დევდარიანი ქართული პოეზიის მოტრფიალე, მეხოტბეც გახლდათ და თავადაც წერდა მშვენიერ ლექსებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## გახსენება

# მამია გოგოლიშვილი



ტრადიციულად ყოველი წლის 16 სექტემბერს თბილისის ბოტანიკური ბაღის კოლექტივი საზეიმოდ აღნიშნავდა უხუცესი დირექტორის, ბატონი **მამია გოგოლიშვილის** დაბადების დღეს.

დღეს კი, სამწუხაროდ, მისი 92 წლისთავი და გარდაცვალებიდან 40 დღე ერთმანეთს დაემთხვა.

ნათელში იყოს თქვენი სული, ბატონო მამია.

**თბილისის ბოტანიკური ბაღის კოლექტივი.**

---

ნინო ჯაყელი, ლევან მახვილაძე, თამრიკო მაყაშვილი, გოგი, ვოვა კიკვიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარინა პატეს ასული მგალობლიშვილი.**

---

სააქციო საზოგადოება სამშენებლო კომპანია „თბილისის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი არქიტექტორის გურამ მირიანაშვილის მეუღლე, ქალბატონი

**მარინა მგალობლიშვილი-მირიანაშვილისა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თსუ სოხუმის ფილიალის საფინანსო სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამსახურის თანამშრომელს დარეჯან გუჯეჯიანს, მამის

**ათმურზა გუჯეჯიანის**

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

---

ცოლისდა ლილი ბოლქვაძე, ელისო, ნიკო კრავეიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგო ფილიპეს ძე მოსესოვი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**შპს „არგე-იმპექსის" პარტნიორთა საყურადღებოდ:**

**ტარდება შპს „არგე-იმპექსის" საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. შპს „არგე-იმპექსის" კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება;
2. სხვადასხვა საკითხების განხილვა.

**მისამართი:** ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. № 3.

**ჩატარების თარიღი:** 2006 წლის 3 ოქტომბერი, დღის 12 საათი.

---

შპს „ფიროსმანი" რეგისტრირებულია კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 1998 წლის 3 ნოემბერს, რეგისტრაციის №06-825, მისამართი ქ. თბილისი, აბანოთუბნის ქუჩა №2, აცხადებს ლიკვიდაციას.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, შპს „ფიროსმანის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით პრეტენზიების განცხადებისათვის მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უ. შარტავას ქუჩა №42.

## განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

**ა) ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყოფილება:**

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 6 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 2,5 საშტატო ერთეული.

**ბ) მევენახეობის აგროტექნოლოგიის და მიკროდარაიონების განყოფილება:**

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.

**გ) მეხილეობის აგროტექნოლოგიისა და შენახვა-გადამუშავების განყოფილება:**

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 5 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 4 საშტატო ერთეული.

**დ) მეღვინეობისა და ბიოქიმიის განყოფილება:**

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 7 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.

**ე) ვაზისა და ხეხილის გამრავლების და აგროეკოლოგიის განყოფილება:**

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 6 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 3,5 საშტატო ერთეული.

**ვ) საქარის საცდელი სადგური (დასავლეთ საქართველოს საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი)**

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული.

**ზ) სკრის საცდელი სადგური (შიდა ქართლის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი)**

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშტატო ერთეული.

**თ) თელავის საცდელი სადგური (კახეთის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი)**

- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV).

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; დოქტორატების (ასპირანტების) შემთხვევაში ცნობა სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი.

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც უკვე წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.

ვ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში საკვლევი პრობლემების განვითარების ხედვა (მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.) მხოლოდ მათთვის, ვისაც სურთ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება.

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია).

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია).

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

3. საბუთების მიღება იწარმოებს **საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში, მისამართი: მარშალ გელოვანის პროსპექტი №6.**

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 12 ოქტომბერი.

5. საბუთების წარმოდგენა აუცილებელია აგრეთვე ელექტრონული ფორმით (სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი), ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით.

6. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

WWW.ihvw/gol.ge
e-mail:saproegto@rambler.ru.
ტელ: 52-70-19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კადრი



## ანეკდოტები

– მიხო, საბერძნეთში ნამყოფი ხარ?

– კი...

– კვიპროსში?

– იქაც ...

– რომელში უკეთესია დასვენება?

– არ ვიცი, ორივეგან ცოლშვილთან ერთად ვიყავი.

* * *

ორი დაქალი საუბრობს.

– მაინც როგორ ერთნაირად ნაძირალაა ყველა მამაკაცი! თუ შანსი მიეცათ, არც ერთ ქალს არ გაუშვებენ უსექსოდ!

– ასე კატეგორიულად ნუ იტყვი. ყველა როდია ასეთი. მაგალითად, ჩემ ქმარს გვერდით ტიტველი ქალი რომ მიუწვინო, თითსაც არ დააკარებს.

– შეუძლებელია!

– რა არის შეუძლებელი, საკუთარი გამოცდილებით ვიცი.

* * *

ჟურნალისტი მოხუცი მეზღვაურისგან ინტერვიუს იღებს:

– შეგიძლიათ, გაიხსენოთ ყველაზე დიდი ქარიშხალი, რომლის გადატანაც მოგიხდათ?

– რა თქმა უნდა.

– მომიყევით, ვიწერ...

– მახსოვს, ერთხელ შემთხვევით დავაფურთხე იატაკზე, რომელიც ცოლს ახალი გაპრიალებული ჰქონდა...



* * *

– თუ სმას არ მიატოვებთ, შეგიძლიათ, ღვიძლს გამოემშვიდობოთ, – ეუბნება ექიმი პაციენტს.

– ეჰ, რას იზამ, მშვიდობით, ღვიძლო!

* * *

– აბრამ, გახსოვს მოიშა, რომელსაც ორი თვის წინათ ფული ვასესხე?

– მახსოვს, მერე რა?

– რა და ის, რომ იგი პედერასტია?

– რაო, ის ფული არ დაგიბრუნა?

– ფული რა შუაშია, ამას ამ სიტყვის კარგი გაგებით ვამბობ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

## ლარის კურსი

13 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3101 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7420 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2343 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9739 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4384 ლარი, |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 13 სექტემბერს

**დასავლეთ** საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +28° – +19°, ღამით +15° – +20°.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +19° – +25°, ღამით +17° – +22°.



**თბილისში** – მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +14°, დღისით +23°.

**ბათუმი** – ღ. +17°, დ. +23°; **სოხუმი** – ღ. +16° დ. +23°; **ქუთაისი** – ღ. +16° დ. +25°, **ოზურგეთი** – ღ. +18°, დ. +22°, **ზესტაფონი** – ღ. +19°, დ. +25°; **რუსთავი** – ღ. +15°, დ. +23°. **ფოთი** – ღ. +17°, დ. +26°; **მესტია** – ღ. +10°, დ. +18°; **სტეფანწმინდა** – ღ. +15°, დ. +18°; **თელავი** – ღ. +13°, დ. +21°; **გორი** – ღ. +15°, დ. +24°; **ახალციხე** – ღ. +13° დ. +24°; **ბორჯომი** – ღ. +13°, დ. +22°; **ცხინვალი** – ღ. +13°, დ. +22°; **სამტრედია** – ღ. +17°, დ. +25°; **ზუგდიდი** – ღ. +17°, დ. +22°; **ჭიათურა** – ღ. +13°, დ. +21°.

## სექტემბრის ზარი

# სახელმძღვანელოებს ცეცხლი უკიდია. გაუძლებს ამას მშობლის ჯიბე?

**სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. დაიწყო სასკოლო ბაზრობები, სადაც სახელმძღვანელოები იყიდება, არადა, ძალიან ძვირს მათი შეძენა. საკითხავია, გაუძლებს ამას მშობლის ჯიბე? განსაკუთრებით ძვირია მაღალი კლასების სახელმძღვანელოები.**

წლეულს 60 000 პირველკლასელი სახელმძღვანელოებს პრეზიდენტისგან საჩუქრად მიიღებს.

იმ სკოლებში, სადაც სარემონტო სამუშაოები ბოლომდე ვერ დამთავრდება, მოსწავლეები იმ ნაწილში განთავსდებიან, სადაც გარემონტებულია.

350 სკოლაში და 100 პილოტირებულ სკოლაში ახალი სასწავლო წელი ევროპული მეთოდით წარიმართება. ახალი სასწავლო წლიდან ეს სკოლები ახალ კომპიუტერებს მიიღებენ.

საქართველოში საჯარო სკოლებს პირველ რიგში გადაეცემათ ახალი კომპიუტერები. სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამას „ირმის ნახტომის" ფარგლებში კომპანია „იუ-ჯი-თი" ახორციელებს. ამ კომპანიამ გაიმარჯვა ტენდერში და კომპიუტერული ტექნიკის ეს პარტია დონორი ორგანიზაციის – „ბრიტიშ პეტროლეუმისგან" 2,8 მილიონი დოლარის გრანტით შეიძინა. თითოეული კომპიუტერის ფასი 1100 ლარია. სკოლებისთვის შეძენილია პორტატული კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები, ციფრული ფოტოაპარატები და ვებკამერები. ჩამოთვლილი ტექნიკის გადანაწილება ერთ თვეში დასრულდება. 18 სექტემბერს კი სკოლების უმრავლესობაში სასწავლო წელი დაიწყება.

**ნათელა ფაილოძე**



## გვემრავლოს!

# პირველი სიხარული

**თათია** მაისურაძისა და თორნიკე ნიკორიძის სიყვარულის ამბავი ლამის ნახევარმა რუსთავმა იცოდა. ჯერ კიდევ სკოლიდან დაიწყო მათი რომანი. შარშანწინ სკოლა დაამთავრეს. თათიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა, თორნიკემ კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მალე იქორწინეს კიდეც. მანამდე ხომ სიყვარულით ცხოვრობდნენ და ახლა, რომ იტყვიან, ცაში დაფრინავენ. ამის მიზეზი კი ერთი პაწია, თვალხატულა გოგონაა, რომელიც მათ 5 სექტემბერს შეეძინათ. გოგონას ბებიის პატივსაცემად თამარი დაარქვეს.



პირველ შვილს ვულოცავთ თათიას და თორნიკეს, შვილთა სიმრავლეს, ბედნიერ მშობლობას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრების სახელით მეგი ინდუაშვილი, ნიკა ბერიანიძე.**

**ჩვენი ტელეფონია: 98-96-33.**

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** ვარ 62 წლის, უქმარშვილო, I ჯგუფის ინვალიდი. ვიღებ პენსიას თვეში 35 ლარის ოდენობით. განვიცდი მატერიალურ სიდუხჭირეს, ვინაიდან ჩემი პენსია წამლის ფულადაც არ მყოფნის. მშობლები, ჯერ კიდევ მცირეწლოვანს საავტომობილო კატასტროფაში დამეღუპა. მყავს ერთი 48 წლის და, რომელიც მუშაობს ბანკში, მაღალ ანაზღაურებაზე. იგი ეკონომიურ დახმარებას არ მიწევს, – ჩემი ოჯახი მყავს შესანახიო.

გთხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება სასამართლოს წესით მოვითხოვო დისგან გარკვეული თანხა, რათა თავი გადავირჩინო.

ჩემი მეზობელი ყიდულობს სისტემატურად თქვენს გაზეთს და მისი დახმარებით მეც თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. დამეხმარეთ, როგორ მოვიქცე?

**ნათელა ბარამიძე**

**პასუხი:** ქალბატონო ნათელა, კარგად გვესმის თქვენი გასაჭირი და გულით გითანაგრძნობთ. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლის შესაბამისად, დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი შრომისუუნარო, სრულწლოვანი დები და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ მიიღონ ასეთი დახმარება თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენი შრომისუნარიანი და, რომელსაც ჰქონია თქვენთვის დახმარების გაწევის შესაძლებლობა, ჩვენს მიერ მოცემული განმარტების გაცნობის შემდეგაც უარს განაცხადებს ნებაყოფლობით თქვენთვის დახმარების გაწევაზე, სრული უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს.

* * *



**კითხვა:** ვარ 47 წლის. დაწესებულების ადმინისტრაციამ ამ რამდენიმე დღის წინ, შტატების შემცირების მოტივით სრულიად უსაფუძვლოდ გამათავისუფლა სამუშაოდან.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ორი თვის ხელფასი, როგორც სამუშაოდან ზემოაღნიშნული მოტივით დათხოვნილს?

**ვიაჩესლავ კაკაჩია**

**პასუხი:** ადმინისტრაციის ინიციატივით, შტატების შემცირების მოტივით, სამუშაოდან გათავისუფლებულ მუშაკს 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსის თანახმად, სამწუხაროდ, ეკუთვნის მხოლოდ ერთი თვის ხელფასი.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაიონების ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვაჟა დანელია

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.